



ქალაქთმშენებლობითი  
დოკუმენტაცია, როგორც  
მემკვიდრეობის დაცვის გარანტი  
მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის  
მასტერ-პლანის შესწავლის მაგალითზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი

არქიტექტურის დოქტორი სრული პროფესორი  
გიორგი შაიშმელაშვილი

შალვა ქურიძე

საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტი

არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის  
ფაკულტეტი

2015 წ.

შალვა ქურიძე

ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია,  
როგორც მემკვიდრეობის დაცვის გარანტი.  
(მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის  
მასტერ-პლანის შესწავლის მაგალითზე).

წარდგენილია არქიტექტურის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
სადოქტორო პროგრამა- არქიტექტურა  
შიფრი-1101

© საავტორო უფლება შალვა ქურიძე 2015 წ.  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი

ჩვენ, ქვემოთ ხელისმომწერი ვადასტურებთ, რომ გავაცანით შალვა ქურიძის მიერ შესრულებულ სადისერტაციო ნაშრომს დასახელებით: „ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია, როგორც მემკვიდრეობის დაცვის გარანტი“ და ვაძლევთ რეკომენდაციას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოში მის განხილვას დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

19.06.2015

ხელმძღვანელი:

გიორგი შაიშმელაშვილი,  
არქიტექტურის დოქტორი  
სრული პროფესორი

რეცენზენტი:

თენგიზ მახარაშვილი,  
არქიტექტურის დოქტორი,  
პროფესორი

რეცენზენტი:

დავით აბულაძე,  
არქიტექტურის დოქტორი,  
არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
2015 წელი

ავტორი: შალვა ქურიძე  
დასახელება: „ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია, როგორც მემკვიდრეობის დაცვის გარანტი“ მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის შესწავლის მაგალითზე

ფაკულტეტი: არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი  
აკადემიური ხარისხი: არქიტექტურის დოქტორი  
სხდომა ჩატარდა: 03.07.2015

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემომოყვანილი დასახელების დისერტაციის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს.

---

ავტორის ხელმოწერა

ავტორი ინარჩუნებს დანარჩენ საგამომცემლო უფლებებს და არც მთლიანი ნაშრომის და არც მისი ცალკეული კომპონენტების გადაბეჭდვა ან სხვა რაიმე მეთოდით რეპროდუქცია დაუშვებელია ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ავტორი ირწმუნება, რომ ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალებზე მიღებულია შესაბამისი ნებართვა (გარდა იმ მცირე ზომის ციტატებისა, რომლებიც მოითხოვენ მხოლოდ სპეციფიურ მიმართებას ლიტერატურის ციტირებაში, როგორც ეს მიღებულია სამეცნიერო ნაშრომების შესრულებისას) და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

**რეზუმე**  
**ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია,**  
**როგორც მემკვიდრეობის დაცვის გარანტი**

მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის შესწავლის მაგალითზე  
ხელმძღვანელი - გიორგი შაიშმელაშვილი,  
არქიტექტურის დოქტორი, სრული პროფესორი

საკვანძო სიტყვები: მასტერ-პლანი, გენ-გეგმა, კულტურული ლანდშაფტი, კულტურული მემკვიდრეობა, ქალაქური ლანდშაფტი, ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია.

წინამდებარე სადისერტაციო შრომის აქტუალობას განაპირობებს „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ დოკუმენტში ასახული საერთაშორისო მეთოდოლოგიური გამოცდილებისა და იურიდიული პრაქტიკის ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის მოთხოვნები, ევროინტეგრაციის პროგრამის ვალდებულებებიდან გამომდინარე და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მომქმედი ევროპის ეკონომიკური კომისიის რეკომენდაციები: „ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარება, ეფექტური მართვისა და განვითარების საკვანძო ინსტრუმენტი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის განსაკუთრებული აქცენტებით“.

დისერტაციის მიზანს შეადგენს, „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“, როგორც იუნესკოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დამკვიდრებულ მიდგომებზე დაფუძნებული დოკუმენტის პროფესიული წრეებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთანავე გამოკვეთოს: ამ საერთაშორისო დოკუმენტის, როგორც ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ხელისშემშლელი ფაქტორის როლი; სახელმწიფო მხარის მიერ „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ იგნორირების შედეგად მცხეთის კულტურული, ბუნებრივი და რელიგიური ფასეულობისათვის მიყენებული დანაკლისის მასშტაბები; ასეთი დოკუმენტის შედგენის აუცილებლობა, საქართველოს ისტორიული ქალაქებისათვის, ევროინტეგრაციის კონტექსტში; მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელობას იძენს მცხეთის მასტერგეგმის მაგალითზე იუნესკოს მიერ შემუშავებული თანამედროვე მიდგომების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვა.

ურბანიზაციის პროცესის მზარდი და დინამიური ხასიათი საგრძნობ, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ისტორიული ქალაქების დაცვაზე. გლობალიზაციის ეპოქაში ტოტალური სამშენებლო ბუმის პროგრესირებადი ზეწოლის პირობებში ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების კონსერვაციათან ამავე დროს ურთულესი პრობლემის მნიშვნელობას იძენს. ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის კონცეფცია ჩაისახა, როგორც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე შემუშავებული მიდგომების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებაზე

დაფუძნებული ხედავს. ისტორიულ ქალაქებსა და მათ უნიკალურ გარემოზე თანამედროვე არქიტექტურის ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილება ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებული ძალისხმევით საგანს წარმოადგენს. ურბანული განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქალაქების უძრავ ქონებასა და ინფრასტრუქტურაში ჩადებული ინვესტიციები ურბანული გარემოს ტრანსფორმაციის ძირითად მასტიმულირებელ ძალადაა გადაქცეული. ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის მკვეთრი ნეგატიური ცვლილებების ძირითადი მიზეზი ამ ძალის აშკარა ცალმხივი კომერციული ხასიათია. ისტორიული განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი ცვლილებების პროცესში სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე არქიტექტურა. ცვლილებების დინამიურ ხასიათთან ერთად, შემოფოტებას იწვევს ასეთი არქიტექტურის ქალაქის კულტურულ და ბუნებრივ არეალებში შეჭრის მასშტაბები. აშკარად იკვეთება ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების განადგურებისა და ისტორიული ქალაქების ფიზიკური და ვიზუალური მთლიანობის დაკარგვის საფრთხე. ასეთ ვითარებაში, თანამედროვე განაშენიანების ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის კონტექსტში ჰარმონიული ჩაწერის უზრუნველყოფა – ქალაქის მემკვიდრეობის დაცვის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ პრინციპულ საკითხს წარმოადგენს. ისტორიული ქალაქებისათვის შეუსაბამო მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო აქტიობის პირობებში, სულ უფრო მკვეთრად იკვეთება ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტი იმ ურბანული გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებმაც საფრთხის წინაშე დააყენეს ევროპის კულტურული ფასეულობის მქონე ქალაქები. დღეს ქალაქები ისეთი ფაქტორების ზეწოლას განიცდიან, რომლებიც „ისტორიული ანსამბლების დაცვისა და თანამედროვე როლის შესახებ“ იუნესკოს 1976 წლის რეკომენდაციის მიღების დროს არ არსებობდნენ.

ნაშრომი ეყრდნობა „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანს“ და გამოყენებულია: საქართველოს კანონმდებლობა; მსოფლიო კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენცია - იუნესკო 1972 წ., ძალაში შევიდა 1975 წ. 2012 წლისათვის 190 მონაწილე ქვეყანას აქვს რატიფიცირებული აღნიშნული დოკუმენტი.; ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია - ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია (გრანადა 3.10.1985) (საქართველო შეუერთდა საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 23 თებერვლის N 157 დადგენილებით); ქალაქების ევროპული ქარტია I - სტრასბურგი, 17-19 მარტი, 1992 წელი; ქალაქების ევროპული ქარტია II - ახალი ურბანისტიკის მანიფესტი. (მიღებულია კონგრესით 15 პლენარურ სესიაზე 2008წ.15 მაისს სტრასბურგში. მომხსენებელი კარლოს ალბერტო პინტო (პორტუგალია), თანამომხსენებელი ვილი ბორსუსი (ბელგია) და ირიაშ კონსტანტენ (საფრანგეთი); „ლა ვალეტას პრინციპები“ - იკომუსის (International Council on Monuments and Sites) მე-17 გენერალური ანსამბლეა; „ვალეტას პრინციპები ისტორიული ქალაქებისა და ურბანიზირებული ტერიტორიების დაცვისა და მართვის შესახებ“ 28 ნოემბერი 2011 წ. და სხვა საერთაშორისო რატიფიცირებულ ვალდებულებებს.

ნაშრომი შედგება ათი თავისაგან და დამატებითი ვიზუალური მასალისაგან.

1. პირველ თავში განხილულია „A Heritage & Tourism Master Plan for Mtskheta, Georgia - UNESCO & UNDP-SPPD Pilot Project“ (შემდგომში „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“) და ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების ურთიერთ დამოკიდებულება.
2. მეორე თავი ეხება საერთაშორისო რეკომენდაციებს, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და საერთაშორისო შეთანხმებებს მდგრადი განვითარების კონტექსტში, სადაც განხილულია „ევროპის კონტინენტის მდგრადი სივრცითი განვითარების საფუძვლები“ ქალაქ მცხეთასთან მიმართებაში „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანს“ შედეგების მიხედვით.
3. მესამე თავი ეძღვნება კულტურულ მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენის შეფასების მეთოდებს და „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანში“, კულტურული ლანდშაფტებისა და მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი პრინციპებს.
4. მეოთხე თავი ეძღვნება საკანონმდებლო ბაზას, რომელსაც ეყრდნობა „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“, აქვეა საერთაშორისო რეკომენდაციები და შეთანხმებები.
5. მეხუთე თავი ეძღვნება „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანში“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის განხილვას, აქსიოლოგიურ მიმართულებებს და მათ წარმოშობას, ქ.მცხეთასთან მიმართებაში.
6. მეექვსე თავი დათმობილი აქვს კლასიკურ ლანდშაფტურ ხედვას საერთაშორისო შეთანხმებების კონტექსტში და საერთაშორისო გამოცდილებას ამ სფეროში.
7. მეშვიდე თავში განხილულია „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანში“ ასახული საკრალური სივრცის შეფასება და მის საფუძველზე მიღებული დაცვის ზონები, მრავალ დისციპლინარულ სინთეზში.
8. მერვე თავი დათმობილი აქვს გ.შაიშმელაშვილის მასალას სათაურით „უცნობი ფრანგი მხატვრის ჩანახატი“, რომლის საფუძველზეც აგებულია მცხეთის ურბანული განვითარების ისტორია.
9. მეცხრე თავი დათმობილი აქვს, მცხეთის ურბანული სივრცის ათვისების ზოგად მიმოხილვას და მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენის შეფასების მეთოდებს საერთაშორისო გამოცდილების, რეკომენდაციებისა და თანამშრომლობას „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ ჩარჩოში.
10. ბოლო მეათე თავში მოცემულია „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ და საერთაშორისო ორგანიზაციების, და ამ დოკუმენტების საერთაშორისო მხარდაჭერის იგნორირების შდეგები, 2003 წლიდან დღემდე მიმდინარე პერიოდში.

# Urban Planning Documentation as a Guarantee for the Protection of Heritage

## On the Study Example of Mtskheta Heritage and Tourism Master-Plan

Supervisor – Giorgi Shaishmelashvili, Doctor of Architecture, Full Professor

**Key words:** Master-plan, general plan, cultural landscape, cultural heritage, urban landscape, urban planning documentation.

### Abstract

The relevance of the present dissertation work is due to the laid out in the document of "Mtskheta Heritage and Tourism Master-Plan" requirements of the international methodological experience and the adaptation of legal practices to local conditions, recommendations of the European Economic Commission, following the European integration program obligations and operating under the auspices of the United Nations: "territorial and spatial planning, key tool for the effective management and development with special emphasis on countries with transitional economics".

The aim of this dissertation is to provide the access for professional groups to "Mtskheta Heritage and Tourism Master-Plan" as to the document based on the approaches established by UNESCO in the field of cultural heritage; also, to outline: the role of this international document as the hampering factor of individual decisions; the magnitudes of loss caused to cultural, natural and religious values of Mtskheta as a result of ignoring "Mtskheta Heritage and Tourism Master-Plan" by the state party; the necessity of creating such a document for historical cities of Georgia in the context of European integration. In methodological terms, no less important is to introduce in Georgian heritage protection practice the modern approaches elaborated by UNESCO on the example of Mtskheta Master-Plan.

The growing and dynamic character of the urbanization process has a significant, negative impact on the protection of historical cities. In the globalization age, under the progressive pressure of the total construction boom the conservation of historic urban landscapes is the most difficult problem. The concept of the historic urban landscapes was conceived as the vision based on the approaches developed in the last two decades, critical evaluations and new challenges. The avoidance of the negative impact of the modern architecture on historical cities and their unique environment is the subject of a special effort of international monument protection organizations. In today's stage of the urban development, city real estate and infrastructure investments are turned into a major stimulating force of the transformation of the urban environment. The main reason for the sharp negative changes of the historic urban landscape is an apparent one-sided commercial nature of this force. In the process of the spatial-planning changes of the historical construction, the modern architecture takes an increasingly important place. Both the dynamic nature of the changes and the magnitude of the invasion of such an architecture in city's cultural and natural areas cause the concerns. The danger of the destruction of historic urban landscapes and the loss of physical and visual



integrity of historic cities is obvious. In such a situation, one of the principal issues of the city heritage protection theory and practice is to provide the harmonious insertion of the modern construction in the context of historic urban landscapes. In the conditions of inappropriate for historical cities large-scale construction activity, there is highly visible the protest of international monument protection organizations against the urban decisions which put at risk the cities of European cultural values. Nowadays the cities have a pressure of such factors which were no at the time of making UNESCO's recommendations in 1976 "On Protection of Historical Ensembles and the Modern Role".

## სარჩევი:

შესავალი.....	1
პრობლემის აქტუალობა .....	3
მიზანი .....	4
მნიშვნელობა.....	5
1. თავი - ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები .....	10
2. თავი - ქვეყნის მდგრადი განვითარება.....	21
3. თავი - კულტურული ლანდშაფტებისა და მეკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი პრინციპები.....	31
4. თავი - საკანონმდებლო ბაზა .....	34
<i>A. საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები .....</i>	<i>35</i>
<i>B. წყლის რესურსების საკანონმდებლო რეგულირება.....</i>	<i>36</i>
<i>C. მიწის რესურსების დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა .....</i>	<i>37</i>
<i>D. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და კულტურული ლანდშაფტის ზონირების ძირითადი თავისებურებანი .....</i>	<i>37</i>
<i>E. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“.....</i>	<i>42</i>
<i>F. ევროპის ლანდშაფტური კონვენცია .....</i>	<i>42</i>
<i>G. რამსარის კონვენცია .....</i>	<i>45</i>
<i>H. კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ.....</i>	<i>45</i>
<i>I. ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია .....</i>	<i>46</i>
5. თავი - ეთნოგრაფიულ - გეოგრაფიული ხედვა, აქსიოლოგიურ - ინფორმაციული ხედვა, კულტურული ლანდშაფტის მიხედვით - მცხეთის მაგალითზე .....	50
6. თავი - კლასიკური ლანდშაფტური გეოგრაფიული ხედვა - მცხეთის მაგალითზე .....	62
7. თავი - საკრალური სივრცე - მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის დოკუმენტებში .....	69
8. თავი - "უცნობი ფრანგი მხატვრის ჩანახატი" - გ.შაიშმელაშვილი .....	73
9. თავი - მცხეთის ურბანული სივრცის ათვისების ზოგადი მიმოხილვა მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენის შეფასების მეთოდიკა.....	77
10. თავი - დასკვნები .....	85
ლიტერატურა: .....	118
ტაბულები: .....	121

კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა წარმოადგენს, არა მხოლოდ მსოფლიოს თითოეული ხალხის, არამედ მთელი კაცობრიობის ფასდაუდებელ და აუნაზღაურებელ მონაპოვარს. მისი ნებისმიერი ნაწილის დაკარგვა აღარბიებს მთელი მსოფლიოს ხალხებს. ამ მემკვიდრეობის ზოგიერთი ობიექტი, მათთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ღირსების გამო, შეიძლება გამორჩეული მსოფლიო ფასეულობის მემკვიდრეობად იქნას აღიარებული, და ამ თვალსაზრისით, იმსახურებენ მათი არსებობისათვის უფრო და უფრო მზარდი საფრთხეებისაგან განსაკუთრებულ დაცვას.<sup>1</sup>

## შესავალი

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანში“ წარმოდგენილია დეტალური სტრატეგია არა მარტო მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან, არამედ ისტორიულ ქალაქებთან და მათ კულტურულ ლანდშაფტთან დაკავშირებით. ის სცდება კონსერვაციის საკითხებს და განიხილავს როგორც კულტურული და ბუნების მემკვიდრეობის მახასიათებლებს, რომელიც მოიცავს ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სოციალურ კონტექტს კონსერვაციასთან მიმართებაში.

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ შემუშავდა საერთაშორისო და ეროვნულ ექსპერტთა თანამშრომლობის შედეგად. დოკუმენტის ავტორებმა ეკლესიებისა და არქეოლოგიური ობიექტების ისტორიულ-არქიტექტურულ ღირებულებას დაუმატეს ბუნებრივი გარემოცვა, ქალაქის პერსპექტივა და ხედი.

მცხეთის ბუნებრივი ლანდშაფტი, რომელსაც ქმნის ორი მდინარე და ფერდობები, რომელიც წარმოადგენს „ვიზუალურ მთლიანობას, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქალაქის ადგილმდებარეობის შეფასებასა და მისი ძეგლების აღქმაში“<sup>2</sup>.

გენერალური გეგმა ასახავს, კულტურული ლანდშაფტის კონცეფციის განვითარებას ისტორიულ ქალაქში და იძლევა საშუალებას მოხდეს მისი საერთაშორისო მოსაზრებებისა და რეკომენდაციების (ევროინტეგრაციის კონტექსტში) გათვალისწინებას კულტურულ ლანდშაფტებსა და აქცენტს ინტეგრირებულ კონსერვაციასთან გაზრდილ დამოკიდებულებაში.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და შენარჩუნების პრობლემა კარგა ხანია გასცდა ნაციონალური ინტერესების საზღვრებს და მსოფლიო განზომილების პრობლემად იქცა. ამა თუ იმ კონვენციასა თუ ქარტიაზე ხელმომწერი თითოეული სახელმწიფო პასუხისმგებელია ამ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესრულებაზე. ხელმომწერილი დოკუმენტების თანახმად, შესაბამის ნაციონალურ კანონმდებლობაში შედის შესწორებები, ხდება მემკვიდრეობის

<sup>1</sup> იუნესკოს 17 გენერალური სესია; მუხლი 4 (პარიზი, 17 ოქტომბერი-21 ნოემბერი, 1972 წ.); [http://www.un.org/ru/documents/decl\\_conv/conventions/heritage.shtml](http://www.un.org/ru/documents/decl_conv/conventions/heritage.shtml)

<sup>2</sup> UNESCO/UNDP, 2003 წ.

სისტემის რეფორმირება. ამდენად, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში, კარგა ხანია მიმდინარეობს ერთიანი მსოფლიო სამართლებრივი სივრცის ფორმირება. ევროკავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

“მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია”<sup>3</sup> ხელისმომწერ წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატაროს ინტეგრირებული კონსერვაციის პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც - არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვა წარმოადგენს ურბანული დაგეგმარების უმნიშვნელოვანეს ამოცანას - ამდენად, ურბანული დაგეგმარება, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ვალდებულებით ექცევა კონვენციის მოქმედების სივრცეში. ეს განსაკუთრებულ აქტუალობას ანიჭებს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის ახალ, კონვენციურ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

მცხეთის ანსამბლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“<sup>4</sup> შექმნის შესახებ. იგი საერთაშორისო პროფესიული ძალების თანამშრომლობასა და გამოცდილებაზეა დაფუძნებული. მასტერგეგმის პრემიულაშია გაცხადებული, „ხელისუფლების მიერ ამ დოკუმენტის შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება იმისთვისაა საჭირო, რომს წორი მიმართულება მივცეთ დისკუსიას მცხეთის მემკვიდრეობის დაცვისა და განითარების შესახებ. მცხეთის მასტერგეგმა პირველი და სასიცოცხლოდ აუცილებელი ნაბიჯია ამ მიმართულებით. მისი წარმატება დიდადაა დამოკიდებული მასში ნახსენები ყველა კონვენციისა თუ ქარტიის განუხრელ შესრულებაზე. ეს მცხეთისთვის ყველაზე დიდი გამოწვევაა.“<sup>5</sup>

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელობას იძენდა მცხეთის მასტერგეგმის მაგალითზე იუნესკოს მიერ შემუშავებული თანამედროვე მიდგომების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვა - “მცხეთის ისტორიული ანსამბლი შეიცავს ყველა იმ ძირითად

<sup>3</sup> Convention for the Protection of the Architectural Heritage of Europe, Granada, 3.X.1985 - A general plan is the policy of acceptable land uses in each jurisdiction. Each city and county adopts and updates their General Plan to guide the growth and land development of their community, for both the current period and the long term. The General Plan is the foundation for establishing goals, purposes, zoning and activities allowed on each land parcel to provide compatibility and continuity to the entire region as well as each individual neighborhood. (<http://conventions.coe.int/Treaty/en/Treaties/Html/121.htm>)

<sup>4</sup> მასტერგეგმა შემუშავებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ექსპერტების მიერ (2001–2003 წწ).

<sup>5</sup> მასტერგეგმა შემუშავებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ექსპერტების მიერ (2001–2003 წწ).

ელემენტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პროტოტიპი საქართველოს სხვა ისტორიული ქალაქების მემკვიდრეობის დაცვისა და ათვისებისათვის<sup>6</sup>.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ შემუშავებული „მცხეთა. მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების მართვის გეგმა“ (2012წ.), ცალკე თავს უთმობს „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ შეფასებას - „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების გენერალური გეგმა არის ყველაზე სრული და განახლებული მართვის ინსტრუმენტი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტთან დაკავშირებით, რომელიც მისი მაღალი ხარისხის მიუხედავად ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი მისი შემუშავებიდან ხუთი წლის განმავლობაში“.

### პრობლემის აქტუალობა

წინამდებარე სადისეტაციო შრომის აქტუალობას განაპირობებს „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ დოკუმენტში ასახული საერთაშორისო მეთოდოლოგიური გამოცდილებისა და იურდიული პრაქტიკის ადგილობრივ პირობებთან ადაპტაციის მოთხოვნები, ევროინტეგრაციის პროგრამის ვალდებულებებიდან გამომდინარე<sup>7</sup> და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მოქმედი ევროპის ეკონომიკური კომისიის რეკომენდაციები: „ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარება, ეფექტური მართვისა და განვითარების საკვანძო ინსტრუმენტი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის განსაკუთრებული აქცენტებით“.

ამ რეკომენდაციების ადრესატებს შორის პირდაპირ დასახელებულია საქართველო, აქედან გამომდინარე „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ზემოხსენებულ თემებს უკვე მოიცავდა 2003 წლისათვის.

როდესაც 2003 წელს „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ იქნა წარმოდგენილი, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი განუწყვეტლივ ახსენებდა და სთხოვდა სახელმწიფო მხარეს, რომ მიეღოთ დოკუმენტი და დაეწყოთ მისი შესრულება<sup>8</sup>.

მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერპლანის“ დამტკიცების მოთხოვნით, 28-ე სესიაზე მიმართა საქართველოს მთავრობას,<sup>9</sup> იგივე მიმართვას იმეორებს კომიტეტი 29-ე სესიაზეც<sup>10</sup>. საქართველოს

<sup>6</sup> ბერნარ ბიზე 1997წ.

<sup>7</sup> ასოცირებისშესახებშეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოსშორის, AA & DCFTA (2014)

<sup>8</sup> WHC, 2005, 2007

<sup>9</sup> სუჯოუ. ჩინეთი. 28.07.2004წ.

<sup>10</sup> დურბანი, სამხრეთ აფრიკა. 2005წ. 10-17.07

მთავრობის მიერ ამ დოკუმენტის დამტკიცების მოთხოვნის იგნორირება იქცა მცხეთის ძეგლების, საფრთხეში მყოფ სოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში შეტანის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად.

### მიზანი

დისერტაციის მიზანს შეადგენს, „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“, როგორც იუნესკოს მიერ კულტურული მემკვიდრეობის სფეროში დამკვიდრებულ მიდგომებზე დაფუძნებული დოკუმენტის პროფესიული წრეებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამასთანავე გამოკვეთოს: ამ საერთაშორისო დოკუმენტის, როგორც ერთპიროვნული გადაწყვეტილებების ხელისშემშლელი ფაქტორის როლი; სახელმწიფო მხარის მიერ „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ იგნორირების შედეგად მცხეთის კულტურული, ბუნებრივი და რელიგიური ფასეულობისათვის მიყენებული დანაკლისის მასშტაბები; ასეთი დოკუმენტის შედგენის აუცილებლობა, საქართველოს ისტორიული ქალაქებისათვის, ევროინტეგრაციის კონტექსტში; მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელობას იძენს მცხეთის მასტერგეგმის მაგალითზე იუნესკოს მიერ შემუშავებული თანამედროვე მიდგომების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვა.

ქართული მართლმადიდებელი სამყაროსათვის მტკვრისა და არაგვის ხერთვისი ყოველიერის „ნათლიების ადგილი და ქართველთა იორდანე“. ეს ადგილი წარმოადგენს ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა და ქართული ეკლესიის დაფუძნების უდიდეს სულიერ სიმბოლოს. სივრცის ათვისების ქრისტიანული მოდელის უმნიშვნელოვანეს საკრალურ ადგილს. წარმართული და ანტიკური საქალაქო სივრცის ახლებურ, ქრისტიანულ დაგეგმარებას თავისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე შესაბამისი განვითარება და სტრუქტურული ცვლილებებიც მოჰყვა (ზეციური ქალაქის გაგება), მოგვიანებით პროფანული და საკრალური სივრცეების გასამიჯნად მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ ადმინისტრაციული ერთეული თბილისში გადადის, ხოლო სულიერი ცენტრი მცხეთაში რჩება, როგორც ზეციური ქალაქის პროტოტიპი. უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი „პილიცენტრიული მეთოდი“ საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი გამოდგა. „საქართველოს ერთიანობის სიმბოლოს და ერთიანი ეკლესიის“ ფუნქცია საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, მრავალგზის ომიანობის მიუხედავად მცხეთამ პირნათლად შეასრულა.

რასაც ვერ ვიტყვით საქართველოს უახლესი ისტორიის ხელუსუფლებაზე. პირველი ასეთი ჩარევები ისტორიულ გარემოში კომუნისტების ეპოქას უკავშირდება. ამ საკრალურ სივრცეში ხუთი ათეული წლის წინ შეჭრილმა საბჭოთა სამხედრო ბაზამ, ხელთუქმნელი გარემოს განადგურებასთან ერთად, დასაბამი დაუდო ამ საკრალური სივრცის რღვევას, რომელიც დღემდე გრძელდება ხელისუფლების მიერ და ამ მიდამოდან ქრისტიანული მართლმადიდებელი



კულტურის მცხეთის სიმბოლოების აღქმის შესაძლებლობა, შეუსაბამო ნაგებობების ინტენსიურმა შემოჭრამ გაწყვიტა და დააზიანა ჭარბტენიანი ზონისა და მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის აღქმის არეალი.

## მნიშვნელობა

ურბანიზაციის პროცესის მზარდი და დინამიური ხასიათი საგრძნობ, ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ისტორიული ქალაქების დაცვაზე. გლობალიზაციის ეპოქაში ტოტალური სამშენებლო ბუმის პროგრესირებადი ზეწოლის პირობებში ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების კონსერვაციათან ამავე დროს ურთულესი პრობლემის მნიშვნელობას იძენს. ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის კონცეფცია ჩაისახა, როგორც ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე შემუშავებული მიდგომების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და ახალი გამოწვევების გათვალისწინებაზე დაფუძნებული ხედვა. ისტორიულ ქალაქებსა და მათ უნიკალურ გარემოზე თანამედროვე არქიტექტურის ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილება ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებული ძალისხმევის საგანს წარმოადგენს. ურბანული განვითარების დღევანდელ ეტაპზე ქალაქების უძრავ ქონებასა და ინფრასტრუქტურაში ჩადებული ინვესტიციები ურბანული გარემოს ტრანსფორმაციის ძირითად მასტიმულირებელ ძალადაა გადაქცეული. ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის მკვეთრი ნეგატიური ცვლილებების ძირითადი მიზეზი ამ ძალის აშკარა ცალმხივი კომერციული ხასიათია. ისტორიული განაშენიანების სივრცით-გეგმარებითი ცვლილებების პროცესში სულუფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თანამედროვე არქიტექტურა. ცვლილებების დინამიურ ხასიათთან ერთად, შემფოთებას იწვევს ამ არქიტექტურის ქალაქის კულტურულ და ბუნებრივ არეალებში შეჭრის მასშტაბები. აშკარად იკვეთება ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების განადგურებისა და ისტორიული ქალაქების ფიზიკური და ვიზუალური მთლიანობის დაკარგვის საფრთხე. ასეთ ვითარებაში, თანამედროვე განაშენიანების ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის კონტექსტში ჰარმონიული ჩაწერის უზრუნველყოფა – ქალაქის მემკვიდრეობის დაცვის თეორიისა და პრაქტიკის ერთ-ერთ პრინციპულ საკითხს წარმოადგენს. ისტორიული ქალაქებისათვის შეუსაბამო მსხვილმასშტაბიანი სამშენებლო აქტიობის პირობებში, სულ უფრო მკვეთრად იკვეთება ძეგლთადაცვითი საერთაშორისო ორგანიზაციების პროტესტი იმ ურბანული გადაწყვეტილებების მიმართ, რომლებმაც საფრთხის წინაშე დააყენეს ევროპის კულტურული ფასეულობის მქონე ქალაქები. დღეს ქალაქები ისეთი ფაქტორების ზეწოლას განიცდიან, რომლებიც „ისტორიული ანსამბლების დაცვისა და თანამედროვე როლის შესახებ“ იუნესკოს 1976 წლის რეკომენდაციის მიღების დროს არ არსებობდნენ.

„ისტორიული ცენტრების ვიზუალური გავლენის ზონებში თანამედროვე ეტაპისათვის დამახასიათებელი გიგანტური მასშტაბის შენობა-ნაგებობებისა და

კომპლექსების პროექტების ლოკალიზების მსგავსი პრეცედენტები დღემდე უცნობია<sup>11</sup>.

თანამედროვე ეტაპზე კულტრული მემკვიდრეობის ცნება გაცილებით ფართოა, ვიდრე 1972 წლის მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციაშია მოცემული, ტრიადის - „ძეგლი“, „ანსამბლი“ და „ღირსშესანიშნავი ადგილები“ - განმარტებით იგულისხმება. იუნესკოს გენერალურმა კონფერენციამ, თავის 35-ესესიაზე (16.10. 2009წ.) დაადგინა, რომ ქალაქის მემკვიდრეობასთან დაკავშირებული მოქმედი ნორმატიული აქტები შევსებული უნდა ყოფილიყო ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების შესახებ ახალი რეკომენდაციით.

ბოლო წლების მნიშვნელოვან ტენდენციას შეადგენს ლანდშაფტური მიდგომის კონცეფციის აღიარება, რაც ასახულია იუნესკოს მიერ მიღებულ რეკომენდაციაში - „ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების დაცვის შესახებ“ (2011წ...10.). აღნიშნული რეკომენდაცია ითვალისწინებს თანამედროვე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებს. სცილდება რა ისტორიული ცენტრის ანსამბლებისა და მათი გარემოცვის შესახებ ტრადიციული წარმოდგენების საზღვრებს, ისტორიული ქალაქური ლანდშაფტის ცნება, ვრცელ გეოგრაფიულ კონტექსტთან ერთად, მოიცავს მიწათსარგებლობის მოდელსა და ტენიკური ინფრასტრუქტურის ელემენტებს, სივრცითი ორგანიზაციის, ვიზუალური კავშირებისა და ტოპოგრაფიის ასპექტებს.

ნებისმიერი ქალაქის ხელისუფლების ინტერესი ინფრასტრუქტურის, საცხოვრებლისა თუ საოფისე ობიექტების ინვესტირებაში დიდია, ამასთანავე სავარაუდოა ამ ტენდენციის ხანგრძლივი დროის მანძილზე შენარჩუნების ალბათობა. შექმნლ ვითარებაში საკვანძო მნიშვნელობას იძენს ისტორიულ ქალაქებში მოდერნიზაციისა და ინვესტიციების ინტერესების ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების დაცვის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

არსებული საერთაშორისო ხელშეკრულებები<sup>12</sup>; ისტორიული ქალაქების დაცვის ქარტია<sup>13</sup>; რეკომენდაცია ისტორიული ანსამბლების დაცვისა და თანამედროვე როლის შესახებ<sup>14</sup> მოიცავენ გენვლილ 20–30 წლამდე ისტორიულ პერიოდს. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მცირე დასახლებებზე ან ქალაქების ცალკეულ ნაწილებზე და არა ზოგადად ისტორიულ ქალაქებზე ფართო გაგებით. არცერთი ზემოაღნიშნული დოკუმენტი არ ასახავს იმ ორ საკვანძო პრობლემას, რომლებმაც ბოლო წლებში სრულად განაპირობეს თანამედროვეობის დღის წესრიგი. ეს პრობლემებია, უპირველესყოვლისა, მდგრადი განვითარება<sup>15</sup> და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა<sup>16</sup>.

<sup>11</sup>ფრანჩესკო ბანდარინი-იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის დირექტორი, იუნესკოს რეგიონული კონფერენცია.სანკტ-პეტერბურგი. 29.01–2.02. 2007წ.

<sup>12</sup>არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპის ქარტია.ევროპის საბჭო,1975

<sup>13</sup>ვაშინგტონის ქარტია. იკომოსი,1987

<sup>14</sup>იუნესკო,1976 წ.

<sup>15</sup>ჩვენი საერთო მომავალი-ბურტლანდის მოხსენება, 1987 წ.

<sup>16</sup>იუნესკოს კონვენცია – არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ, 2003 წ.



იუნესკოს მიერ დადგენილი სტანდარტების მიხედვით, ქალაქის ისტორიული ზონიდან მსხვილმასშტაბიანი განაშენიანება ისეთ მანძილზე უნდა იყოს ლოკალიზებული, რომელიც უზრუნველყოფს ისტორიული ცენტრის ვიზუალური მთლიანობის შენარჩუნებას. ისტორიულ საქალაქო ლანდშაფტზე ორიენტირებული მიდგომა გარემოს ხარისხის შენარჩუნებასა და გამჯობესებაზეა მიმართული. იგი უზრუნველყოფს ქალაქის მემკვიდრეობის დაცვისა და სოციალურ-ეკონომიური განვითარების მიზნების ინტეგრაციას. იგი ეფუძნება დაბალანსებულ და მდგრად ურთიერთკავშირს, ერთის მხრივ, ქალაქურ და ბუნებრივ გარემოს შორის, მეორეს მხრივ, დღევანდელი და მომავალი თაობების მოთხოვნილებასა და წარსულის მემკვიდრეობას შორის. ექვს არ იწვევს ახალი ქალაქთმშენებლობითი მიდგომის აუცილებლობა. მან უნდა მოიცვას მემკვიდრეობის მატერიალური და არამატერიალური ასპექტები, ჩაუღრმავდეს ეკოლოგიურ პრობლემებს, დაიცვას სათაყვანებელი ადგილები (Genius loci) და მათთან ასოცირებული ფასეულობები, ქალაქის დანგრეული და დაკარგული ადგილების აღორძინებით აღადგინოს სოციალური და კულტურული სიამაყე.

დღესდღეობით საქართველო განიცდის ნაციონალური ქალაქმშენებლობითი მოდელის დეფიციტს, რომელიც შესაბამისი იქნებოდა საქართველოს პირობებისათვის, კერძოდ პოსტსაბჭოური მემკვიდრეობა, კლიმატური მრავალფეროვნება, პოლიტიკური მოუმწიფებლობა, ტექნოლოგიური ჩამორჩენა და სხვ. ევროპაში ასეთი მოდელი დიდი ხანია მოქმედებს, ესაა ცხოვრების მაღალი დონე, სადაც საკვანძო ელემენტია საზოგადოების ზომიერი მოთხოვნილება. დღეს ევროპული ქალაქმშენებლობითი ტენდენციები შემდეგნაირად გამოიყურება:

- კომპაქტური, მჭიდრო განაშენიანების ქალაქი - ცნობილია, რომ გაწელილი და აგლომერაციული ქალაქები ინფრასტრუქტურულად და სოციალურად ძალზედ ძვირი ჯდება და ხარჯიანია. მჭიდრო დასახლება კი ხასიათდება დაბალი ენერგო მომხმარებლობით, ინტენსიური სოციალური ყოფიერებით და მოსახლეობის მომეტებული უსაფრთხოებით. ამასთანავე იძლევა საშუალებას უფრო ეფექტურად გამოვიყენოთ საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემები.

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების პრიორიტეტულობა - თანამედროვე ევროპული ქალაქები, ეს ადამიანების ქალაქია და არა ავტომობილების. ავტომობილისტების ქალაქი მოიხმარს დიდ ენერჯიას და მოუხერხებელია: ასეთ ქალაქში სივრცის უმეტესი ნაწილი ათვისებული აქვს ავტომაგისტრალებს და ავტოსადგომებს. აქედან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი საზოგადოებრივი სატრანსპორტო სისტემების განვითარების პრიორიტეტულობა. უკანასკნელი 10-20 წლების მოდური სიახლეა ჩქაროსნული ტრამვაი. მაგალითად პარიზში უახლოესი ათი წლის განმავლობაში 35 მილიარდი ევროა გამოყოფილი - ჩქაროსნულ რკინიგზაზე - ახალი სადგურებისა და გადასაჯდომი კვანძების, მეტროსა და ჩქაროსნული ტრამვაის მშენებლობაზე.

- საზოგადოებრივი სივრცეების ფორმირება - საუბარია ქალაქის გარკვეულ მონაკვეთებში საზოგადოების შეუფერხებელი გადაადგილებისათვის შესაფერის ინფრასტრუქტურაზე: ბალ-პარკებში, სკვერებში, გასართობ ცენტრებში, საფეხმავლო ზონებში, მუზეუმებთან, ლექტორიუმებთან და სხვ. საზოგადოებრივი სივრცის განვითარება, უზრუნველყოფს ცხოვრების მაღალ დონეს ქალაქში. სამაგალითოდ შეიძლება ჩაითვალოს 2002 წელს ლონდონისათვის მიღებული 100 საზოგადოებრივი სივრცის შექმნის პროგრამა.

- ქალაქის კვარტალურ სისტემაზე დაბრუნება - ევროპის ქალაქმშენებლობა უარს ამბობს მიკრორაიონულ განაშენიანებაზე, კვარტალური განაშენიანების სასარგებლოდ. კვარტალური განაშენიანების უპირატესობაა „საზოგადოებრივსა“ და „კერძოს“ შორის ჰარმონიული ბალანსი. კვარტალური განაშენიანების ფასადის მხარის ქუჩები ყალიბდება საზოგადოებრივი სივრცედ მაღაზიების, კაფეებისა და სხვ. სახის კვანძების სახით, ამასთანავე იქმნება მყუდრო შიდაკვარტალური ეზოები. დამატებით კვარტალური განაშენიანება უზრუნველყოფს ქალაქის გამჭოლ სატრანსპორტო სოლიდურ გამტარუნარიანობას. მაგრამ უმთავრესი ის არის რომ კვარტალური განაშენიანება ბევრად მცირე ზომისაა ვიდრე მიკრორაიონული, რაც მას ფსიგოლოგიურად უფრო „ადამიანურს“ ხდის. კვარტალურ განაშენიანებაში, მიკრო რაიონულისაგან განსხვავებით ყალიბდება ბევრად სრულყოფილი და ტოლერანტული საზოგადოება (რაც გააჩნდა და დაკარგა საქართველოს ქალაქებმა).

- უარი ქალაქების ფუნქციურ ზონირებას - ქალაქის ფუნქციური ზონირების პრინციპი (რაიონებში კონცენტრირებული ერთი ფუნქციური დანიშნულების ობიექტები), მსოფლიო პრაქტიკაში დაინერგა 1920-იანი წლებიდან, მიზანი იყო ის რომ საცხოვრებელი ზონები მოშორებული ყოფილიყოსამრეწველო „დაბინძურებული“ ზონებიდან. ამჯერად უმეტესი ქალაქებისათვის ეს თემა აღარაა აქტუალური. ქალაქების ფუნქციური ზონირებაზე უარი იძლევა საშუალებას მოსახლეობის ქანქარისებრი მიგრაციის თავიდან ასაცილებლად (სახლის რაიონი - სამუშაო რაიონი). მრავალფუნქციური განაშენიანება ქმნის ახალ ქალაქურ გარემოს, რომელიც ბევრად მრავალმხრივია დატექნოლოგიურად კომუნიკაბელური.

- ფსონი კრეატიულობაზე და მცირე ცენტრების ჩამოყალიბება - წარმატებული ევროპული ქალაქები გადაფორმატებულია კრეატიულ ქალაქებად, სადაც ადამიანის თვითრეალიზაცია და შემოქმედება ყველაფრის საფუძველია. კრეატიული სივრცის ჩამოყალიბებისას გამოიყენება ისეთი ურბანული ხერხები, როგორცაა მცირე „ცენტრების“ შექმნა. საზოგადოებრივი სივრცის გარშემო წარმოიქმნება ეგრეთწოდებული „მესამე ადგილი“ - third place. „პირველი ადგილი“ - საცხოვრისი; „მეორე ადგილი“ - სამსახური; „მესამე ადგილი“

ერთდროულად წარმოადგენს საკონტაქტო სივრცეს, დასვენების სივრცეს და სამუშაო სივრცეს.

- ახალი სოციალური საცხოვრისი - უკანასკნელი ათწლეულის მახასიათებლებით ევროპული სახელმწიფოების მთავრობებმა მკვეთრად გაზარდეს სოციალური საცხოვრისის მშენებლობების ბიუჯეტი, რაც ადასტურებს, რომ ლიბერალური მოდელი, რომელიც გულისხმობდა დასაქმებული ადამიანის მიერ საცხოვრისის თვითშესყიდვას არ გაამართლა და ეს ტენდენცია ევროპის მოსახლეობაში სტაბილურად მზარდია.

სადღეისოდ, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ფეხს იკიდებს ისეთი ტერმინებით ოპერირება, როგორცაა „ისტორიული საქალაქო ლანდშაფტები“; „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“. ამ ცნებებების დამკვიდრება, თავის მხრივ, შესატყვისი იურდიული, გეგმარებითი და მართვის ინსტრუმენტების შემუშავებას ითხოვს.<sup>17</sup>[სურ.14]

ლანდშაფტური მიდგომა უზრუნველყოფს კულტურული მემკვიდრეობის არა ცალკეული ობიექტების, არამედ ისტორიული გეგმარებითი სტრუქტურის, ქალაქის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, არქიტექტურულ-სივრცითი დომინანტების, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების ერთიან მთლიანობაში დაცვასა და შენარჩუნებას.

იუნესკოს 2011 წლის „ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების რეკომენდაციის“ პრინციპების სრული შესაბამისობის პოზიტიურ მაგალითს წარმოადგენს პარიზის ისტორიული ცენტრის ფარგლებში სენის სანაპიროების რეკონსტრუქცია. პარიზის სენის სანაპიროები და მათთან ერთად მთელი ისტორიული ცენტრი 1991 წელს შეტანილი იქნა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

---

<sup>17</sup> იხ.ტაბულა სურ.14

## 1. თავი - ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები

თუ გადავხედავთ საერთაშორისო ძირითად აგლომერაციულ<sup>18</sup> ქალაქების რეიტინგის ათეულს რომელსაც იკვლევს ისეთი სტრუქტურები, როგორიცაა ICP<sup>19</sup>, AT Kearney<sup>20</sup>, PwC<sup>21</sup>, Mercer<sup>22</sup>, EUI<sup>23</sup>, ჩანს, რომ ყველაზე წარმატებულ ქალაქებს გააჩნიათ „მასტერ-პლანი“.[სურ.1]

დედამიწის უმსხვილესი აგლომერაციები, რომელთა მოსახლეობა 10 მილიონს აღემატება (2007 წლის 21 აპრილის მონაცემებით, ხოლო 2015 წლის მონაცემები იხილეთ [სურ.2])<sup>24</sup>:

	აგლომერატი	მცხოვრები	მოიცავს	ქვეყანა
1	<a href="#">ტოკიო</a>	33,4 მლნ.	<a href="#">იოკოჰამა</a> , <a href="#">კავასაკი</a> , <a href="#">საიტამა</a>	<a href="#">იაპონია</a>
2	<a href="#">სეული</a>	23,2 მლნ.	<a href="#">მუჩჰონი</a> , <a href="#">კოიანი</a> , <a href="#">ინჩჰონი</a> , <a href="#">სონამი</a> , <a href="#">სუვეონი</a>	<a href="#">სამხ. კორეა</a>
3	<a href="#">მეხიკო</a>	22,1 მლნ.	<a href="#">ნესახუალკოტლი</a> , <a href="#">ეკატეპეკი</a> , <a href="#">ნაუკალპანი</a>	<a href="#">მექსიკა</a>
4	<a href="#">ნიუ-იორკი</a>	21,8 მლნ.	<a href="#">ნიუარკი</a> , <a href="#">პატერსონი</a>	<a href="#">აშშ</a>
5	<a href="#">მუმბაი</a>	21,3 მლნ.	<a href="#">კალიანი</a> , <a href="#">ტხანე</a> , <a href="#">ულჰასნაგარი</a>	<a href="#">ინდოეთი</a>
6	<a href="#">დელი</a>	21,1 მლნ.	<a href="#">ფარიდაბადი</a> , <a href="#">გაზიაბადი</a>	<a href="#">ინდოეთი</a>
7	<a href="#">სან-პაულუ</a>	20,4 მლნ.	<a href="#">გუარულიუსი</a>	<a href="#">ბრაზილი</a>
8	<a href="#">ლოს-ანჯელესი</a>	17,9 მლნ.	<a href="#">რივერსაიდი</a> , <a href="#">ანჰაიმი</a>	<a href="#">აშშ</a>
9	<a href="#">შანჰაი</a>	17,3 მლნ.		<a href="#">ჩინეთი</a>
10	<a href="#">ოსაკა</a>	16,6 მლნ.	<a href="#">კობე</a> , <a href="#">კიოტო</a>	<a href="#">იაპონია</a>
11	<a href="#">კაირო</a>	15,9 მლნ.	<a href="#">გიზა</a> , <a href="#">შუბრა ალ-შაიმა</a>	<a href="#">ეგვიპტე</a>
12	<a href="#">მოსკოვი</a>	15,8 მლნ.		<a href="#">რუსეთი</a>
13	<a href="#">კალკუტა</a>	15,5 მლნ.	<a href="#">ხაურა</a>	<a href="#">ინდოეთი</a>

<sup>18</sup> საქალაქო აგლომერაცია (ლათ. Agglomeratio, „ვეერთებ“) — დასახლებული პუნქტების, მეტწილად ქალაქური ტიპის, კომპაქტური დაჯგუფება, რომლებიც ალაგ-ალაგ ერთმანეთს ერწყმის და ერთიანდება რთულ მრავალკომპონენტურ დინამიურ სისტემაში ინტენსიური საწარმოო, სატრანსპორტო და კულტურული კავშირებით. ანსხვავებენ მონოცენტრისტულ (ერთი მსხვილი ქალაქი-ბირთვის გარშემო ფორმირებული, მაგ. თბილისის აგლომერაცია) და პოლიცენტრისტულ აგლომერაციებს (რომელთაც რამდენიმე ქალაქი-ბირთვი აქვთ, მაგ. რურის აუზში ქალაქების დაჯგუფება გერმანიაში).

<sup>19</sup> Innovation Cities Program - This program is designed to give you the data, training and tools turns your ideas into innovation where you are. [www.innovation-cities.com](http://www.innovation-cities.com)

<sup>20</sup> A.T. Kearney, Top management consulting firm in strategy, operations, and information technology, [www.atkearney.com](http://www.atkearney.com)

<sup>21</sup> PwC - PricewaterhouseCoopers - the world's largest consulting and auditing network. <http://www.pwc.com/>

<sup>22</sup> Mercer University, [www.mercer.edu](http://www.mercer.edu)

<sup>23</sup> EUI - For European Institute established in 1951 in Saarbrücken, Germany, see Europa-Institut of Saarland University, for other uses, see European University (disambiguation)

<sup>24</sup> წყარო - <http://esa.un.org/unpd/wup/>; <http://e-geopolis.eu/>; [http://www.citypopulation.de](http://www.citypopulation.de;);

14	<a href="#">მანილა</a>	15,4 მლნ.	<a href="#">კალოკანი</a> , <a href="#">კესონი</a>	<a href="#">ფილიპინები</a>
15	<a href="#">ჯაკარტა</a>	14,9 მლნ.	<a href="#">ბეკასი</a> , <a href="#">ბოჰორი</a> , <a href="#">დეპოკი</a> , <a href="#">ტაგენგანგი</a>	<a href="#">ინდონეზია</a>
16	<a href="#">კარაჩი</a>	14,8 მლნ.		<a href="#">პაკისტანი</a>
17	<a href="#">გუანჯოუ</a>	14,5 მლნ.	<a href="#">ფოშანი</a>	<a href="#">ჩინეთი</a>
18	<a href="#">დაკა</a>	13,8 მლნ.		<a href="#">ბანგლადეში</a>
19	<a href="#">ბუენოს-აირესი</a>	13,5 მლნ.	<a href="#">სან-უსტო</a> , <a href="#">ლა-პლატა</a>	<a href="#">არგენტინა</a>
20	<a href="#">პეკინი</a>	12,7 მლნ.		<a href="#">ჩინეთი</a>
21	<a href="#">რიო-დე-ჟანეირო</a>	12,2 მლნ.	<a href="#">ნოვა-იგუასუ</a> , <a href="#">სან-გონსალო</a>	<a href="#">ბრაზილი</a>
22	<a href="#">თეირანი</a>	12,1 მლნ.	<a href="#">კერეჯი</a>	<a href="#">ირანი</a>
23	<a href="#">ლონდონი</a>	12,0 მლნ.		<a href="#">ინგლისი</a>
24	<a href="#">სტამბოლი</a>	11,7 მლნ.		<a href="#">თურქეთი</a>
25	<a href="#">ლაგოსი</a>	10,0 მლნ.		<a href="#">ნიგერია</a>

პირველ რიგში გავარკვიოთ, თუ რა ფუნდამენტური განსხვავებაა „მასტერ-პლანსა“ და გენ-გეგმას შორის, როგორ შეიძლება შეიცვალოს საქართველოს პირობებში ამ მიმართულებით მდგომარეობა და რა სიკეთე მოაქვს ასეთ ქალაქმშენებლობით დოკუმენტებს.

„მასტერ-პლანი“ - ეს არის ქალაქის სტრატეგიული სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტი, რომელიც შეიძლება იყოს როგორც მთლიანად სახელმწიფო სივრცითი მოწყობის, აგრეთვე მსხვილი ქალაქების ან ასეთი ქალაქის მცირე ერთეულის - ერთი კონკრეტული უბნის. ჩვენ შემთხვევაში ვეყრდნობით ისეთ დოკუმენტს როგორცაა „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“. ასეთი ტიპის დაგეგმვა გრძელვადიანია და აქცენტირებულია კონკრეტულ მიზნებსა და ამოცანებზე. „მასტერ-პლანის“ როგორც სტრატეგიული განვითარების დოკუმენტაციას ადგენს ხელისუფლება ექსპერტებისა და მოქალაქეების აქტიური მონაწილეობით. შედარების ნიმუშად მოვიყვანთ ქალაქ პერმში განხორციელებულ პროგრამას.<sup>25</sup> [სურ.3] იგი შედგება სამი ნაწილისაგან, ესენია: 1. „მასტერ-პლანი“; 2. გენერალური გეგმა; 3. სამოქმედო გეგმა.

1) „მასტერ-პლანი“;

- „მასტერ პლანი“ - მის შემადგენლობაში შედის უპირველეს ყოვლისა დევიზი (ქ. პერმის შემთხვევაში „Transforming The City“- გარდაქმნადი ქალაქი), რომელიც განსაზღვრავს ძირითად იდეას; ქ.

<sup>25</sup> <http://www.permgenplan.ru/> генеральный проект Перми



პერმის ეს დოკუმენტი შედგება 4 თავისაგან, ბიბლიოგრაფიისაგან და დანართებისაგან. პირველი თავი შესავალი, რომელიც მიძღვნილია და მოუწოდებს ქალაქის მოსახლეობას, რომ მიიღონ მონაწილეობა ქალაქ მშენებლობითი კონცეფციის „მასტერ-პლანის“ განხილვაში რათა ამ დოკუმენტს ქონდეს არა აბსტრაქტული არამედ პრაქტიკული შედეგი, ამასთანავე მოსახლეობისათვის შესავალშივეა მოცემული წინასაპროექტო კვლევის მასალები მოსახლეობასთან და მონაწილე მხარეებთან ერთად.

- მეორე თავი ეძღვნება ძირითად კონტექსტს და მიმდინარე ტენდეციებს მსოფლიოში, ქალაქ გეგმარებით საკითხებში. ამ თავს ლეიტმოტივით გასდევს განვითარების სხვადასხვა სცენარები და ვერსიები. ამავე თავშია ანალიტიკური მასალები, ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით, მდინარესთან და სანაპირო ზოლთან მიმართებაში, ეკოლოგიურ საკითხებში, სოციალურ საკითხებში, საინვესტიციო საკითხებში და სხვა ამგვარი ატრიბუტები.

- მესამე თავი ეძღვნება ძირითად სტრატეგიას: ხარისხობრივი გარდაქმნის სტრუქტურა; წითელი და მწვანე ზონების სტრატეგია; ლანდშაფტური და გარემოს დაცვითი სტრატეგია; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგია; საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარების სტრატეგია; მრავალფუნქციური ზონების სტრატეგია; კვარტალური განვითარების სტრატეგია; კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სტრატეგია; პერიფერიული ზონების და დარეზერვირებული ტერიტორიებს სტრატეგია.

- მეოთხე თავი - ნიმუშები და მაგალითები: ნიმუშებად მოყვანილია ქალაქის ხუთი ზონის სავარაუდო გრაფიკული ილუსტრაციები; ქალაქის ცენტრის დასავლეთ ნაწილის კვლევა; მდინარე დანილიხის ხევების კვლევა; კამსკის ველის ლანდშაფტის რეგენერაცია-ადაპტაცია; მდ. ეგოშიხის ისტორიული ხეობის კვლევა და რეკონსტრუქცია; რკინიგზის სადგურის პერმი 2-ის და მიმდებარე ტერიტორიის რეკონსტრუქცია წინასაპროექტო კვლევით.

- ბიბლიოგრაფია და საგნობრივი სამიუზეო.

- დანართები სადაც შედის ზოგადი წესები: საცხოვრებელი, ლანდშაფტური, კვარტალური განაშენიანება, პერიფერიული და დარეზერვირებული ტერიტორიები, საზოგადოებრივი სივრცეები, კულტურული მემკვიდრეობა, ქალაქის მდგრადი ეკონომიკური განვითარება, პრიორიტეტული პროექტები.

2) გენერალური გეგმა;

- პირველი ნაწილი - ტერიტორიული გეგმარებითი მიმდინარე მდგომარეობ და აღწერა;
- მეორე ნაწილი - ტერიტორიული და ზონალური გეგმარებითი სქემები ქალაქ პერმის გენგეგმის შემადგენლობაში;
- გენგეგმის მასალების სამეცნიერო კვლევითი დასაბუთება გენგეგმა არის ტერიტორიული დაგეგმარების დოკუმენტი, რომელიც შედგენილია სახელმწიფო კანონმდებლობის ესაბამისად და გათვლილია 15-20 წ.-ზე. ამასთანავე დოკუმენტში დეტალურადაა ყველა ზემოთ ძამოთვლილი კონცეფციის საპროექტო ტექნიკური მონაცემები.

### 3)სამოქმედო გეგმა - გენგეგმის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

- მოკლე განაცხადი სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე (კონკრეტული პროექტებისა თუ პროცესების დაწყება და დამთავრება);
- გენგეგმის კრებსითი ქსელური გრაფიკი წტაპების მიხედვით;
- გენგეგმის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ქმდედებების დაფინანსების წყარო მხოლოდ და მხოლოდ ქალაქის ბიუჯეტით;
- გენგეგმის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ქმდედებების დაფინანსების წყარო პერმის მხარის და ქალაქ პერმის ბიუჯეტით;
- გენგეგმის უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ქმდედებების დაფინანსების წყარო პერმის მხარისა და სახელმწიფო ბიუჯეტით;
- ნორმატიული აქტების პროექტი „ქალაქმშენებლობითი ტერიტორიების მომზადება ცენტრალური ობიექტების განლაგებისათვის“;
- სამოქმედო გეგმის რეალიზაციის სქემები, რომელიც შედგება 27 ქვეთავისაგან, სადაც დეტალურად არის აღწერილი და დაპროექტებული კონკრეტული ობიექტები, როგორც არქიტექტურული ასევე საინჟინრო, სოციალური, კომერციული და სხვ. მიმართულებებით, რომელიც მოიცავს ყველა სფეროს.

როგორც ზევით ავღნიშნეთ, მცხეთის ანსამბლის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ შექმნის შესახებ [სურ.4], ამის შემდეგ გახდა საქართველოში ეს ტერმინი ცნობადი. ამ დოკუმენტს

საერთაშორისო დონეზე მაღალი შეფასება ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ შეუძლებელი გახდა მისი წარმატება, განხორციელების კუთხით. პროექტის საერთაშორისო მხარდაჭერის მიუხედავად სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან, „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის განვითარების მასტერ-პლანი“ კანონის ძალით ვერ იქნა აღსრულებული. მაშინ როდესაც ეს დოკუმენტი ითარგმნა ქართულ ენაზე, ის ცნობილია მხოლოდ შეზღუდული რაოდენობის პროფესიონალებისთვის და ძნელად ხელმისაწვდომია მისი სრული ვერსია.

ხშირად გაიგონებთ, რომ ამა თუ იმ ქალაქს საქართველოში გააჩნია გენ-გეგმა, ან რაიმე ამის მსგავსი დოკუმენტი, მიუხედავად იმისა არსებული დოკუმენტი, კარგია თუ არა ვერ გავარკვევთ ვინაიდან ერთჯერადი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტი ვერ უზრუნველყოფს ურბანული დინამიკის ასახვას. გენ-გეგმა არის კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც სრულიად განსხვავებულია მთელი რიგი სპეციფიკაციებით. მაგალითად თბილისში ბოლო ე.წ. გენ-გეგმა შემუშავდა და ძალაში შევიდა 2009 წელს. ამ დოკუმენტის შინაარსი პროფესიული წრეებისათვის ცნობილია. იგი მიზნად ისახავს და კონცენტრირებულა მიწის რეგულირების, გამოყენებისა და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობის სანებართვო წესებზე, ანუ განიხილება მხოლოდ როგორც სამომხმარებლო დოკუმენტი ქალაქში. ამ შემთხვევაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ წაკითხვის შემდეგ ამ დოკუმენტით, შეუძლებელია იმის გაგება, თუ როგორ ხედავენ ქალაქს მისი ავტორები, მაგალითად ათი წლის განმავლობაში. სამაგიეროდ თქვენ შეგიძლიათ ნახოთ, რომელი კატეგორიის შენობა-ნაგებობა შეგიძლიათ ააშენოთ ამა-თუ იმ ადგილზე, სად რა შეზღუდვებია ან რა ზონები, მაგრამ არ არის ნათელი, თუ რატომ ან რისთვისაა ყველა ეს ჩამონათვალი, ან ამ რეკომენდაციების და ნორმების უკან რა მომავალია.

ამასთანავე ისმება კითხვა რა სარგებლობას მოგვიტანს გენ-გეგმის გარდა ისეთი დამატებითი იურიდიული დოკუმენტი, როგორიცაა „მასტერ-პლანი“.

ასეთი დოკუმენტი ეფექტურია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას იყენებს ჭკვიანი მმართველი, რომელიც დამოკიდებულია და ორიენტირებულია ამომრჩეველზე. მთავარი განსხვავება „მასტერ-პლანსა“ და არსებულ გენერალურ-გეგმებს შორის ის არის, რომ რომ „მასტერ-პლანს“ აქვს კონცეპტუალური ხედვა-სტრატეგია, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, განსაზღვრავს და ამახვილებს ყურადღებას იმაზე, თუ რა იქნება ქალაქში გრძელვადიან მომავალში (იგილისხმება 5-დან 30 წლამდე, ან მეტი პერიოდი), საზოგადოებისა და მოსახლეობის ჩართულობა რაც იძლევა მას მთელ რიგ უპირატესობებს სხვა დოკუმენტებისაგან განსხვავებით.

მაგალითისათვის თბილისის ეგ.წ. გენ-გეგმამ თავის დროზე არაერთი გაუგებრობა და კითხვები წარმოშვა, ამასთანავე მისი მიღების დღიდან დღემდე არა ერთი საჩივარი და განცხადება შედის თბილისის მერიაში.



ამის სტატისტიკა წლების განმავლობაში ბლოკირებულია და მისი განსაზღვრა ამ ეტაპზე შეუძლებელია. როგორც საერთაშორისო სტატისტიკური გამოცდილება გვიჩვენებს რეიტინგულ ათეულში შემავალი ქალაქებისათვის, „მასტერ-პლანის“ შემთხვევაში, პრეტენზია და კითხვები ჯამურად ხუთი ათასს არ აღემატება, მაგალითად ისეთი ქალაქისათვის როგორცაა ტოკიო. ასეთი განსხვავების მიზეზი მარტივია: სტრატეგიული განვითარების „მასტერ-პლანი“, მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების განხილვაში ჩართულობას, როგორც ძირითადი იდეების დამუშავების პერიოდში, აგრეთვე უშუალოდ შექმნისა და დასრულებული დოკუმენტის – განხილვის პროცესშიც.

ხელისუფლებამ და მუშა ჯგუფმა უნდა ჩაატაროს სოციოლოგიური კვლევა, მრგვალი მაგიდის განხილვები, გამოაქვეყნოს შუალედური შედეგები პრესაში. უფრო მეტიც, ეს ურთიერთობა საზოგადოებასთან და მოქალაქეებთან უნდა იყოს უწყვეტი და ორმხრივი, აგრეთვე საჭიროა არა მარტო ვირტუალური, არამედ ცოცხალი და ხშირი კომუნიკაცია მოსახლეობასთან. „მასტერ-პლანის“ მოსამზადებელი სამუშაოებისას მოქალაქეები ხდებიან პარტნიორები ქალაქის მთავრობასთან. ყველა მოქალაქე გრძნობს მის ჩართულობას დოკუმენტის შექმნისას და ესმის, რომ ქალაქის მომავალი მასზედაცაა დამოკიდებული და უშუალო სრულფასოვანი მონაწილეა პროცესების. „მასტერ-პლანის“ შემუშავებისას, ადგილობრივი თვითმმართველობის ყველა დეპარტამენტები თუ უწყებები ერთვებიან პროცესში.

ამჟამად უწყებებს შორის პასუხისმგებლობა ხშირად თანმხვედრია, განმეორებითი ან ეწინააღმდეგება ერთმანეთს. თვითეული არეგულირებს თავის საქმიანობის პროგრამას. მიუხედავად იმისა მარეგულირებელი დოკუმენტები არსებობენ თუ არა, უამრავი პრობლემებიდან გამომდინარე, ყველა მათგანი ცდილობს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგას, რათა შეიქმნას ახალი ქუჩები და გზები, განავითაროს მიწისქვეშა თუ მიწისზედა კომუნიკაციები. მაგრამ ასეთი პროგრამები უმეტესად არ შეესაბამება ერთმანეთს. ასეთი პროგრამები განკუთვნილია, როგორც წესი, მაქსიმუმ ორი ბიუჯეტის ციკლსა და საარჩევნო პერიოდზე, ამასთანავე ორიენტირებულია ერთჯერად გადაწყვეტილებებსა თუ ერთჯერად დოკუმენტებზე, რომელიც კერძო ან ვიწრო დარგობრივი ინტერესებითაა განპირობებული, რომლის შედაგადაც კატასტროფების ან გაურკვევლობის შემთხვევაში დამნაშავე არ არსებობს.

„მასტერ-პლანის“ იგნორირება და არქონა თვალსაჩინოს ხდის მმართველობის რეალურ სახეს, რაც საბიუჯეტო ფლანგვის, ქალაქებისა და კულტურული მემკვიდრეობის განადგურების, კორუფციისა და სხვა სახის პრობლემებისა და ცრუ დაპირებების კორიანტელითაა გამოხატული. „მასტერ-პლანი“ იძლევა საშუალებას და აჩვენებს ყველა ჩინოვნიკს, რაც მთავარია ხელისუფლებას, რომ იგი - დაქირავებულია დროებით, მაგრამ

არ არის მხოლოდ დეპარტამენტებისა თუ შიდა სტრუქტურული ერთეულების ერთჯერადი კომპლექტი, არამედ იგი არის ერთიანი შეკრული ცენტრი, გრძელვადიანი პროგრამისა და გადაწყვეტილებების განსახორციელებლად მდგრადი განვითარების კონტექსტში.

ნებისმიერი „მასტერ-პლანის“, გარდა ზემოთ აღნიშნული უპირატესობებისა, გააჩნია ერთი პრობლემა რაც პოლიტიკურ მოხელეს აფრთხობს - ეს არის, ფაქტობრივად, მისი გრძელვადიანობა. რაც შეეხება გენ-გეგმას, იგი ხორციელდება თითქმის შეუმჩნეველად, გენ-გეგმა იძლევა საშუალებას დავინახოთ „მასტერ-პლანის“ ცხოვრებაში რეალიზების, თანდათანობითი ნაბიჯები და მისი კრიტერიუმებია:

a) ფასეულობითი - ნებისმიერი ზემოქმედება ისტორიულ ქალაქზე და ურბანულ ტერიტორიაზე უნდა იწარმოებოდეს მათდამი პატივისცემით და მატერიალური და არამატერიალური ფასეულობების მნიშვნელობის გათვალისწინებით.

b) სოციალური - თითოეული ჩარევა ისტორიულ ქალაქში მიმართული უნდა იქნას ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის და გარემოს გაუმჯობესებისაკენ.

c) ხარისხობრივი - რომელიც მხოლოდ დისციპლინათაშორის მიდგომებზე დაფუძნებული ურბანული განვითარების გენერალური გეგმის არსებობის პირობებშია შესაძლებელი.

d) ცვლილებების, მემკვიდრეობის დაცვის, სოციალური და ეკოლოგიური პირობების გაუმჯობესების ურთიერთ დაბალანსებულ მიზნებისკენ მიმართვა;

e) თითოეული ისტორიული ტერიტორიისა და მისი გარემოცვის, როგორც ერთი მთელის განხილვა, ეს კი იმდენადაა მნიშვნელოვანი, რამდენადაც თითოეულის წონასწორობა და განსაკუთრებული ხასიათი მისი შემადგენელი ელემენტების სინთეზზეა დამოკიდებული.

f) ფინანსური და ფისკალური დამაბულობები - ქალაქი ყოველთვის საჭიროებს ინვესტიციებსა და დამატებით კაპიტალს. ასეთ დროს ნამდვილი ინვესტორისათვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, რომ გაიგოს, როგორ ქალაქში დააბანდა, რა ტერიტორიები განვითარდება, რომელი სფეროები? ღირს კი ინვესტირება სამომავლოდ? თუ ინვესტორი, ზოგიერთ შემთხვევაში არ არის დარწმუნებული, კონკრეტული პროგრამის ხედვაში და განვითარების პერსპექტივაში ან ეჭვი აქვს და არ ენდობა მმართველობას, ასეთ დროს „მასტერ-პლანი“ იქნება მისთვის პროგრამის განვითარების გარანტი.

ისტორიულ ქალაქებში ცვლილებები დაფუძნებული უნდა იყოს ბუნებრივი რესურსების განადგურების თავიდან აცილებასა და ბუნებრივი ბალანსის პატივისცემაზე. ცვლილებები გამოყენებულ უნდა იქნეს ისტორიულ ქალაქებში ეკოლოგიური პირობების სრულყოფის, მწვანე სივრცეების გავრცელებისა და ხელმისაწვდომობის სტიმულაციისათვის; ასევე, ბუნებრივ რესურსებზე ზომიერად დასული ზეწოლის თავიდან აცილებისათვის.

- ურთიერთკავშირი - ნაირობის რეკომენდაციის მიხედვით<sup>26</sup> (მუხლი 3.) „თითოეული ისტორიული ტერიტორია და მისი გარემოცვა უნდა განიხილებოდეს ერთობლივად, როგორც ერთი მთელი. თითოეულის წონასწორობა და განსაკუთრებული ხასიათი დამოკიდებულია მისი შემადგენელი ელემენტების სინთეზზე.

- ხელისუფლება - ეფექტური მართვა ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის ფართო ჰარმონიული ურთიერთქმედების ორგანიზებას: ხელისუფლების არჩევითი ორგანოების, მუნიციპალური სამსახურების, სახელმწიფო დაწესებულებების, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, უნივერსიტეტების, ექსპერტების, პროფესიული ორგანიზაციების, მაცხოვრებლების და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაცვის და ისტორიული ქალაქების აღდგენისა და მდგრადი განვითარების თვალსაზრისით.

პოლიტიკური თანამდებობის პირების პირდაპირი ჩართვა „მასტერ-პლანში“ იძლევა საშუალებას, ასეთმა ფიგურამ პოლიტიკურად გაიმყაროს თავისი იმიჯი მოქალაქეების თვალში, მისი სტატუსი და ადგილი სამომავლოდ ქალაქში. ეს არის ერთ-ერთი მთავარი თავისებურება „მასტერ-პლანის“, პოლიტიკური მოხელეებისათვის. „მასტერ-პლანი“ არ არის ქალაქის მერის ან რომელიმე ხელმძღვანელი პირის ინიციატივით შექმნილი დოკუმენტი, ისინი მხოლოდ ასეთი დოკუმენტის შესრულების უზრუნველყოფის გარანტები არიან. ამომრჩეველისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაიგოს, თუ რა მომავალი ექნება მას ამ პოლიტიკოსებთან და მმართველებთან ერთად.

ყველა ლიდერი ქალაქები, რომელთაც საერთაშორისო სარეიტინგო სისტემის ასეულშია, სამ საფეხურიანი სტრუქტურა აქვთ. ზედა დონეზე არსებობს სივრცის განვითარების სტრატეგია ანუ ქალაქის „მასტერ-პლანი“, როგორც ძირითადი სათაო დოკუმენტი. მეორე საფეხურზე წარმოდგენილია: მიწათსარგებლობის, მცირე ტერიტორიებზე სასურველი

<sup>26</sup> Вспомогательный орган для консультирования по научным и техническим аспектам; Тридцать девятая сессия, Варшава, 11–16 ноября 2013 года; Найробийская программа работы в области воздействий изменения климата, уязвимости и адаптации Найробийская программа работы в области воздействий изменения климата, уязвимости и адаптации. (<http://unfccc.int/resource/docs/2013/sbsta/rus/l34a01r.pdf>)

განაშენიანების და სხვ. სახის დოკუმენტები და მესამე დოკუმენტია სამოქმედო გეგმა. ხშირად ამ ორ საფეხურ შორის არის ფენის სახით მცირე სქემები, რომლებიც გავლენას ახდენს ტრანსპორტის განვითარებასა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის, ბუნებრივი და ხელოვნური ლანდშაფტის სფეროებში – ეს სქემა ნათლად მოსჩანს ქ. პერმის მაგალითზე, ასეთი ვარიანტი ადაპტირებული სახით, შეიძლება გამოყენებულ იქნას საქართველოს ნებისმიერ დასახლებულ პუნქტში. მაგალითად კონსერვაციის გეგმა, ეს გეგმა უნდა ეფუძნებოდეს მთელი ქალაქის ურბანული განვითარების კონცეფციას, ამასთანავე, უნდა შეიცავდეს არქეოლოგიურ, ისტორიულ და სოციოლოგიურ-კულტურულ ფასეულობებს, რაც თავის მხრივ უნდა იქცეს ისტორიული ქალაქის დაცვისა და შენარჩუნების პროგრამად, მართვის გეგმასთან შეთანხმებით და შემდგომი მუდმივი მონიტორინგით. კონსერვაციის გეგმამ უნდა განსაზღვროს ნებისმიერი ცვლილებების პირობები, წესები, მიზნები და შედეგები. მასში განსაზღვრული უნდა იყოს რომელი შენობები და სივრცეები უნდა შენარჩუნდეს... თითოეული ჩარევის შემთხვევაში დაცვის გეგმამ უნდა მოიცვას, როგორც მატერიალური ასევე არამატერიალური ელემენტები, იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნას ადგილისა და სივრცის იდენტურობა. ანალოგიური შეიძლება ითქვას საყრდენ გეგმაზეც, რომელიც იძლევა საშუალებას მმართველობითი ორგანოს, სტრუქტურული ერთეულების მიერ ჩატარებული აღრიცხვითი და შეგროვილი ანალიტიკური მასალის საფუძველზე იქმნება.

ამ შემთხვევაში გვექნება გრძელვადიანი სტრატეგია, აგრეთვე ტერიტორიების განვითარების დეტალური გეგმები, დადგენილი პერიოდის განმავლობაში. ქალაქებს და მუნიციპალიტეტებს აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი მართვის ინსტრუმენტი, რათა თავი დავიზღვიოთ პიროვნულ-ამბიციური თუ სხვა სახის გადახრებისაგან.

განვიხილოთ ამჟამად მიმდინარე საკანონმდებლო ინიციატივა “საქართველოს სივრცითი მოწყობისა და მშენებლობის კოდექსი”, თუ რა არის ამ დოკუმენტში თავმოყრილი საპარლამენტო განხილვამდე, თანამედროვე მიდგომების კუთხით.

ამ საკანონმდებლო პროექტის მიზანია საქართველოს ტერიტორიასა და მის ცალკეულ ნაწილებზე ბუნებრივი და ადამიანის მიერ სახეცვლილი გარემოს ფუნქციურ-სივრცითი წესრიგისა და უსაფრთხოების სამართლებრივი წინაპირობების უზრუნველყოფა. თუ ამ ნაწილში იქნება აქცენტი ევროინტეგრაციის პროგრამის ვალდებულებებიდან გამომდინარე<sup>27</sup> და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით მომქმედი ევროპის ეკონომიკური

<sup>27</sup>ასოცირებისშესახებშეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოსშორის, AA & DCFTA (2014)



კომისიის რეკომენდაციები: „ტერიტორიულ–სივრცითი დაგეგმარება, ეფექტური მართვისა და განვითარების საკვანძო ინსტრუმენტი გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის განსაკუთრებული აქცენტებით“, მაშინ უფრო ნათელი იქნებოდა სისტემური მიმართულება საერთაშორისო ნორმებზე.

რაც შეეხება კოდექსის ამოცანებს, აქაც სასურველი იქნებოდა აქცენტირება საერთაშორისო ნორმებზე, რაც გაამარტივებდა ტერმინოლოგიას და ზედმეტი დეტალიზაცია არ იქნებოდა საჭირო, ვინაიდან ასეთი ჩამონათვალის შემთხვევაში შეიძლება გამოგვჩვენოს პროექტის რეალური დანიშნულება და დატოვოს მრავალი ხარვეზი რაც არასწორი ინტერპრეტირების საშუალებას ტოვებს, მაგალითისათვის - ა) პუნქტში წერია, რომ - „საქართველოს მთლიანი ტერიტორიისა და მისი ნაწილების გამოყენებისა და განვითარების მოწესრიგება სხვადასხვა ინტერესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე შემუშავებული სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით“. ამ პუნქტში არ არის გამიჯნული სახელმწიფოს მთლიანი ტერიტორიული მოწყობა, ცალკე მუხლად მისი ნაწილებისაგან, თუ არ იქნება ერთიანი ცონცეფცია ვერ იქნება ადგილობრივი სტრატეგია, ეს საერთაშორისო აქსიომაა და ვერაფერს დავუმატებთ. აქვე უნდა ვთქვათ ისიც რომ ერთ სივრცეში სახელმწიფოს სხვადასხვა ინტერესები ვერ ექნება. და უნდა იყოს „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების მეშვეობით“, ვინაიდან გრაფიკული მასალით არ შემოიფარგლება აღნიშნული სივრცითი მოწყობა და ქალაქთმშენებლობითი გეგმები.

უცნაურია მაგრამ შესავალიდან მოყოლებული „მდგრადი განვითარება“ მეხუთე მუხალამდე არსად არ არის ნახსენები, აქ უეცრად ხსენებული „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების მეშვეობით“- „ემყარება მდგრადი განვითარების პრინციპს“. რა თქმა უნდა ეს მხოლოდ პროექტია და მასში კიდევ ბევრი ცვლილება შევა, თანაც მიუხედავად პროფესიონალთა წრეებში კონსულტაციების მიუხედავად ბევრი საკითხი შეუთანხმებელი დარჩა, მაშინ როდესაც ავტორები აკონკრეტებენ: "ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის უსაფრთხო ქალაქთმშენებლობის უზრუნველყოფა, სამშენებლო საქმიანობის საუკეთესო პრაქტიკის დამკვიდრება და მშენებლობის ხარისხის ამაღლება"; „მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების გამარტივებისა და სამშენებლო ზედამხედველობის ეფექტურობის ამაღლების გზით სამართლებრივი უსაფრთხოების და სტაბილური საინვესტიციო გარემოს უზრუნველყოფა“; (მუხ.10; თავი 3) „ამ მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობითი დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნეს საზოგადოებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მოსაზრებები;“, როგორც შეამჩნიეთ საზოგადოებრივი ჩართულობა, რომელიც შესაძლოა გარეგნულად იყო

კანონის შემუშავების პროცესში, აისახა მასზე იმ პროცენტით რა პროცენტითაც იყო რეალურად მონაწილეობა მიღებული. ასეთი დოკუმენტის შემუშავების უპირველესი მონაწილე კი საზოგადოებაა, ვინაიდან ის არის ამ საკანონმდებლო ინიციატივის მთავარი ობიექტი. პირველი რაც შეიძლება თვალში მოგვხდეთ ეს არის მსგავსება რუსეთის ფედერაციის ანალოგიურ კანონთან, ეტყობა ამიტომაც მისი ფორმატირება გაჭირდა ევროინტეგრაციის კონტექსტში. პროფესიული სამეცნიერო წრეებისათვის ასეთი საკანონმდებლო დოკუმენტის განხილვა-ექსპერტიზა საჭიროა და აუცილებელი რათა თავი დავიზღვიოთ „ცუდი“ ასლისაგან და კარგად გავიაზროთ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკაცია, ამისთვისაა გაკეთებული გარდამავალი ქვეყნებისათვის რეკომენდაციები, რომელიც სწორედ პროფესიული სამეცნიერო წრეების მიერ არის შემუშავებული და მიღებული ევროპის თანამეგობრობის მიერ.

რა თქმა უნდა ხარვეზის აღმოფხვრა შესაძლებელია და ასეც იქნება უახლოეს მომავალში, სამწუხაროა ის რომ ხშირად ასეთი კარგი ინიციატივები პოლიტიკური დისონანსის მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს. გასულმა წლებმა დაგვანახა „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-რპლანის“ დოკუმენტის მიმართ პოლიტიკური ამბიციების შედეგები, ხშირია საქართველოს უახლეს ისტორიაში ასეთი დოკუმენტების ხარჯზე სახელმწიფო ფინანსების ფლანგვა, ასეთი პროექტები განწირული იყო ფუჭი შრომისათვის, ან განკუთვნილი იყო ერთპიროვნული ინტერესებისათვის. ამ განვლილი პერიოდისათვის დამახასიათებელია ასეთი ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები ერთი კონკრეტული ამბიციებისათვის, რასაც მოჰყვა კიდევ ქუთაისის ინციდენტი საერთაშორისო დონეზე, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის ხელყოფისათვის.

## 2. თავი - ქვეყნის მდგრადი განვითარება

ევრო კავშირმა მიიღო დოკუმენტი „ევროპის კონტინენტის მდგრადი სივრცითი განვითარების საფუძვლები“<sup>28</sup>-ს შესახებ. საყოველთაოდა ცნობილია, რომ სოციალური თანასწორობა ევროპის კონტინენტზე პირდაპირ დამოკიდებულია კომფორტული გარემოს შექმნასთან უკლებლივ ყველა მოქალაქესთან. ევროკავშირის გრანდიოზული, კონტინენტალური მასშტაბის შეგრძნება იძლევა საშუალებას და პერსპექტივას მთლიანი სივრცითი მოწყობისა: „კონტინენტისათვის აუცილებელია შეინარჩუნოს და გაამყაროს თავისი ეკონომიკური პოზიციები მზარდ მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე“.

მდგრადი განვითარების კონცეფცია ეხება ეკონომიკური ზრდას, რომელიც მოიცავს მოთხოვნას ეკონომიკური რესურსების შენარჩუნების - მოკლე, საშუალო და განსაკუთრებით გრძელ ვადიან პერსპექტივაში. ამ მიზნით ევროკავშირმა მიიღო მდგრადი განვითარების სტრატეგია. ეს კონცეფცია ეფუძნება იმ წინაპირობას, რომლის განვითარება უნდა აკმაყოფილებდეს თანამედროვე მოთხოვნებს, მომავალი თაობის ზრდასა და განვითარებაზე ზიანის მიყენების გარეშე, (მაგალითად - არაადგენადი რესურსების, ეკოსისტემის დაუზიანებლად ალტერნატიული გზების მოძიება, დაწყებული ბუნების ცვლილებებიდან, რომელიც გამოიწვევს ისეთ კატაკლიზმებს, როდესაც ადამიანის, როგორც ბიოლოგიური ელემენტის გადარჩენის არცერთი გზა აღარ არსებობს)

2001 წლის მაისში კომისიამ მიიღო ევროკავშირის მდგრადი განვითარების სტრატეგია. საგარეო ფორმატში 2002 წელს მდგრადი განვითარების სტრატეგია კომისიამ გადაიტანა გლობალური პარტნიორობის ფორმატში. იოჰანესბურგში (აგვისტო-სექტემბერი, 2002წ.) მდგრადი განვითარების სტრატეგიის მსოფლიო სამიტზე მოხდა ვალდებულებების მხარეების მიერ ოფიციალური დადასტურება.

სტრატეგია უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მაღალი დონეს, სოციალურ თანასწორობას და სამართლიანობას, ეკონომიკის აყვავებისგან, გლობალური მდგრადი განვითარების აქტიური წინსვლა. ამ ძირითადი საკვანძო ელემენტებს შორის, არსებობს უამრავი მიმართება - განახლებადი ენერჯის გამოყენება და კლიმატური ცვლილებები, კლიმატის ცვლილება და სიღარიბე, სიღარიბე და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები და მეთოდიკა და სხვ.

<sup>28</sup> The Guiding Principles for Sustainable Spatial Development of the European Continent were adopted at the 12th Session of the CEMAT held in Hanover in 2000 and incorporated into Recommendation (2002) I by the Committee of Minister to Member States on the Guiding Principles for Sustainable Spatial Development of the European Continent. <http://www.coe.int/web/portal/home>

კომისიამ, რომელიც დაიწყო ბაროზუს ხელმძღვანელობით 2004 წლის ნოემბერში გადახედა მდგრადი განვითარების სტრატეგიას და მასში ცვლილებები შეიტანა, რომლებიც 2001 წლიდან იყო მოქმედებაში.

2006 წლის ივნისში, ევროპის საბჭომ მიიღო ახალი მდგრადი განვითარების სტრატეგია 2005-2010 წლებისათვის, ბევრ სფეროში.

შესწორებული სტრატეგია განსაზღვრული შვიდი ძირითადი მიზნები:

- კლიმატის ცვლილება და სუფთა ენერჯია
- მდგრადი ტრანსპორტი
- მდგრადი წარმოებისა და მოხმარების
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საფრთხეს
- უფრო რაციონალური ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის
- სოციალური, დემოგრაფიული ცვლილებისა და მიგრაციის
- გლობალური სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლა

ამ მიმართულებით საქართველო როგორც ევროპისაკენ მიმავალი სახელმწიფო ვალდებულია შეიმუშაოს ნაციონალური მიწათსარგებლობისა და ქალაქმშენებლობითი დოქტრინა ქვეყნის მდგრადი განვითარების კონტექსტში, ჩართოს ურბანული და ქალაქმშენებლობითი სამეცნიერო წრეები საკითხის გადაწყვეტაში, შესაბამისი სპეციალობის ინსტიტუტებში სწავლების პროცესების და სამეცნიერო კვლევების ამ მიმართულებით გააქტიურება, ქვეყნის მოქალაქეების (საზოგადოების და მოსახლეობის) ინფორმირება და მათი პროცესებში ჩართულობის ორგანიზება-უზრუნველყოფა.

1. ტერიტორიების სივრცითი განვითარების პრინციპები
2. ქალაქმშენებლობითი მეცნიერების დარგთაშორისი ხასიათი
3. ქალაქმშენებლობითი კრიზისების დამლევის მექანიზმები
4. საკანონმდებლო სივრცის მოწესრიგება ისტორიული ქალაქებისათვის.

მათი მდგრადი განვითარების კონტექსტში ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დოკუმენტების შესაბამისად.

5. არქიტექტურა როგორც შემოქმედება და მრავალდარგობრივი დისციპლინა ძირითადი პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთი წყარო.

როგორც აღინიშნა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ლანდშაფტური მიდგომა ქალაქგეგმარებაში ყველაზე აქტუალური გაქდა. რიგი ეკოლოგიური კატასტროფებისა აშკარად წარმოაჩენს ახალი მიდგომების აუცილებლობას, რაც აისახა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არაერთ დოკუმენტში. ამ სქემაში კარგადაა განსაზღვრული ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების ადგილი. იგი



წარმოადგენს კულტურული ლანდშაფტის ერთ-ერთ სტრუქტურულ შემადგენალ ნაწილს.

კულტურული ლანდშაფტის გაგება და მისი თეორიული მიმოხილვითი ანალიზით, იუნესკოს სახელმძღვანელო დოკუმენტებით, მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციით, წარმოიშვა დეფინიცია „კულტურული ლანდშაფტი“ და დამკვიდრდა მისი ადგილი ძეგლების ტიპოლოგიურ ნუსხაში. კულტურული ლანდშაფტი გაგებულია როგორც ბუნებისა და ადამიანის ერთობლივი შემოქმედებითი ნაწარმოების შედეგი. მისი სახეობებია: 1.) კლასიკური ლანდშაფტური გეოგრაფიული ხედვა; 2.) ეთნოგრაფიულ-გეოგრაფიული ხედვა; 3.) აქსიოლოგიურ-ინფორმაციული ხედვა

კულტურული ლანდშაფტი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მომეტებულ დაინტერესებას იწვევს მსოფლიოში. იგი არ განეკუთვნება ერთი რომელიმე კონკრეტული მეცნიერების, პროფესიის თუ სხვა დაინტერესების სფეროს. კაცობრიობამ შესაძლოა პირველად თავის ისტორიაში დაინახა თუ რამდენად ასცდა იგი თავის ბუნებრივ განვითარებას, რა არაგონივრულად იყენებს იგი თავის სახეობისა თუ „გონიერის“ დომინანტის სტატუსს, როდესაც საკუთარი ხელით შეუქმნა საკუთარი თავის არსებობას ხიფათი. ყველაზე ამბიციური პოლიტიკოსიც კი ხვდება, რომ არ არსებობს აბსოლუტური ხელისუფლება, ყველაზე ეგოისტურმა ფინანსისტებმაც იციან, რომ ფული არ უნდა ჭამო - არ იჭმევა. ჩიხი რომელშიც კაცობრიობა შევიდა, რომელშიც საკუთარი თავი თავადვე შევიყვანეთ უკვე შეგვიქმნა უდიდესი პრობლემები. უკან მობრუნების შანსი კიდევ არსებობს, ამის დასტურია ევროკავშირის, იუნესკოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთელი რიგი ღონისძიებები მიმართული ეროვნული თუ ნაციონალური კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, ლანდშაფტისა და გარემოსდაცვითი საკითხები, რომელიც წარმოაჩენს ამა თუ იმ კულტურას, გამოცდილებას, ისტორიულ სინამდვილეს და სხვა ასპექტებს.

კულტურული ლანდშაფტის სამეცნიერო-სეკულარული ინტერპრეტაცია არა-საკმარისია ურბანული და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, ასეთ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი როლი აქვს სივრცითი-აქსიოლოგიური განზომილებას და იეროტოპიულ დისციპლინას, როგორც საკრალური სივრცეების შესწავლის ერთერთ უმთავრეს ასპექტს ურბანულ და ქალაქმშენებლობით საკითხში, ამასთანავე იგი წარმოადგენს ადამიანისათვის ძირითადი მიზიდულობის წყაროს.

კულტურული ლანდშაფტის საკრალური სივრცის უმთავრესი ატრიბუტია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა. ბუნებრივი ფასეულობები, მსოფლიო ფასეულობების სტრუქტურისა და რეალური მდგომარეობის, ანუ სხვადასხვა

ფასეულობებს შორის ურთიერთდამოკიდებულება სოციალურ-კულტურული ფაქტორის და პიროვნულობის (პიროვნების სტრუქტურის) დომინანტით. კულტურული ლანდშაფტების მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში წარდგენის გამოცდილება მხოლოდ ახლა იწყებს ჩამოყალიბებას. როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ნომინაციის ანალიზი ცხადყოფს მრავალი ობიექტი, რომელთაც ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ნომინაცია ჰქონდათ მინიჭებული, იმავდროულად, რენომინაციისა და კულტურული ლანდშაფტის სტატუსის მიკუთვნების უცილობელი საფუძველი გააჩნდათ. ამ თვალთაზრისით, მნიშვნელობას იძენს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი კულტურული ლანდშაფტების უნივერსალური ფასეულობის დასაბუთების მეთოდოლოგიის შესწავლა.<sup>29</sup>

ნომინაციაზე წარდგენილი ბევრი ობიექტი ვერ იღებს საძიებელ სტატუსს, ხშირ შემთხვევაში, ობიექტის განსაკუთრებული ფასეულობის არასაკმარისად დამაჯერებელი არგუმენტაციის გამო. „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ კონცეფციის ძირითადი მიმართულებების განმსაზღვრელ ფაქტორს შეადგენს, მისი განუზომელი ისტორიულ-კულტურული და რელიგიური მნიშვნელობა, მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ქრისტიანული ხუროთმოძღვრების შეუდარებელი ქმნილებების (სვეტიცხოვლი, მცხეთისჯვარი, სამთავრო) ანსამბლის, არმაზციხისა და სამთავროს არქეოლოგიური ძეგლების, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების კომპონენტების, საკაცობრიო ფასეულობა. მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის შესრულების სახელმძღვანელოს მიხედვით (იხ. §-271) მცხეთის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის „იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანის ფაქტი ადსტურებს მის განსაკუთრებულ მსოფლიო ფასეულობას, რომელიც ექვემდებარება დაცვას მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ“<sup>30</sup>. ამ საკაცობრიო ფასეულობისადმი საერთაშორისო ზრუნვის გამოხატულებას წარმოადგენს „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“. თანამედროვე არქიტექტურამ თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს ადგილის დაცვასთან მიმართებაში, ამასთანავე, მას მკაფიო და ხაზგასმული კავშირი უნდა ჰქონდეს არსებულ არქიტექტურასთან და მისი გარამოცვის ხასიათთან. პერსპექტივები, ხედები, ვიზუალური აღქმის საკვანძო წერტილები და ვიზუალური კორიდორები

<sup>29</sup> ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაცია-ერთპიროვნულ გადაწყვეტილებათა ხელშემშლელი ფაქტორი. მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმის იგნორირების კონტექსტში (გ. შაიშველაშვილი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არქიტექტურისა, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი. ჟურნალი განათლება, #2(8) 2013წ. <http://newsletters.gtu.ge>)

<sup>30</sup> მსოფლიო კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის კონვენცია - იუნესკო 1972 წ

წარმოადგენენ ისტორიული სივრცის განუყოფელ ნაწილს. ნებისმიერ ჩარევას ისტორიულ ქალაქის სტრუქტურაში წინ უნდა უძღვოდეს არსებული სიტუაციის ანალიზი და შესაბამისი დოკუმენტირება. ხედვითი სექტორები. ახალი შენობა-ნაგებობის ისტორიულ გარემოსა და ლანდშაფტში ჩართვა შეფასებულ უნდა იქნას ფუნქციური დატვირთვის თვალსაზრისით, განსაკუთრებით როცა ის მოღვაწეობის ახალი სახეობებისათვისაა განკუთვნილი. კითხვაზე-რატომ, რომ საფრანგეთის ისტორიულ ცენტრებში, პრაქტიკულად, არ არსებობს კონფლიქტი მემკვიდრეობის დაცვასა და ქალაქის ურბანულ განვითარებას შორის, პარიზის უნივერსიტეტის („პარიზი XII“) პროფესორი რემი პრუდომი პასუხობს, რომ „მსხვილი ქალაქების დიდ უმრავლესობაში კომერციული განვითარება თავმოყრილია ისტორიული ცენტრებისაგან მოშორებით“. პრუდომს მაგალითად მოჰყავს პარიზის ცენტრისაგან 10 კმ-ის მოშორებით მსხვილი კომერციული ცენტრი დეფანსი. [იხ. სურ.5; სურ.6; სურ.7] (დასკვნითი მოხსენება. აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის ქვეყნების რეგიონული კონფერენცია, თემაზე „მართვა და მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ქალაქების ისტორიული ცენტრების დაცვა-შენარჩუნება“. (29.01-02. 2007წ, სანკტ-პეტერბურგი). განსაკუთრებით საყურადღებოა დოკუმენტის გაზრდილი ინტერესი ისტორიული ქალაქის განუმეორებელი ხასიათის (იდენტურობის), საზოგადოებრივი სივრცეების, ისტორიული ლანდშაფტების და კულტურული ტრადიციების დაცვის მიმართ. მოუწოდებს ხელისუფლებას და არქიტექტურულ საზოგადოებას პატივისცემით მოეპყროს იტორიას, გააცნობიეროს მისი პრიორიტეტული როლი საზოგადოების კონსოლიდაციაში, რომელთაც თანამედროვე გლობალურ სამყაროში ისტორიული ფესვების დაკარგვის საფრთხე ემუქრებათ.

„როგორც ევროპული ქალაქგანვითარების ანალიზი ცხადყოფს, მსხვილ ქალაქებში აშკარადაა გამოკვეთილია გარემოს ბუნებრივი შემადგენლის მწვავე დეფიციტი. აღნიშნულის განმაპირობებელი ფაქტორებიდან განსაკუთრებით შემაშფოთებელია განაშენიანბული ტერიტორიების ჰიპერტროფიული ზრდის ხარჯზე ღია მწვანე სივრცეების განადგურების პროცესის მკვეთრად პროგრესირებადი ხასიათი.

ევროპის რეგიონში ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე საგზაო ტრანსპორტის სწრაფ ზრდას, ჯანმრთელობისა და გარემოსათვის ისეთი ნეგატიური მოვლენები ახლდა, როგორცაა: სატრანსპორტო საცობები, საგზაო სატრანსპორტო შემთხვევები, გარემოს დაბინძურება, ხმაური და სათბური გაზების გამოფრქვევის მომატება.

ევროკავშირის ქვეყანებში სათბური გაზების გამონაფრქვევის მოცულობა გაიზარდა 16%-დან 1990წ. 24%-მდე 2006 წ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ყველა ქვეყანაში ეს მაჩვენებელი იზრდება.

წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობის კონტექსტში, განსაკუთრებულ შემოფოტებას იწვევს გამონაბოლქვების საერთო ოდენობაში საგზაო ტრანსპორტის საგანგაშოდ მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი – 70%.

ქალაქებში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუარესება შესაბამის ასხვას პოულობს მოსახლეობის ცხოვრების ყველა მხარეზე. ასევე, დიდია მისი ნეგატიური ზეგავლენა ქალაქის გეგმარებით სტრუქტურაზე. კერძოდ, ამ სტრუქტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტზე მდინარესა და მის სანაპიროებზე.

ხელოვნური გარემოს განუზომელი ექსპანსია განსაკუთრებულ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მდინარეზე, როგორც ქალაქის ეკოლოგიურ ღერძზე.

მდინარისპირა ტერიტორიის ძირითად ფუნქციას შეადგენს ქალაქის ტერიტორიის ბუნებრივ და ანტროპოგენულ კარკასებს შორის ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.

XX საუკუნის 70-იან წლებში „აჩქარებული“ ავტომობილიზაციის პროცესზე რეაგირების მიზნით, გავრცელება ჰპოვა მდინარეთა ნაპირების ავტომაგისტრალების ფუნქციით გამოყენებამ. სატრანსპორტო პრობლემის დაძლევის ნაირსახეობას წარმოადგენდა, მდინარეების „დაბეტონება“ და მათ ნაცვლად ავტომაგისტრალების ფორმირება.

ქალაქის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი კომპონენტების განადგურებაზე გათვლილი გადაწყვეტილება არც ისე ეფექტური აღმოჩნდა. მოკლე ხანში, როცა ავტოტრანსპორტის მოძრაობის მოცულობამ მნიშვნელოვნად გადააჭარბა მაგისტრალის გამტარუნარიანობის შესაძლებლობებს, საცობებმა ჩვეული მოვლენების სახე მიიღო. საცობებს მოჰყვა ძნელად გადასაწყვეტი პრობლემების მთელი გროვა: გარემოს დაბინძურება, უძრავი ქონების გაიაფება, ქალაქის მაცხოვრებლების მდინარესთან ტრადიციული კავშირის განუზომელი გართულება.

გლობალური ხასიათის თანამედროვე ეკოლოგიური კრიზისის პირობებში დედაქალაქების ფარგლებში მოქცეული მდინარეების უკიდურესად ნეგატიური ტრანცფორმაციის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს განეკუთვნება: აკვატორიის დაბინძურება, ნაპირების რელიეფის თავისებური იერსახის ნიველირება, გამწვანებული სივრცეების განადგურება, ისტორიული კონტექსტისათვის შეუსაბამო ქაოტური განაშენიანება, ვიზუალური აღქმის პირობების გაუარესება და აღსაქმელი მასალის ესთეტიკური სახის დეფორმაცია.

ინტენსური საავტომობილო მოძრაობა და პერმანენტული საცობები ჰაერის დაბინძურების მუდმივ წყაროდ იქცა. რაც განსაკუთრებით შემაშფოთებელია, ასეთ საქალაქო ზონებში მაცხოვრებელთა შორის ფილტვების დაავადებულთა რაოდენობა ორჯერ აღემატება დანარჩენ ზონებში მაცხოვრებელთა შორის დაავადებულთა მაჩვენებლებს.

ქალაქების მდგრადი განვითარებისადმი მიძღვნილ ევროპულ ქარტიებსა და კონვენციებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: ტრანსპორტის, ჯანმრთელობასა და გარემოს დაცვაზე ნეგატიური ზეგავლენის დაძლევისაკენ მიმართული სტრატეგიის შემუშავებას.

ოლბორგის ქარტიის<sup>31</sup> მიხედვით ეკოლოგიური მდგრადობა თავის თავში შეიცავს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ჯანმრთელობის, ასევე, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის დაცვას ადამიანის სიცოცხლისა და კეთილდღეობის შენარჩუნებისათვის საკმარის დონეზე, როგორც ქარტიაშია აღნიშნული: უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ეკოლოგიურად უსაფრთხო გადაადგილებას (განსაკუთრებით საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ფეხით სიარულსა და საველოსიპედო მოძრაობას); განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, ამ საშუალებათა შეხამების, როგორც დაგეგმვის, ძირითადი ამოცანის სახით განხილვას.

ოლბორგის ქარტიის მიღების ათი წლისთავისადმი მიძღვნილი 2004 წლის კონფერენციის მიერ<sup>32</sup> ევროპის ქალაქების განვითარების საბაზისო სტრატეგიულ მიზნად მიიჩნეულია: ჰუმანიტარულ-ეკოლოგიური იმპერატივი, ქალაქებში ადამიანების ნორმალური ცხოვრების მიზნებზე ორიენტირებული ბუნების შენარჩუნებისა და აღდგენის პრინციპები.

„ვაცნობიერებთ რა ურთიერთ დამოკიდებულებას ტრანსპორტს, ჯანმრთელობასა და გარემოს შორის პასუხისმგებლობას ვიღებთ მთელი ძალღონით წინ წამოვწიოთ მდგრადი გადაადგილების არჩევანი. გადაუდებელ აუცილებლად მივიჩნევთ:

1. შემცირდეს მოთხოვნილება კემო ავტოტრანსპორტზე;
2. გაიზარდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტით, ფეხით და ველოსიპედით გადაადგილების რაოდენობა;
3. ხელი შეეწყოს კერძო ავტოტრანსპორტის გამოყენების მიმზიდველ ალტერნატივებს;

<sup>31</sup> „ევროპის ქალაქები მდგრადი განვითარების გზაზე“, დანია, 1994წ.

<sup>32</sup> 2004 ოლბორგი+10 შთამავგონებელი პერსპექტივები.



4. შემუშავდეს ქალაქში მდგრადი გადაადგილების ინტეგრირებული გეგმა;

5. შემცირდეს ტრანსპორტის ზემოქმედება ადამიანების ჯანმრთელობასა და გარემოზე.<sup>33</sup>

როგორც ევროპის ახალი ურბანული მანიფესტი (2007, სტრასბურგი) აღნიშნავს „საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტული განვითარების უკიდურესად ნეგატიური შედეგები კარგადაა ცნობილი. ჰაერის დაბინძურება, ხმაური, გზებზე უსაფრთხოების არ არსებობა, ინფრასტრუქტურის შეჭრით გამოწვეული სივრცის დანაწევრება, ქალაქური ლანდშაფტისადმი მიყენებული ზიანი. ყველაფერი ეს გვაიძულებს მოქალაქეთათვის სასიკეთო განვითარებისა და ჩვენი ქალაქების ადამიანური განზომილებისაკენ შემობრუნებას.

ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ ავტომობილებზე გადაჭარბებული დამოკიდებულებისაგან, რამდენადაც ის მოქალაქეები, რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ ინდივიდუალურ საავტომობილო ტრანსპორტზე, თავისი ქალაქის სიკეთეებით სრულყოფილად ვერ სარგებლობენ.“

ბოლო 10 წლის მანძილზე, ევროპის ურბანისტულ პოლიტიკასთან მიმართებაში, ტრანსპორტის სექტორის ფარგლებში შემუშავებულია გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სტრატეგიები და პროგრამები.

წახალისებულია ჯანმრთელობის დაცვისაკენ მიმართული სტრატეგიებისა და ინიციატივების ქალაქთმშენებლობით დოკუმენტაციაში ინტეგრირება.

სანაპიროებს, როგორც უნიკალურ და მოქალაქისათვის განსაკუთრებულად მიმზიდველ ადგილს, ევროპის ურბანისტულ პოლიტიკაში გამორჩეული ყურადღება ეთმობა. ნებისმიერი მდინარე ესაა „ადგილის სულის“ ლოკალიზების ადგილი. იგი შეუცვლელ როლს თამაშობს ქალაქის ავთენტური იერსახის ფორმირებაში. ამიტომ, რომ სანაპიროების მინიმალური პოზიტიური ცვლილებაც კი, საქალაქო გარემოს აღქმის ხარისხზე შესაბამის ასახვას პოულობს. მდინარესთან სივრცითი ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, წყალთან დაუბრკოლებელი კავშირისა და მაქსიმალური მიახლოების უცილობელი პრიორიტეტი, სწორედ ადამიანს ეკუთვნის.

პარიზი – მაგისტრალების ფენხმავალთა არეალებით ჩანაცვლება.

სენის სანაპიროს სივრცით–გეგმარებითი და ეკოლოგიური პირობების მკვეთრ ნეგატიურ ცვლილებს საფუძველი, ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ეყრება. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებული როლი ითამაშა საფრანგეთის პრეზიდენტის

<sup>33</sup> 2004 ოლბორგი+10 შთამაგონებელი პერსპექტივები.

ჟორჟ პომპიდუს მიერ 1966 წელს სენის სანაპიროების საავტომობილო მაგისტრალის ფუნქციით გამოყენების შესახებ რადიკალური გადაწყვეტილების მიღებამ. აღნიშნული ნაბიჯის განმაპირობებელ ფაქტორად მიიჩნევა კერძო ავტომობილებისადმი, როგორც მომავლის საქალაქო ტრანსპორტისადმი, პრეზიდენტის მკვეთრად პოზიტიური დამოკიდებულება. ამ გადაწყვეტილებამ უზრუნველყო სენის სანაპიროს, როგორც პარიზის მაცხოვრებელთა ისტორიულად დამკვიდრებული სასეირნო ფუნქციისა და მდინარესთან შეხვედრის ადგილის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ფუნქციით ჩანაცვლება.

1970-იან წლებში, პარიზში საცობების პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, სენის მარჯვენა სანაპიროზე გაყვანილ იქნა ჟორჟ პომპიდუს სახელობის საქალაქო ჩქაროსნული ტრასა შუქნიშნების გარეშე, რომელზეც მოძრაობა, პრაქტიკულად უწყვეტადაა შესაძლებელი.

თანამედროვე ეტაპზე, პარიზის ცენტრში სენის მარცხენა სანაპიროზე თითქმის ორნახევარ კილომეტრის მანძილზე (ალმას ხიდიდან ორსეს მუზეუმამდე) არსებულ ავტომაგისტრალს ჩანაცვლებს საფეხმავლო ზონა.) ამ ტერიტორიაზე გაშენდება პარკი, შეიქმნება პლაჟი და საველოსიპედო ბილიკები; ეკოლოგიური პირობებისა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების გაუმჯობესების მიზნით დაგეგმილია ისტორიულ ცენტრში 30ჰა მწვანე სივრცის „ჩანერგვა“.

ავტომობილებისაგან თავისუფალი მწვანე ზონები გაჩნდება პარიზის მთავარ ღირსშესანიშნაობათა - პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ლუვრისა და ეიფელის კოშკის გვერდით. (ათეული წლების მანძილზე სენის მარცხენა სანაპირო პარიზის ერთ-ერთ ყველაზე დატვირთულ საავტომობილო მაგისტრალს წარმოადგენდა.)

მოსკოვი - მდინარე მოსკოვის ყირიმის სანაპიროს ოთხზოლიანი ავტომაგისტრალი შადრევნებიანმა სასეირნო ბილიკებმა და დახვეწილმა გამწვანებამ შეცვალა. სულ ახლახანს ეს სანაპირო განსაკუთრებული ინტენსიობის საავტომობილო მოძრაობით გამოირჩეოდა. ამჟამად იგი კეთილმოწყობილი საფეხმავლო ზონაა, რომელზეც სეირნობისა და ისტორიული მოსკოვის ხედებით ტკბობასთან ერთად, გამოფენებისა და მუზეუმების მონახულებაცაა შესაძლებელი.

პარკი „მადრიდ რიო“ - ესტაკადების ნაცვლად, პარკ „მადრიდ რიოს“ ვრცელი რეკრეაციული საფეხმავლო ზონის აღდგენის პროექტი, შექმნილია 2006-2010 წლებში მდინარე მანსარანესის ორივე ნაპირზე. 2003-2007 წლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმ ტერიტორიის რეორგანიზაციის შესახებ, რომელიც ადრე ქალაქს მდინარესთან აშორებდა. გვირაბების მშენებლობამ შესაძლებელი გახადა უზარმაზარი ტერიტორიის საავტომობილო გზებისაგან გამონთავისუფლება და მისი ეკოლოგიურ დერეფნად ჩამოყალიბება. მადრიდში სანაპიროთა

რეკონსტრუქციის პროცესში სრულად იქნა გარდაქმნილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. მოქმედი საავტომობილო მაგისტრალი საფეხმავლო სივრცედ იქნა ტრანსფორმირებული. საავტომობილო ნაკადებს მიწის ქვედა ნიშნულზე განეკუთვნათ ადგილი. პროექტის რეალიზაციამ მდინარე საქალაქო სივრცის განუყოფელ ნაწილად აქცია. ადრე ხმაურიანი საავტომობილო მაგისტრალით იზოლირებული მდინარის სანაპიროები კვლავ ორგანულად შეერწყა ქალაქის გეგმარებით სტრუქტურას. ამ თვალსაზრისით, პროექტი სრულად ასახავს იმ ახალ ტენდენციას, რომლის მიხედვითაც გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს მოქალაქეების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების პრიორიტეტი.

აღნიშნულ მიზანზე ორიენტირებული ურბანული პოლიტიკისათვის შეუთავსებადია მჭიდრო განაშენიანების საქალაქო ტერიტორიაზე გამავალი მსხვილი, გადატვირთული საავტომობილო მაგისტრალი, როგორც ჰაერის დაბინძურების, აუტანელი ხმაურისა და ქალაქის ბუნებრივ კომპონენტებთან კავშირის დამაბრკოლებელი ფაქტორის არსებობა.<sup>34</sup>

---

<sup>34</sup> “ მდინარისპირა სივრცეების ათვისების ევროპული გამოცდილების ანალიზი“;  
გ.შაიშმელაშვილი



### 3. თავი - კულტურული ლანდშაფტებისა და მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ძირითადი პრინციპები

განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების ცნება საფუძვლად უდევს მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციას და ნუსხაში მითითებულ ობიექტებთან დაკავშირებულ ყველა ღონისძიებას. მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტები წარმოადგენს მკაფიოდ ჩამოყალიბებული საერთაშორისო ღირებულების მქონე მემკვიდრეობის ცალკეულ ძეგლებს. მათში ყველაფერი არ უწყობს ხელს განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებას, მაგრამ ის ატრიბუტები, რომლებიც ხელს უწყობენ, სათანადოდ უნდა იქნას დაცული.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება ხშირად გვამღვებს წარუმატებელ შედეგებს, რადგან ზემოქმედების შეფასება მკაფიოდ და პირდაპირ არაა მიბმული განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების ატრიბუტებთან. მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტები უნდა განიხილებოდეს, როგორც ცალკეული ერთეულები, რომლებიც განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების დემონსტრირებას ახდენს. მათი განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება ისახება ატრიბუტების ფართო სპექტრში და განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების შენარჩუნების მიზნით საჭიროა ამ ატრიბუტების დაცვა. ამგვარად, მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პროცესმა უნდა გაითვალისწინოს ნებისმიერი შემთავაზებული პროექტის ან ცვლილების ამ ატრიბუტებზე ზემოქმედება, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ერთობლივად. მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტები ძალიან მრავალფეროვანია, ისევე, როგორც პოტენციური ზემოქმედება. „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ ფართო სპექტრი იძლევა ზუსტ და ამომწურავ ინფორმაციას გარემოს შეფასებისას, ამასთანავე ეს შეფასება ცალკე დარგობრივი კონიუნქტურის ჩარჩოებით არ შემოიფარგლება, იგი საკმაოდ ფართოდაა გაშუქებული მრავალდარგობრივი კონტექსტიდან გამომდინარე, რაც აისახა მცხეთის ტერიტორიების ზონირების სქემაზე, დაცვის ზონებზე, ლანდშაფტურ ზონებზე და სხვ. წარმოდგენილ მასალაზე.

დარგობრივი ნორმები და წესები გავლენას უნდა ახდენდეს იმის უზრუნველყოფაზე, რომ მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების პროცესები მიმდინარეობდეს და გამოყენებული მეთოდები აკმაყოფილებდეს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სტანდარტულ პრაქტიკას. შეფასება უნდა იყოს მიზნის შესაბამისი - მსოფლიო მემკვიდრეობისა და შეთავაზებული ცვლილებების, აგრეთვე შესაბამისი ადგილობრივ გარემოსთან. „მხარე-სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შეინარჩუნონ და დაიცვან განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულება იმ ატრიბუტების დაცვა-შენარჩუნებით, რომლებიც განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებას გადმოგვცემენ“. იმ შემთხვევაში, როცა ცვლილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის

განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე, კულტურული ან ბუნებრივი მემკვიდრეობის ატრიბუტების გათვალისწინება ცენტრალური საკითხი უნდა იყოს ნებისმიერი შემოთავაზების დაგეგმვისას და უნდა წარმოდგენილი იყოს ნებისმიერი საერთო შეფასების ადრეულ ეტაპზე (როგორცაა, გარემოზე ზემოქმედების შეფასება). გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ მემკვიდრეობის დაცვის საჭიროებები და უნდა მიეცეს უფრო მეტი წონა, ვიდრე კონკურენტულ გამოყენებასა და განაშენიანებას. ძირითადი აზრი მსოფლიო მემკვიდრეობის მიმართ საფრთხე და რისკი, და ეს მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში.

მემკვიდრეობაზე განხორციელებული ზემოქმედების შეფასება, როგორც გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილი, ამ გარემოებებში არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩვეულებრივი მოთხოვნების დამატებას, არამედ იყენებს განსხვავებულ მეთოდოლოგიას, რომელიც მკაფიოდ ფოკუსირებულია განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე და ამ ღირებულების გადამცემ ატრიბუტებზე. „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ ამ ნაწილში სრული შესაბამისობა გვაქვს ზემოთხსენებულ მეთოდოლოგიაში, ხოლო შეფასების პროცესი შემდეგნაირად გამოიყურება:

- რა მემკვიდრეობაა რისკის წინაშე და რატომაა ის მნიშვნელოვანი - როგორ უწყობს ის ხელს განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებას?
- როგორ მოახდენს ცვლილების ან განაშენიანების შეთავაზება გავლენას განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე?
- როგორ შეიძლება ამ შედეგების თავიდან აცილება, შემცირება, აღდგენა ან კომპენსირება?

პირდაპირი ზემოქმედება, რომელიც ფიზიკურ განადგურებას იწვევს, როგორც წესი, მუდმივი და შეუქცევადია; როგორც წესი, ისინი წარმოიქმნება მშენებლობის შედეგად და შემოიფარგლება განაშენიანების ტერიტორიით. ამ ზემოქმედების სიდიდის მასშტაბი დამოკიდებული იქნება დაზიანებული ატრიბუტის პროპორციაზე და იმაზე, მოახდენს თუ არა ეს გავლენას მის ძირითად მახასიათებლებზე ან განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებასთან დამოკიდებულებაზე.

ირიბი ზემოქმედება წარმოიქმნება, როგორც მშენებლობის ან განაშენიანების ფუნქციონირების მეორადი შედეგი და შეიძლება გამოიწვიოს ობიექტის ფიზიკური განადგურება ან მისი გარემოს შეცვლა განაშენიანების ტერიტორიის ფარგლებს გარეთ. ზემოქმედების ან ცვლილებების მასშტაბებზე ან დონეზე მსჯელობა შესაძლებელია მათი პირდაპირი და არაპირდაპირი შედეგებით და იმით, ისინი დროებითია თუ მუდმივი, შექცევადი თუ შეუქცევადი. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეულ ზემოქმედებათა ერთობლიობის შედეგს.

განაშენიანების შედეგად განხორციელებული ცვლილებები უნდა შეფასდეს მთლიანობასა და ავთენტურობაზე მათი ზემოქმედების თვალსაზრისით. ავთენტურობა დაკავშირებულია იმ საშუალებებთან, რომლითაც ატრიბუტები

გადმოსცემს განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებას, ხოლო რაც შეეხება მთლიანობას იგი დაკავშირებულია იმასთან, რომ განსაკუთრებული უნივერსალური ღირებულების გადამცემი ყველა ატრიბუტი შენარჩუნებულია თუ არა ობიექტის ფარგლებში და არის თუ არა ცვეთის ან საფრთხის წინაშე.

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანში“ სტრუქტურულად მთლიანადაა გათვალისწინებული საქართველოს ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი კანონმდებლობითი და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულ მთელი რიგი რეგულაციები, რაც აისახა კიდევ ხსენებულ დოკუმენტში.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის საკრალური სივრცის გეოგრაფიული თავისებურებებიდან და იუნესკოს მიერ არაერთგზისი რეკომენდაციებიდან გამომდინარე, აქტუალურია საქართველოს ისეთი კანონების გათვალისწინება, რომელიც დაარეგულირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, განაპირობებს ბუნების ცალკეული კომპონენტების დაცვას, ხელს შეუწყობს გეოდინამიური პროცესების პრევენციას, საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ და დავაგეგმაროთ ევროპის ლანდშაფტური კონვენციით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საქართველოს მთელი მამტაბით ფიქსირდება ნიადაგის დეგრადაციასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა: ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, ეროზიით და დენუდაციით განპირობებული ბედლენდები, ნიადაგის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მეორადი დაჭაობება, ჭალის ტყეების განადგურება, ინტენსიური მოვება, ინერტული მასალების და საშენი მასალების ღია წესით მოპოვება და სხვ. ვინაიდან მცხეთის და არა მარტო მცხეთის არამედ მთელი საქართველოს სივრცეში კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში აქტუალურია მიწის რესურსების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვების ამოქმედება.

#### 4. თავი - საკანონმდებლო ბაზა

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-რპლანის“ დოკუმენტში ასახულია საქართველოს ტერიტორიაზე გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და საერთაშორისო კონვენციებით განსაზღვრულია მთელი რიგი რეგულაციები, რაც სასურველია აისახოს სივრცითი მოწყობის ნებისმიერი საფეხურის დოკუმენტში. მცხეთის კულტურული ლანდშაფტის გეოგრაფიული თავისებურებებიდან და იუნესკოს რეკომენდაციებიდან გამომდინარე, აქტუალურია საქართველოს ისეთი კანონების გათვალისწინება, რომელიც დაარეგულირებს ბუნებრივი რესურსების გამოყენებას, განაპირობებს ბუნების ცალკეული კომპონენტების დაცვას, ხელს შეუწყობს გეოდინამიური პროცესების პრევენციას, საშუალებას მოგვცემს გავითვალისწინოთ და შევიშუშაოთ ისეთი ქალაქმშენებლობითი დოკუმენტები, რომელიც ევროპიული კონვენციებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისი იქნება. ლანდშაფტის დაცვის მიმართებაში საქართველოში მიღებულია შემდეგი ძირითადი კანონები და ქვემდებარე აქტები:

- ტყის კოდექსი;
- კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ;
- კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ;
- კანონი მდინარეთა ნაპირების რეგულირების შესახებ;
- კანონი გარემოზე ზემოქმედების შესახებ და გარემოს დაცვის შესახებ;
- კანონი მიწის რესურსების შესახებ და ნიადაგების კონსერვაციის შესახებ.
- საქართველოს კონსტიტუციით და სახელმწიფოსა და საქართველოს მართლამადიდებელ ავტოკეფალურ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმებით;
- საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით; მათ შორის - „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“ კონვენციით;
- ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“;
- საქართველოს კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“;
- საქართველოს კანონით „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“;
- საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით“
- საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით:
- „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის დადგენილებით;
- “კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანებით.

- ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის N 1750 განკარგულებით “ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“.

#### A. საქართველოს ტყის კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები

საქართველოს ტყეების ეკოლოგიური მდგომარეობა, მიუხედავად მისი ტყეების შთამბეჭდავი ფართობებისა, საფრთხის წინაშე მყოფება. ტყეების უმეტესი ნაწილი სახეცვლილია ადამიანის ზემოქმედების შედეგად. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა დასახლებული პუნქტების სიახლოვეს. ტყეების დეგრადაცია უკავშირდება უსისტემო და უკანაწილ ჭრებს. მცხეთის მიდამოებში გადის ცხვრის გადასარევი ტრასა, რაც განაპირობებს მდ.არაგვის მარცხენა ნაპირეთის ინტენსიურ დეგრადაციას. გადამოვების შედეგად პრაქტიკულად ვერ ხერხდება ტყეების ბუნებრივი აღდგენა, რის გამოც მათი ძირითადი ნაწილი ფრიგანის, ხოლო დანარჩენი ჯაგ-ეკლიანი სტეპის სახითაა წარმოდგენილი. ანალოგიური ვითარებაა ჭალის ტყეებშიც, რომლებიც ცალკეული ფრაგმენტების სახითაა შემორჩენილი როგორც მდინარე არაგვის, ისე მდინარე მტკვრის ჭალებში.

”საქართველოს ტყის კოდექსი” (მიღებულია 1999წ.) არეგულირებს საქართველოს ტყის ფონდისა და მისი რესურსების მოვლასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას საქართველოს ტყის ფონდის დაცვა წარმოადგენს. ჭრის წესების თანახმად, მთავარი სარგებლობის ჭრები არ შეიძლება განხორციელდეს მცხეთის კულტურული ლანდშაფტის შემდეგ არეალებში:

- დაცულ ლანდშაფტებში,
- საკურორტო ზონის ტყეებში,
- მწვანე ზონის ტყეებში (დაცული, ბუნებრივი ან ხელოვნური ტყე, რომელიც დასვენების და სანიტარულ-საკურორტო დანიშნულებით გამოიყენება),
- განსაკუთრებული დაცვითი მნიშვნელობის მქონე ტყის უბნებში, რომელთაც მიეკუთვნება სახელმწიფო დაცვითი ტყის ზოლები (ბუნებრივი ან ხელოვნური ნარგაობები, რომლებიც დასახლებული პუნქტების, რკინიგზის და საავტომობილო გზების, არხების, სავარგულების და მდინარეთა წყლის რეგულირების მიზნითაა შექმნილი),
- ჭალის ტყეებში (მდინარეთა ხეობებში გავრცელებული ტყეები, რომლებიც სეზონურად იტბორება).
- მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გასწვრივ 300 მ სიგანის ნაპირდამცავი ტყის უბნებში,



- რკინიგზის და საავტომობილო გზების გასწვრივ 100 მ სიგანის ტყის ზოლებში.

### *B. წყლის რესურსების საკანონმდებლო რეგულირება*

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მდ.მტკვრისა და არაგვის აკვატორიები. ისინი უნიკალური და უპირველესი, სასიცოცხლო მნიშვნელობის, აუცილებელი და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია. წყლის რესურსებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობისათვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფის და ბუნებრივი გარემოს შენარჩუნების საქმეში.

მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის ფარგლებში შეინიშნება წყლის ხარისხის დეგრადაცია და დაბინძურება, რაც საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ობიექტების ფუნქციონირებას უკავშირდება. ამას ასევე ემატება ბუნებრივი წყალშემკრები ფართობების შემცირება და ტყის მასივების განადგურება. საქართველოში წყლის რესურსების დაცვისა და გამოყენების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარების ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს კანონი „წყლის შესახებ“ და კანონი "საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ". საქართველომ, როგორც ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პარტნიორმა ქვეყანამ, ვალდებულება აიღო მიუახლოვოს მისი წყალთან დაკავშირებული კანონმდებლობა ევროკავშირის წყლის კანონმდებლობას.

საქართველოს კანონი „ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირები სრეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ“ (მიღებულია 2000 წელს) განსაზღვრავს წყალსატევებისა და მდინარეების სანაპირო ზონის სრაციონალური გამოყენების სამართლებრივ სტატუსს და უზრუნველყოფს მის მდგრადობას, აწესებს სახელმწიფო კონტროლს და პასუხისმგებლობის ფორმებს სანაპირო ზონაში ეროზიული და აბრაზიული პროცესების გამომწვევ საქმიანობაზე. მისი მიზანია სამშენებლო და რელიეფწარმომქმნელი რესურსების მოპოვებაზე სახელმწიფო ზედამხედველობა, ბუნებრივი პროცესების მართვა და რესურსების მდგრადი გამოყენება.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აკრძალულია ზღვის სანაპირო ზონაში და საქართველოს მდინარეთა კალაპოტებიდან ინერტული მასალის მოპოვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ხორციელდება მდინარეთა რეგულირების, ნაპირფორმირების მართვის მიზნით, აგრეთვე მისი ამოღება გაუწყლოებული კალაპოტებიდან და წყალსაცავიანი ჰიდროტექნიკური ნაგებობების ზედაპირებიდან. მსგავსი საქმიანობა მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში, 2 ადგილზე ფიქსირდება.

მდინარის წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების დაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისაგან და დაშრეტვისაგან დაცვის მიზნით. წყალდაცვით



ზოლში შეიძლება შეტანილ იქნას მდინარის მშრალი კალაპოტი, მისი მიმდებარე ტერასები, შემადგენელი და ციცაბო ფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები. მდინარე მტკვრისა და არაგვის წყალდაცვითი ზოლის სიგანე, რადგანაც მათი სიგრძე აღემატება 100 კილომეტრს, აითვლება მდინარის კალაპოტის კიდიდან ორივე მხარეს 50 მეტრის ფარგლებში. ამ ზოლის ფარგლებში აკრძალულია: მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, საყოფაცხოვრებო, სამეურნეო და სამრეწველო ნარჩენების-დაგროვება, დასაწყობება ან დამარხვა.

### *C. მიწის რესურსების დაცვის საკანონმდებლო უზრუნველყოფა*

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში აქტუალურია მიწის რესურსების დაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო შეზღუდვების ამოქმედება. აქ ფიქსირდება ნიადაგის დეგრადაციასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა: ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზია, ეროზიით და დენუდაციით განპირობებული ბედლენდები, ნიადაგის დაბინძურება საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მეორადი დაჭაობება, ჭალის ტყეების განადგურება, ინტენსიური მოვება, ინერტული მასალების და საშენი მასალების ღია წესით მოპოვება და სხვ.

არადა, საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება: ტერიტორიის ღია კარიერული წესით დამუშავება, რომელიც არ ითვალისწინებს დარღვეული ნიადაგის რეკულტივაციას; სამოვრების გამწირება უწესრიგო მოვებით; ტყითსარგებლობის დროს ნიადაგის საფარის დაზიანება; მინდორსაცავი ტყის ზოლების გაკაფვა-გადაკეთება; ნიადაგების ყოველგვარი ტიპის გაჭუჭყიანება და დანაგვიანება.

საქართველოს კანონით „ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ რეგულირდება:

1. ნიადაგების კონსერვაცია და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება, ეროზიის, ღვარცოფის, მეწყერის, ზვავის, წყალდიდობის, ნიადაგის დაბინძურების, განმეორებითი დაჭაობებისა და დამლაშების, სამშენებლო მასალების ღია წესით მოპოვების, აგრეთვე ანთროპოგენური ზეგავლენის შედეგად ნიადაგების დანაკარგების აღკვეთა;

2. მლაშობი, ბიცობი, დაჭაობებული, ეროზირებული, მჟავე, ძლიერ დაქვიანებული და სხვა დაბალნაყოფიერი ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესება და რაციონალური გამოყენება.

### *D. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და კულტურული ლანდშაფტის ზონირების ძირითადი თავისებურებანი*

კანონის მიზანია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და ამ სფეროში წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობების მოწესრიგება. მისი

მოქმედება ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ არსებულ კულტურულ მემკვიდრეობაზე.

კულტურული მემკვიდრეობის ავთენტიკურობა და ფუნქციური ზონირება უკავშირდება ისეთ ობიექტებს, როგორცაა: არქეოლოგიური ობიექტი, ისტორიული განაშენიანება, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო (100 ან მეტი წლის წინ ჩამოყალიბებული მხატვრულ-არქიტექტურული, სივრცითი, ლანდშაფტური ან სოციალურ-ეკონომიკური კონტექსტების ერთობლიობა), კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი (მათ შორის, კომპლექსური ძეგლი), კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა და სხვ.

მატერიალური კულტურის ობიექტებს ასევე მიეკუთვნება ადამიანის მიერ ან ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედების შედეგად შექმნილი ნებისმიერი სახის მხატვრული, ესთეტიკური, ისტორიული, მემორიალური ღირებულების მქონე არქიტექტურული, ხელოვნების, ქალაქთმშენებლობითი, სასოფლო, არქეოლოგიური, ანთროპოლოგიური, ეთნოგრაფიული, მონუმენტური უძრავი ან მოძრავი ობიექტები, ასევე ბაღები, პარკები, ლანდშაფტური არქიტექტურის ობიექტები, ისტორიული დასახლებები, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემო, დაკავშირებული ქვეყნის ისტორიასთან, განვითარებასთან, ფოლკლორთან, რწმენასა და ტრადიციებთან, ადრე ან ამჟამად არსებულ ცივილიზაციასთან.

კულტურულ ფასეულობას მიეკუთვნება შემოქმედებითი პროცესის შედეგად, ნებისმიერი მასალითა და საშუალებით, ნებისმიერ ისტორიულ ეპოქაში შექმნილი უძრავი ან მოძრავი ნივთი, რომელსაც აქვს მხატვრული, ესთეტიკური, ეთნოლოგიური, არქეოლოგიური, ისტორიული, რელიგიური, მემორიალური, მეცნიერული, ტექნიკური, ტექნოლოგიური ღირებულება.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ქვეშ იგულისხმება სამართლებრივ, სამეცნიერო-კვლევით, სარეაბილიტაციო, საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის სრული მრავალფეროვნებით შენარჩუნება და მისი მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. ძეგლის დაცვის ძირითადი პრინციპია მისთვის იმ თვისებებისა და მახასიათებლების, უძრავი ძეგლის შემთხვევაში – ასევე იმ გარემოს შენარჩუნება, რომლებიც (ან რომელიც) განაპირობებს მის ისტორიულ, კულტურულ, მემორიალურ, ეთნოლოგიურ, მხატვრულ, ესთეტიკურ, მეცნიერულ ან სხვა ღირებულებას.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სტრუქტურა შედგება ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონისა (მათ შორის: ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი, ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი) და ზოგადი დამცავი ზონებისაგან (მათ შორის: ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა, განაშენიანების რეგულირების ზონა, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა, არქეოლოგიური დაცვის ზონა).

ზოგადი დამცავი ზონები დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით. ერთი ტერიტორია შეიძლება მოექცეს რამდენიმე

დამცავი ზონის ფარგლებში, რომელთაგან ზოგადი დამცავი ზონა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი. თუ ერთი ტერიტორია რამდენიმე დამცავი ზონის ფარგლებში მოექცევა, დამცავი ზონების რეჟიმებიდან, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, მოქმედებს ამკრძალავი ნორმა.

კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონის დადგენის მიზნებია: მის ურბანულ საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის: ძეგლების, კულტურული ღირებულების მქონე განაშენიანებისა და ცალკეული შენობა-ნაგებობების, განაშენიანების ისტორიული ნაწილის, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის, ისტორიული ლანდშაფტის, არქეოლოგიური ობიექტების არასასურველი ზემოქმედებისაგან დაცვა; მის საზღვრებში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ბუნებრივი, ისტორიული, ესთეტიკური, ეკოლოგიური გარემოს, მისი ავთენტიკური ელემენტების, ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და პანორამების, ასევე იმ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული კონტექსტის შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ძეგლისა და მისი გარემოს დაცვასა და მდგრად განვითარებას, ძეგლის, როგორც ისტორიის მოწმის, როლის შენარჩუნებას.

დამცავ ზონებში განსახორციელებელი ღონისძიებები უნდა ითვალისწინებდეს ხელსაყრელი გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შენარჩუნებას, სანიტარიულ-ჰიგიენური, სეისმური და ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, ძეგლებზე და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოზე არასასურველი ზემოქმედების თავიდან აცილებას. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისას დაცული უნდა იქნეს ამ სფეროში საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტები და ნორმები.

ძეგლის ინდივიდუალურ დამცავ ზონად განისაზღვრება ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, რომელიც შედგება ფიზიკური და ვიზუალური დაცვის არელებისგან და დგინდება ძეგლის ფიზიკური და ვიზუალური დაცვის მიზნით. ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი არის ტერიტორია უძრავი ძეგლის გარშემო, სადაც ნებისმიერმა ქმედებამ შესაძლოა ფიზიკურად დააზიანოს ძეგლი ან მისი მიმდებარე ტერიტორია. ფიზიკური დაცვის არეალი განისაზღვრება შემდეგი მანძილით – ძეგლის სიმაღლე გამრავლებული 2-ზე, მაგრამ არანაკლებ 50 მეტრის რადიუსით.

ზოგადი დამცავი ზონა შედგება 4 ნაწილისაგან: ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონა, განაშენიანების რეგულირების ზონა, ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონა, არქეოლოგიური დაცვის ზონა.

- 1) ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილია ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა უძრავი ობიექტების დიდი კონცენტრაცია, ავთენტიკური სახით შენარჩუნებული ქუჩათა ქსელი, განაშენიანება, გეგმარებითი სტრუქტურა და მორფოლოგია. ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში ქალაქგეგმარებითი და სამშენებლო დოკუმენტაციის შედგენისას

უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისტორიული გარემოს დაგეგმარების, განაშენიანების, ლანდშაფტის შენარჩუნება, მათი დაკარგული ელემენტების აღდგენის შესაძლებლობა.

2) განაშენიანების რეგულირების ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც ავთენტიკური სახით შემორჩენილია ისტორიული განაშენიანების, ქუჩათა ქსელის, გეგმარებითი სტრუქტურის ფრაგმენტები ან ცალკეული ძეგლები, კულტურული ღირებულების მქონე სხვა უძრავი ობიექტები, ფონური განაშენიანება. განაშენიანების რეგულირების ზონა შეიძლება ასევე იყოს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი სხვა ზონის ბუფერული ზონა. ძეგლთა უკეთ წარმოჩენის, ისტორიულად ჩამოყალიბებული და ახალი განაშენიანების ჰარმონიულად შერწყმის უზრუნველყოფის მიზნით განაშენიანების რეგულირების ზონაში უნდა დადგინდეს აღქმის განსაკუთრებულად ხელსაყრელი წერტილები, შენარჩუნებული უნდა იქნეს პანორამებისა და ცალკეულ ძეგლთა ხილვის შესაძლებლობა ახალ მშენებლობათა რეგლამენტირების და ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოში შეუსაბამო ობიექტების აღების გზით.

3) ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონად განისაზღვრება ისტორიული, კულტურული, ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივი, სასოფლო ან ურბანული ტერიტორია, რომლის ჩამოყალიბება ისტორიული განვითარების მანძილზე მთლიანად ან ნაწილობრივ ადამიანის საქმიანობის შედეგია ან რომელიც ცალკეული ძეგლების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოა. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის დადგენის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების, ასევე ისტორიულ მოვლენებთან, გადმოცემებთან და ფოლკლორთან დაკავშირებული ადგილების ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება და მისი იერსახის აღდგენა. ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში აუცილებელია: ბუნებრივი რელიეფისა და წყალსატევების შენარჩუნება, ლანდშაფტის განთავისუფლება კულტურულ ღირებულებას მოკლებული, დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისა და ნარგავებისაგან, მცენარეული საფარის დაცვა-რეგულირება, ტყისა და მწვანე საფარის ბუნებრივი აღდგენის უზრუნველყოფა, მდელოებისა და სხვა ტერიტორიების დაცვა დამეწყვისა და წალეკვისაგან.

4) არქეოლოგიური დაცვის ზონად განისაზღვრება ტერიტორია, სადაც გამოვლენილი, და ფიქსირებული ან დაზვერილია კულტურული ფენები ან/და არქეოლოგიური ობიექტები. არქეოლოგიური დაცვის ზონის დადგენის მიზანია მასში არსებული არქეოლოგიური ძეგლების, კულტურული ფენების, გამოვლენილი ან დაზვერილი არქეოლოგიური ობიექტებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების დაცვის უზრუნველყოფა. არქეოლოგიური დაცვის



ზონაში აკრძალულია ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს ზონაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაზიანებას, განადგურებას, მისი აღქმის გაუარესებას ან ხელს შეუშლის მასზე სრულფასოვანი მეცნიერული კვლევის ჩატარებას, მათ შორის: ა) მიწის სამუშაოები, გარდა სასოფლო-სამეურნეო და არქეოლოგიურ სამუშაოებთან დაკავშირებული მიწის სამუშაოებისა; ბ) ნებისმიერი სახის სამშენებლო, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სამეურნეო ნარჩენების, ასევე არქეოლოგიური გათხრების დროს დაგროვილი ფუჭი ქანების დაყრა.

ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საფუძველია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა, რომლის პრინციპებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტაციის შედგენისას. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა არის მრავალდისციპლინური მიდგომის საფუძველზე შემუშავებული სპეციალური კომპლექსური სამეცნიერო-კვლევითი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონებისა და მათში არსებული ძეგლების, ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ამსახველ ინფორმაციულ და ანალიტიკურ მასალას და შეიცავს რეკომენდაციებს მათი დაცვისათვის აუცილებელი ქალაქთმშენებლობითი და გეგმარებითი რეგლამენტაციის შესახებ. ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა შედგება საინფორმაციო, ანალიტიკური და დასკვნითი ნაწილებისაგან.

ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის საინფორმაციო ნაწილი არის დაფარვითი ინვენტარიზაციის შედეგად მიღებული კომპლექსური საინფორმაციო ბაზა ტერიტორიის არსებული მდგომარეობის შესახებ და შედგება შემდეგი გეოგრაფიული მონაცემებისაგან: ა) მითითება შესაბამის დამცავ ზონაზე (ზონებზე); ინფორმაცია ტერიტორიაზე არსებული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების შესახებ, ასევე ძირითადი მონაცემები ტერიტორიაზე არსებული ყველა სხვა შენობა-ნაგებობის თაობაზე; ტერიტორიაზე არსებული ურბანული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტები; მნიშვნელოვანი პანორამებისა და პერსპექტივების აღქმის წერტილები; ისტორიულად ჩამოყალიბებული ლანდშაფტის საზღვრები; ტერიტორიაზე არსებული მწვანე მასივები, სკვერები, ბალები და პარკები;

ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ანალიტიკური ნაწილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოს ზოგადი დახასიათება (ტერიტორიის მნიშვნელობის განსაზღვრა ზოგად კონტექსტში, ისტორიულად ჩამოყალიბებული არქიტექტურული და ბუნებრივი სივრცითი დომინანტების მნიშვნელობის შეფასება-ანალიზი), განაშენიანების ფიზიკური მდგომარეობის ზოგადი შეფასება-ანალიზი, შენობა-ნაგებობათა ისტორიულ-კულტურული ღირებულების შეფასება-ანალიზი და ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით ჰომოგენური უბნების საზღვრების იდენტიფიკაცია, კონსერვაციისა და განვითარების არელების დადგენა.

ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის დასკვნითი ნაწილი შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: დამცავი ზონების ფარგლებში კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და რეაბილიტაციის ძირითადი დებულებები და განვითარების პრინციპები, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის გრაფიკული ნაწილი (სინთეზური რუკა, დამცავი ზონების ფარგლებში არსებული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტების ნუსხა, რეკომენდაციები დამცავ ზონებში დასაშვები ქმედებებისათვის, მათ შორის, რეკომენდაციები სარეაბილიტაციო ობიექტებისა (ძეგლები, კულტურული მემკვიდრეობის სხვა ობიექტები, ფონური განაშენიანება, საზოგადოებრივი სივრცე და სხვა) და მათი რეაბილიტაციის მეთოდოლოგიის შესახებ.

*E. საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“*

მოიცავს სხვადასხვა კატეგორიებს, რომელთა შორისაა დაცული ლანდშაფტი. იგი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ესთეტიკური ღირებულებით გამორჩეული როგორც ბუნებრივი, ასევე ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიულიერთობის შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის.

დაცული ლანდშაფტი საჭიროებს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ფართო სახმელეთო ტერიტორიას და (ან) აკვატორიას, სადაც თვითმყოფადი ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტი გამოიჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. იგი შეიძლება შედიოდეს სხვა დაცული ტერიტორიის (ბიოსფერული რეზერვატი, მსოფლიო მემკვიდრეობის უბანი) შემადგენლობაში ან მოიცავდეს დაცულ ტერიტორიას (ბუნების ძეგლი).

მცხეთის კულტურული ლანდშაფტის ფარგლებში შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე დაცული ლანდშაფტი, რომელიც გამოირჩევა მაღალი ისტორიული და ესთეტიკური ღირებულებით. ამ შემთხვევაში მისი შენარჩუნება სამართლებრივად იქნება უზრუნველყოფილი.

*F. ევროპის ლანდშაფტური კონვენცია*

ევროპის ლანდშაფტური კონვენცია ადგენს ლანდშაფტის განსაკუთრებულ როლს საზოგადოებრივი განვითარების ისეთ მიმართულებებში, როგორცაა: კულტურა, ეკოლოგია, გარემოს დაცვით და სოციალური სფეროები, ეკონომიკური განვითარება და დაგეგმვა. კონვენციის მიხედვით, „ლანდშაფტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადგილობრივი კულტურის ჩამოყალიბებაში და ის ევროპის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძირითადი კომპონენტია. იგი ხელს უწყობს ადამიანთა კეთილდღეობას და ევროპული თვითმყოფადობის კონსოლიდაციას“.



ხელმძღვანელი მხარეები აღიარებენ, რომ ლანდშაფტი ადამიანების ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვანი ნაწილია. მასზე მეტ-ნაკლები ინტენსივობით მოქმედებს მეურნეობის თითქმის ყველა სფერო, რაც განაპირობებს ლანდშაფტების ტრანსფორმირებას. ამავე დროს, საზოგადოების კანონიერი მოთხოვნილებაა, ჰქონდეს მაღალი ხარისხის ლანდშაფტებით სარგებლობის საშუალება და აქტიური მონაწილეობა მიიღოს ლანდშაფტების განვითარებაში. და ეს გასაგებია, რადგან ლანდშაფტი წარმოადგენს პიროვნული და სოციალური კეთილდღეობის ძირითად ელემენტს და ამიტომ მისი დაცვა, მართვა და დაგეგმარება თითოეული ადამიანის უფლება და პასუხისმგებლობაა.

ევროპის ლანდშაფტური კონვენცია ერთგვარად უნივერსალური საკანონმდებლო აქტია, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო დონეზე არსებული სამართლებრივი დოკუმენტების ტექსტებს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვის, რეგიონალური და სივრცობრივი დაგეგმარების, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის სფეროში. მათშორისაა კონვენციები:

- 1) ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი საბინადრო გარემოს დაცვის შესახებ (ბერნი, 19 სექტემბერი, 1979),
- 2) ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (გრენადა, 3 ოქტომბერი, 1985),
- 3) ევროპის არქეოლოგიური მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (ვალეტა, 16 იანვარი 1992),
- 4) ევროპის ჩარჩო-კონვენცია ტერიტორიულ თემებს ან მთავრობებს შორის ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობის შესახებ (მადრიდი, 21 მაისი, 1980)
- 5) ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიას (სტრასბურგი, 15 ოქტომბერი, 1985),
- 6) ბიომრავალფეროვნების კონვენციას (რიო-დეჟანეირო, 5 ივნისი, 1992),
- 7) მსოფლიოს კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის კონვენციას (პარიზი, 16 ნოემბერი, 1972)
- 8) კონვენციას გარემოს დაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსი, 25 ივნისი, 1998);

ევროპის ლანდშაფტური კონვენციის მთავარი მიზანია ლანდშაფტების ხარისხის და მრავალფეროვნების შენარჩუნება, ევროპის ქვეყნების თანამშრომლობა ყველა ლანდშაფტის დაცვის, მართვისა და დაგეგმარების მიზნით. ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ძირითადი პოსტულატების მიხედვით გაწერილია ის

ქმედებები, რაც ემსახურება მცხეთის კულტურული ლანდშაფტის დაცვას, მართვასა და დაგეგმარებას. მათ შორისაა:

- ✓ „ლანდშაფტი“- ტერიტორია, რომელიც აღქმულია ხალხის მიერ და რომლის ხასიათიც განპირობებულია ბუნებრივი და/ან ადამიანური ფაქტორების ქმედების და ურთიერთქმედების შედეგად;
- ✓ „ლანდშაფტის პოლიტიკა“- უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების მიერ ზოგადი პრინციპების, სტრატეგიისა და სახელმძღვანელო პრინციპების ჩამოყალიბება, რაც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს კონკრეტული ზომები ლანდშაფტის დაცვის, მართვისა და დაგეგმარებისათვის;
- ✓ „ლანდშაფტის ხარისხის მიზანი“-უფლებამოსილი სახელმწიფო უწყებების მიერ კონკრეტულ ლანდშაფტებთან მიმართებაში საზოგადოების მისწრაფებების ფორმულირება მათ შემოგარენში არსებული ლანდშაფტების თავისებურებებთანდაკავშირებით;
- ✓ „ლანდშაფტის დაცვა“-ქმედებები, რომლებიც მიმართულია ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ან დამახასიათებელი თვისებების კონსერვაციასა და შენარჩუნებაზე, რაც გამართლებულია მისი მემკვიდრეობითი ღირებულებით, რომელიც წარმოშობილია მისი ბუნებრივი კონფიგურაციიდან და/ან ადამიანის მიერ განხორციელებული ქმედებებიდან;
- ✓ „ლანდშაფტის მართვა“-ქმედება მდგრადი განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით, რომელიც უზრუნველყოფს ლანდშაფტის რეგულარულ მოვლას ისე, რომ მოხდეს სოციალური, ეკონომიკური და გარემოშიმი მდინარე პროცესებით გამოწვეული ცვლილებების მართვა და ჰარმონიზაცია;
- ✓ „ლანდშაფტის დაგეგმარება“- გადამწყვეტ, შორს გამიზნულ ქმედებებს ლანდშაფტების გაუმჯობესების, აღდგენის ან შექმნის მიზნით.

კონვენცია ვრცელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და მოიცავს ბუნებრივ და ანთროპოგენულ ლანდშაფტებს, შიდა წყლებს და საზღვაო ტერიტორიებს, როგორც უნიკალურ, ასევე ჩვეულებრივ ან დეგრადირებულ ლანდშაფტებს. კონვენციის ნებისმიერი მხარე:

- ✓ კანონით აღიარებს ლანდშაფტებს, როგორც მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს მნიშვნელოვან კომპონენტს, მისი ერთიანი კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მრავალფეროვნების გამოხატულებას და მისი თვითმყოფადობის საფუძველს;
- ✓ ჩამოაყალიბებს და განახორციელებს ლანდშაფტების პოლიტიკას, რომლის მიზანია ლანდშაფტების დაცვა, მართვა და დაგეგმარება;
- ✓ დანერგავს პროცედურებს საზოგადოების, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლების და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისათვის;

- ✓ განახორციელებს ლანდშაფტების ინტეგრირებას რეგიონულ და ქალაქის დაგეგმვის პოლიტიკაში, კულტურულ, გარემოს დაცვით, სოფლის მეურნეობის, სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში, აგრეთვე სხვა ნებისმიერ პოლიტიკაში, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა ლანდშაფტებზე.

ევროპის ლანდშაფტური კონვენციის მიხედვით, მონაწილე მხარე ვალდებულია:

- ✓ მოახდინოს საკუთარი ლანდშაფტების იდენტიფიცირება მის ტერიტორიაზე;
- ✓ გააანალიზოს მათი მახასიათებლები და ის ფაქტორები, რომლებიც იწვევს მათ ტრანსფორმირებას;
- ✓ ყურადღება მიაქციოს ცვლილებებს;
- ✓ შეაფასოს ლანდშაფტები იმ განსაკუთრებული ღირებულებების გათვალისწინებით, რომლებსაც მათ ანიჭებენ დაინტერესებული მხარეები და საზოგადოება.

#### *G. რამსარის კონვენცია*

საქართველო რამსარის კონვენციას 1996 წელს მიუერთდა. იგი რამდენიმე ათეული წელია გლობალური მასშტაბით ხელს უწყობს ჭარბტენიანი ტერიტორიების „გონივრული გამოყენების“ იდეის რეალურ დანეგვას. ჭარბტენიანი ტერიტორიები მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პროდუქტიული ეკოსისტემებია, რომელიც დიდ როლს თამაშობს წყლის რეჟიმის რეგულირებაში, ეროზიისა და წყალდიდობების კონტროლში და წყლის ხარისხის შენარჩუნებაში. არანაკლებ საყურადღებოა ჭარბტენიანი ტერიტორიების სოციო-კულტურული (საგანმანათლებლო, სამეცნიერო, რეკრეაციული, რელიგიური, ისტორიული) და ეკონომიკური მნიშვნელობა. ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჭარბტენიან ეკოსისტემების როლს კლიმატის ცვლილების ზეგავლენის შერბილებასა და ადაპტაციაში. ამასთან, ჭარბტენიანი ტერიტორიები პლანეტის ერთ-ერთი ყველაზე მოწყვლადი ეკოსისტემებია, რომლებიც სულ უფრო მზარდი მასშტაბით იცვლიან სახეს ადამიანთა საქმიანობის შედეგად.

#### *H. კონვენცია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ*

საქართველო კონვენციას მიუერთდა 2007 წელს. იგი ითვალისწინებს მჭიდრო ურთიერთკავშირს არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობასა და მატერიალურ და აბუნებრივ მემკვიდრეობას შორის. იგი აღიარებს რომ, გლობალიზაციის ადა სოციალური ტრანსფორმაციის პროცესები დეგრადაციის, გაქრობისა და რღვევის სერიოზულ საფრთხეს უქმნის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას.

“არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ მოიცავს ზეპირ სიტყვიერების, ადათ-წესებს, საშემსრულებლო ხელოვნებას, დღესასწაულებს, ბუნებასა და

სამყაროსთა ნდაკავშირებული ცოდნასა და ადათ-წესებს, წარმოსახვისა და გამოხატვის ფორმებს, ცოდნასა და უნარ-ჩვევებს, ასევე მათთან დაკავშირებულ საშუალებებს, საგნებს, არტეფაქტებს და კულტურულ სივრცეებს. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა მუდმივ განახლებას განიცდის მათი გარემო პირობების, ბუნებასთან მათი ურთიერთმოქმედებისა და ისტორიის შესაბამისად.

მცხეთის კულტურული ლანდშაფტი მოიცავს საკმაო რაოდენობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას, რაც ძირითადად ქრისტიანულ რელიგიასთან და მასთან გაიგივებულ ადათ-წესებთანაა დაკავშირებული. ამგვარი მემკვიდრეობის დაცვა ძირითადად ხორციელდება მისი სიცოცხლისუნარიანობის, კვლევის, შენარჩუნების, პოპულარიზაციისა და მისი როლის ამაღლების, მათ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილების მიზნით ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე.

### *I. ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია*

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია ერთდროულად კულმინაციაც არის და ამოსავალი წერტილიც. იგი არის იურიდიული დასტური ოცი წლის ევროპული თანამშრომლობისა არქიტექტურული მემკვიდრეობის დარგში და ამავე დროს წარმოადგენს ახალ ჩარჩოებს ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და, ზოგიერთ შემთხვევაში, სხვა სახელმწიფოების თანამშრომლობისათვის.

კონვენციის საფუძვლები ევროპის საბჭოს სამუშაო პროგრამის კონტექსტში.

1963 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ წამოაყენა ინიციატივა ძეგლებისა და ზონების კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების დარგში ევროპული თანამშრომლობის შესახებ. 1969 წლის 25-27 ნოემბერს ბრიუსელში ამ სექტორის მესვეურ მინისტრთა პირველი ევროპული კონფერენციის ჩატარებიდან ცოტა ხნის შემდეგ, ასამბლეამ მიიღო რეკომენდაცია 589 (1970), რომელიც ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ყურადღებას მიაპყრობდა მიზანშეწონილებაზე, შექმნილიყო თანამშრომლობის მუდმივი კომიტეტი, რომელიც შეადგენდა ევროპულ ქარტიას, მასში ჩამოყალიბდებოდა მემკვიდრეობის "დაცვისა და რეაბილიტაციის ზოგადი პრინციპები", ხოლო შემდეგ ამ ქარტიის შუქზე მომზადებულიყო ევროპული კონვენცია.

სამუშაოს დიდი ნაწილი შესრულდა 1970-იან წლებში ორგანიზაციის ხელშეწყობით და დაგვირგვინდა 1975 წლის სექტემბერში მინისტრთა კომიტეტის მიერ არქიტექტურული მემკვიდრეობის ევროპის ქარტიის მიღებით. ქარტიის პრინციპები, რომლებიც შესულია ამსტერდამის კონგრესის ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის წლის (1975) დამაგვირგვინებელი ღონისძიების დეკლარაციაში, წარმოადგენს ნაშენი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ ევროპული აზროვნების ერთ-ერთ ნიშნულს. მას შემდეგ ფართოდ მიღებულია ზრუნვა ქალაქის დაგეგმარებაში კონსერვაციის "ინტეგრირებაზე", ისტორიული შენობების



ჯგუფების და მათი გარემოცვის შენარჩუნებაზე და მემკვიდრეობის, როგორც ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების ნაწილის, მიჩნევაზე.

ევროპის საბჭოს სამთავრობათშორისო პროგრამამ 1975 წლიდან თანამშრომლობა გააფართოვა. 1976 წელს მინისტრთა კომიტეტმა რეზოლუციაში (76) 28 მისცა რეკომენდაცია წევრ მთავრობებს, რათა მათ მიესადაგებინათ კანონებისა და წესების ეროვნული სისტემები "ინტეგრირებული კონსერვაციის" მოთხოვნილებებისათვის. კონვენციის იდეა, რომელსაც მეტი ძალა ექნებოდა, ვიდრე დეკლარაციას ან რეკომენდაციას და სახელმწიფოებს დაუქვემდებარებდა საერთაშორისო კანონმდებლობას, კვლავ წამოიჭრა 1982 წელს ჩLდAE-ს რეზოლუციაში 127. იგი მიიღეს ისტორიული ქალაქების მე-4 ევროპულ სიმპოზიუმზე.

სწორედ ამ კონტექსტში, 1981 წლის სექტემბერში, მინისტრთა კომიტეტმა დაავალა საქმიანობის სამთავრობათშორისო პროგრამის (ურბანისტული პოლიტიკისა და არქიტექტურული მემკვიდრეობის კომიტეტი, ჩDUP) მემკვიდრეობის სექტორის პასუხისმგებელ კომიტეტს, წინასწარ სამუშაოებზე დაყრდნობით, ჩამოეყალიბებინა აზრი ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობაზე.

1983 წლის პლენარულ სხდომაზე ჩDUP-მ მიიჩნია დასრულებულად წინასწარი სამუშაოები, რომელიც, სამდივნოს თხოვნით, 1982 წელს ჩაატარა ნანსის ევროპულმა საუნივერსიტეტო ცენტრმა და მხარი დაუჭირა კონვენციის პრინციპს. ჩDUP-ს წინადადებით, მინისტრთა კომიტეტმა 1983 წელს თავის 360-ე სხდომაზე გადაწყვიტა შეექმნა წამყვანი ექსპერტების კომიტეტი, რომელსაც საგანგებოდ დაევალა ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის პროექტის მომზადება საქმიანობის სამთავრობათშორისო პროგრამის ჩარჩოებში.

იმავე დროს, როცა იწერებოდა კონვენცია, უფროს ოფიციალურ პირთა კომიტეტს ეთხოვა, 1984 წელს, მოემზადებინა არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მეორე ევროპული კონფერენცია, რომლის ჩატარება ითავა ესპანეთის მთავრობამ გრენადაში 1985 წელს; მას ორმაგი მიზანი ჰქონდა - განეხილა ევროპული თანამშრომლობის მდგომარეობა პირველი კონფერენციის შემდეგ 1969 წელს და ამავე დროს დაესახა თანამშრომლობის ახალი მიმართულებები. იმისათვის, რომ აღენიშნათ განახლებული იმპულსი, რომელიც მიეცა ევროპული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამას და ხაზი გაესვათ მის პოლიტიკურ წონას, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ კონვენცია ხელმოსაწერად გახსნილიყო გრენადის მინისტრთა კონფერენციასთან დაკავშირებით.

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია ხელმოსაწერად გაიხსნა 1985 წლის 3 ოქტომბერს, არქიტექტურული მემკვიდრეობის მესვეურ მინისტრთა მეორე ევროპულ კონფერენციაზე გრენადაში.

კონვენციის მიზნები და სტრუქტურა

ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა უსაზღვროდ მდიდარია და მრავალფეროვანი. ამ მემკვიდრეობის ხასიათი, მის კონსერვაციასთან და მისდამი ოფიციალურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებული პრობლემები საგრძნობლად

განსხვავდება ევროპის სხვადასხვა რეგიონში. კონვენციას აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა ეს სირთულე; ასევე, მას უნდა გამოეხატა ევროპის ძირეული ერთიანობა, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ მის კულტურულ ტრადიციებში, არამედ აგრეთვე იმ პრობლემათა და ამოცანათა მსგავსებაში, რომელთა წინ იგი დგას დღეს.

1982 წლის მექსიკო სიტის მსოფლიო კონფერენციამ კულტურის პოლიტიკებზე აღნიშნა, რომ "ერის კულტურული მემკვიდრეობა შეიცავს მისი მხატვრების, არქიტექტორების, მუსიკოსების, მწერლებისა და მეცნიერების ნაშრომებს და აგრეთვე უცნობ ხელოვანთა ნაშრომს, გამოხატულებას ერის სულიერებისა და ღირებულებათა სისტემისა, რომელიც აზრს ანიჭებს ცხოვრებას. იგი შეიცავს ხელშესახებ და დაუნახველ ნაშრომს, რომელთა საშუალებით ხდება ამ ერის შემოქმედების გამოხატვა: ენები, რიტუალები, რწმენები, ისტორიული ადგილები და ძეგლები, ლიტერატურა. ხელოვნება, არქივები და ბიბლიოთეკები".

არქიტექტურული მემკვიდრეობა ყველაზე ადვილად შესაცნობი ნაწილია კულტურული მემკვიდრეობისა. ევროპის მრავალსახა და ხშირად უსაზღვრო კულტურების აღიარება, დაცვა და განვითარება - აი, საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ ევროპელებმა შემოქმედებითად იცხოვრონ და იმუშაონ ერთად. მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ კონვენციას ხაზი გაესვა, სადაც კი ეს საჭირო იყო, იმ როლისთვის, რომელიც უნდა ითამაშოს არქიტექტურულმა მემკვიდრეობამ კულტურულ განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე.

მემკვიდრეობის ინტეგრირებული დაცვა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კონვენცია არსებითად ითვალისწინებს ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან მიღწევას, რომელიც ეხება მემკვიდრეობის ჩართვას ქალაქის დაგეგმარებისა და განვითარების პოლიტიკაში. იგი სამართლიანად უსვამს ხაზს ურბანისტებს, მგეგმავებსა და კონსერვატორებს შორის ყველა დონეზე თანამშრომლობის და საზოგადოების მონაწილეობის აუცილებლობას.

გარდა ამისა, მემკვიდრეობის დაცვამ შეიძლება ხელი შეუწყოს ეკონომიკურ განვითარებას.

მემკვიდრეობის მომავლისათვის საუკეთესო იქნება, რომ იგი სარგებლობაში იყოს. მართალია, უძრავობის კონსერვაცია ფული ღირს, მაგრამ იგი, ამავე დროს, შემოსავლის წყაროა და ქმნის სამუშაო ადგილებს. კონვენციას უნდა ნათლად აესახა ინვესტიციების საზოგადო და კერძო ფინანსური ხელშეკრულებებისა და პროფესიული მომზადების მნიშვნელობა.

ამ კონტექსტში კონვენცია უნდა ემსახურებოდეს ორმაგ მიზანს:

მონაწილე მხარეების ტერიტორიაზე დაცვისა და წარმოჩენის პოლიტიკის გაძლიერება და პროპაგანდა;

ევროპული სოლიდარობის განვითარება მემკვიდრეობის დაცვისა და სახელმწიფოების და რეგიონების პრაქტიკული თანამშრომლობის დარგში.

პირველი ნაწილი ეხება დაცვის მინიმალურ ზომებს და კონსერვაციის პოლიტიკას, რომელიც უნდა გატარდეს ევროპის საბჭოსა და სხვა



სპეციალიზებული საერთაშორისო ინსტიტუტების წინა დოკუმენტების გათვალისწინებით.

მეორე ნაწილის მიზანია ხელი შეუწყოს უფრო მჭიდრო ევროპულ თანამშრომლობას მემკვიდრეობის დაცვაში. იგი აყალიბებს "კონსერვაციის პოლიტიკის ევროპული პოლიტიკის" პრინციპებს, რომელიც მოიცავს მხარეთა კონსულტაციებს პოლიტიკების თანამედროვე მოთხოვნილებებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით, აგრეთვე გამოცდილებას და სპეციალისტების გაცვლას. კონვენციის ევოლუციური ხასიათი ვლინდება დებულებაში, რომელიც ეხება კომიტეტის შექმნას მისი ცხოვრებაში გატარების სამეთვალყურეოდ და იმ ფაქტში, რომ ამ კომიტეტს შეუძლია არა მხოლოდ კონვენციის შესწორებების შეთავაზება, არამედ რეკომენდაციების გაკეთებაც მდგომარეობის ან მოთხოვნილებების შეცვლასთან დაკავშირებით.

ტექსტი მთავრდება დასკვნითი დებულებებით, რომლებიც ეყრდნობა ევროპის საბჭოს ეგიდით მიღებულ კონვენციებში ჩვეულებრივ გამოყენებულ დებულებებს.

გარდა ამისა, კონვენციის სათაური შეიცავს გამოთქმას "ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობა" იმისათვის, რათა დადასტურდეს, რომ კონვენციის მონაწილე მხარეების მიზანია ყველასათვის საერთო ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა, რომელიც ევროპის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამ მხრივ ტექსტი არ ეხება ევროპული კულტურის გამოხატულებას, რომელიც სხვა კონტინენტებზეა შექმნილი.

## 5. თავი - ეთნოგრაფიულ - გეოგრაფიული ხედვა, აქსიოლოგიურ - ინფორმაციული ხედვა, კულტურული ლანდშაფტის მიხედვით - მცხეთის მაგალითზე

ქრისტიანული კულტურა და მისი როლი საკაცობრიო ისტორიულ-ურბანული სივრცის ჩამოყალიბებაში უმთავრესი ასპექტია და დღემდე ახდენს გავლენას ქალაქგეგმარებით საკითხებზე, როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად, რამაც თავისთავად ასახვა ჰპოვა საერთაშორისო დოკუმენტებში და ზოგადსაკაცობრიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებში. 2003 წელს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციამ (UNESCO), გენერალური კონფერენციის 32-ე სესიაზე მიიღო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია, რომელსაც 2007 წელს საქართველოც შეუერთდა. კონვენცია არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობას განიხილავს, როგორც კულტურული მრავალფეროვნების წყაროს და მისი მდგრადი განვითარების გარანტს. ქართული ქრისტიანული კულტურა და ისტორია საერთო მსოფლიო ისტორიის ნაწილია საკუთარი მახასიათებლებითა და გამომხატველობით. დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც უამრავი ინფორმაციაა დაგროვილი, საჭიროა ჰაგიოგრაფიული, სასულიერო თუ სხვა სახის ტექსტური თუ ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის სწორი ინტერპრეტაცია, სხვადასხვა მიმართულების მეცნიერული კვლევის შედეგების შეჯამება და გაანალიზება.

ისტორიული ქალაქების დაცვის შესახებ თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებულ ხედვებში სულ უფრო და უფრო იკვეთება გლობალურ ცვლილებებზე ადეკვატური რეაგირების მოთხოვნა. კომიტეტმა მხედველობაში მიიღო ის მნიშვნელოვანი ევოლუცია განმარტებებსა და მეთოდოლოგიაში, რაც ისტორიული ქალაქების დაცვასა და მართვასთანაა დაკავშირებული. ისტორიული ქალაქები და ურბანული ტერიტორიები შედგებიან მატერიალური და არამატერიალური ელემენტებისაგან. მატერიალური ელემენტები, საქალაქო სტრუქტურასთან ერთად, შეიცავენ არქიტექტურის ელემენტებს, ლანდშაფტებს - ქალაქის შიგნით და ქალაქის გარშემო, არქეოლოგიურ ნაშთებს, პანორამებს, სილუეტებს, ხედვით სექტორებს და ადგილობრივ ღირსშესანიშნაობებს. არამატერიალური ელემენტები შეიცავენ მოღვაწეობის სახეობებს, სიმბოლიურ და ისტორიულ ფუნქციებს, კულტურულ ადათ-წესებს, ტრადიციებს, მოგონებებს და კულტურულ ორიენტირებს, რაც წარმოადგენს მათი ისტორიული ფასეულობათა არსს.

ისტორიული ქალაქები და ურბანული ტერიტორიები წარმოადგენენ სივრცით სტრუქტურებს, რომლებიც საზოგადოების ევოლუციასა და მისი კულტურის იდენტურობას გამოხატავენ.

ისტორიული ან ტრადიციული ტერიტორიები ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენენ. მათი დაცვა და თანამედროვე საზოგადოებაში ინტეგრაცია წარმოადგენს ურბანული (მიწის) განვითარების გეგმის საფუძველს.

გარემოცვა ნიშნავს ბუნებრივ და კულტურულ გარემოს, რომელშიაც ქალაქის ისტორიული მემკვიდრეობაა განთავსებული, რომელიც გავლენას ახდენს მისი ტერიტორიების სტატიკურ და დინამიურ აღქმაზე, იწვევს განცდებს და ესთეტიკურ სიამოვნებას, ან უშუალოდაა დაკავშირებული მათთან სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული თვალსაზრისით.

ისტორიული ქალაქებისა და საქალაქო ტერიტორიების, ისევე, როგორც მათი გარემოცვის დაცვა, მოიცავს მათი დაცვის, შენარჩუნების, მოდერნიზაციისა და მართვის, ასევე მათი თანამიმდევრული განვითარებისა და თანამედროვე ცხოვრებაში ჰარმონიული ადაპტაციისათვის ყველა საჭირო პროცედურას.

ბუფერული ზონა წარმოადგენს დაცული ტერიტორიების საზღვრებს გარეთ მკაფიოდ განსაზღვრულ ზონას, რომელიც ემსახურება დაცული ადგილების კულტურული ფასეულობის იმ აქტიური მოდერნიზაციის ზემოქმედებისაგან დაცვას, რაც მათ გარემომცველ სივრცეში მომდინარეობს. ეს ზემოქმედება შეიძლება იყოს ფიზიკური, ვიზუალური და სოციალური.

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც დეტალებში განსაზღვრავს მემკვიდრეობის დაცვის მიზნებზე ორიენტირებულ და იმავდროულად, თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებთან შესაბამის ყველა სტრატეგიასა და ინსტრუმენტს. ის შეიცავს საკანონმდებლო, ფინანსურ, ადმინისტრაციულ და დაცვით დოკუმენტებს, ასევე, დაცვის სისტემას და მონიტორინგს.

ისტორიული ქალაქები და ურბანული ტერიტორიები, როგორც ცოცხალი ორგანიზმები, მუდმივ ცვლილებებს განიცდიან. ეს ცვლილებები ეხება ქალაქის ყველა ელემენტს (ბუნებრივი, ადამიანური, მატერიალური და არამატერიალური).

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც არქიტექტურული გარემოს დააცვა-შენარჩუნება. არამატერიალური ელემენტები, რომლებიც ხელს უწყობენ იდენტურობის შენარჩუნებას და ადგილის სულს აღიარებული და დაცულნი უნდა იქნენ, რამდენადაც ისინი გადამწყვეტ როლს თამაშობენ ადგილის ხასიათისა და სულის განსაზღვრაში.

“შესაძლებელია თუ არა რელიგიური და მეცნიერული წარმოდგენების შეთავსება?

მეცნიერების თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე ამ კითხვას მხოლოდ ღიმილის გამოწვევა შეეძლო. სხვა რა ამოცანა უნდა ჰქონდეს მეცნიერებას, თუ არა სამყაროს არსებული კანონზომიერებების გამოკვლევა? ხოლო ჩვენ, რადგან ვიწყებთ ბუნების კანონების შესწავლას, თავისთავად ვგულისხმობთ ამ კანონების არსებობას. მთელი მეცნიერული გამოცდილება ამტკიცებს ამ მოსაზრების სისწორეს, მოწმობს რა ბუნებაში გაბატონებულ სილამაზეზე, გონიერებასა და ჰარმონიაზე. ამიტომ მსჯელობა ბრძენი კანონმდებლის შესახებ უფრო სინამდვილედ გვესახება, ვიდრე მსჯელობა ბუნების უდიდესი მშვენიერების შემთხვევით წარმოშობაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუკი არსებობს ბუნების კანონები და ეს კანონები გონივრულია (რაშიც ჩვენ მთელი მეცნიერული გამოცდილება გვარწმუნებს), მაშინ აუცილებლად არსებობს კანონმდებელი, და ეს

კანონმდებელი ასევე გონიერია, „რამეთუ უხილავი იგი მისი დაბადებიდან სოფლისადათ ქმნილთა მათ შინა საცნაურად იხილვების, და სამარადისოა იგი ძალი მისი და ღმერთება“<sup>35</sup>.

სწავლული ათეისტი ხომ უხეირო მეთევზეს ჰგავს, რომელიც, ერთი მხრივ, დარწმუნებულია, რომ მდინარეში თევზი არ არის და მაინც ისვრის ანკესს, ან მეორე მხრივ - ყოველ წუთში იჭერს თევზს და მაინც ამტკიცებს, თევზი არ არსებობსო.

მეცნიერებისთვის შესაქმის საიდუმლოებებისადმი მოკრძალებული მიდგომა და შემოქმედის უმაღლესი ჩანაფიქრის წვდომა ყოველთვის ჭეშმარიტი მიზანი და უდიდესი სიამოვნება იყო. ამ მიზანს მთალიანად უძღვნიდნენ თავს ისეთი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: ნიუტონი, პასტერი, კაპლერი, პლანკი, კოპერნიკი, ლომონოსოვი, პასკალი, ჯოული, ბოილი, მენდელი, კიუვე, გალილეი და სხვა მრავალი. ამ ჩამონათვალში ათეისტები იმდენად იშვიათია, რამენადაც ცნობილ მუსიკოსებს შორის სმენადაკარგული ადამიანები. მრავალსაუკუნოვანმა გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ყოველთვის, როცა ბუნებისმკვლევარნი ეწინააღმდეგებოდნენ ბიბლიურ წარმოდგენებს, ვინც ისწრაფვოდა ბიბლია მითად გამოეცხადებინა ან მასში ალეგორიული აზრი მოეძებნა, გარკვეული დროის შემდეგ შერცხვენილნი რჩებოდნენ. წინააღმდეგობის ნამდვილ მიზეზს ყოველთვის წარმოადგენდა ან უზუსტობა, ან მეცნიერული ცოდნის არასრულყოფილება, ხოლო ათასობით წლის წინათ შექმნილი ტექსტები კი კვლავ განცვიფრებას იწვევდნენ სამყაროს ფიზიკური სურათის აღწერილობის უტყუარობითა და პოეტურობით.”<sup>36</sup>

ახალი მასშტაბური კვლევების მიხედვით, მეცნიერების 85%, მათ შორის ათეისტი მეცნიერებისა, ვერ ხედავს წინააღმდეგობას მეცნიერებასა და რელიგიას შორის, მეტიც, ათეისტი მეცნიერების დიდი უმრავლესობა უარყოფითად აფასებს დოკტრინის და მისი სამკაცინი ჯგუფის დესტრუქციულ მოქმედებებს. ხუთ წლიანი კვლევის შედეგად, რომელსაც ჰიუსტონის სოციოლოგი - რაის ელენ ეკლანდი უძღვებოდა - დადგინდა, რომ ამერიკელი მეცნიერების უმეტესობის აზრით, რელიგია და მეცნიერება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. გამოკითხულების მხოლოდ 15% თვლის, რომ რელიგია და მეცნიერება მუდმივ წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. ხოლო უმეტესობა დარწმუნებულია, რომ როგორც რწმენა, ასევე მეცნიერებაც - ეს არის „შემეცნების რეალური გზა“.

„საზოგადოება ქმნის აზრს, რომ სეკულარიზაციის განვითარებასთან ერთად რელიგიურობა იკლებს. მეცნიერება თითქოსდა ავიწროებს რელიგიას. ამ კვლევის შედეგით, რომელიც საკმაოდ პატივსაცემ მეცნიერებთან ჩატარდა და რომელთა უმეტესობაც თავს არისტოკრატიულ (პროფანულ), არარელიგიურ ადამიანად

<sup>35</sup> ბიბლია (რომ.1,20)

<sup>36</sup> სერგეი გოლოვინი “სოფლიო წარღვნა: მითი, ლეგენდა თუ რეალობა?”. ГОЛОВИН Сергей Леонидович; Всемирный потоп. Миф, легенда или реальность? Популярное введение в библейский катастрофизм.- Симферополь: Христианский научно-апологетический центр, 1999.- 80 с: ил. Издание третье, переработанное и дополненное. Первое издание — Вена, Австрия, 1993. Второе издание — Симферополь, 1994. Редактор В. ХАЧАТУРЯН. ISBN 5-7780-0720-5

თვლის, ამ პრობლემას უფრო ფართოდ განიხილავს“-განაცხადა ამ კვლევის ხელმძღვანელმა.

ამერიკელი მეცნიერებისგან აღებული მოცულობითი ინტერვიუები ცხადყოფენ: ისინი, რომლებიც ათავსებენ რელიგიას და მეცნიერებას, ხშირ შემთხვევაში დარწმუნებული არიან, რომ „მეცნიერება ღმერთისგან მოდის“ და კიდევ იმაში, რომ „რელიგია და მეცნიერება ცხოვრების აღქმის რეალურ შანსს გვაძლევს“.

“აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ რელიგია და მეცნიერება ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. ეს მხოლოდ მეცნიერთა ნაწილის ახირებაა”<sup>37</sup>.

ქართულ საზოგადოებრივ წრეებში ეს საკითხები დოკინზისეულ<sup>38</sup> ავანტურას გვაგონებს, სადაც პოლიტიკური დოკინიზმი მძლავრია - ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნა, ორმაგი სტანდარტები და სხვა სახის პროფანიზმის მაგალითები, ეს საკითხი კარგად აქვს შესწავლილი და გადმოცემული გარი ჰორტს თავის ნაშრომში<sup>39</sup>, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქვეყნებს, სადაც ამ მხრივ წარმატებები აქვთ, მათაც საკმაოდ რთული პერიოდები ჰქონდათ და ზოგ შემთხვევებში პრობლემები დღესაც არსებობს. სამოქალაქო არქიტექტურა გვიხსნის როგორ შექმნა ადამიანმა თავის გარშემო ყოფიერი სივრცე, ხოლო მართლმადიდებელი არქიტექტურის ისტორია გვიჩვენებს - როგორ და სად წარმოედგინა ადამიანს თავისი თავი უფლისკენ მიმავალ გზაზე. ადამიანების დღევანდელი მდგომარეობა საფუძვლიანად განსხვავდება ისტორიული, ტრადიციული ყოფიერებისაგან. უპირველეს ყოვლისა მართლმადიდებელი ყოფიერება ქართული ცხოვრების წესის ნაწილი და სახელმწიფო მოწყობის საფუძველი იყო, ამიტომაც სახელმწიფო მოწყობა საქართველოში არც თუ ისე მარტივ ხასიათს ატარებდა. ყოველი დეტალი - ტაძრის შიდა და გარე მორთულობა, ინვენტარი, კანკელი თუ სხვა; აგრეთვე მის გარეთ არსებულ ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტში, ეკლესიურ სივრცეში მიმდინარე პროცესები და

<sup>37</sup> კვლევის მასალები [www.shsu.edu](http://www.shsu.edu)

<sup>38</sup> Clinton Richard Dawkins - (born 26 March 1941) is an English ethologist, evolutionary biologist, and writer. He is an emeritus fellow of New College, Oxford, and was the University of Oxford's Professor for Public Understanding of Science from 1995 until 2008.

Dawkins came to prominence with his 1976 book *The Selfish Gene*, which popularised the gene-centred view of evolution and introduced the term *meme*. In 1982, he introduced into evolutionary biology the influential concept that the phenotypic effects of a gene are not necessarily limited to an organism's body, but can stretch far into the environment, including the bodies of other organisms. This concept is presented in his book *The Extended Phenotype*. ; Dawkins is an atheist, a patron of the British Humanist Association, and a supporter of the Brights movement. He is well known for his criticism of creationism and intelligent design. In his 1986 book *The Blind Watchmaker*, he argues against the watchmaker analogy, an argument for the existence of a supernatural creator based upon the complexity of living organisms. Instead, he describes evolutionary processes as analogous to a *blind* watchmaker.; He has since written several popular science books, and makes regular television and radio appearances, predominantly discussing these topics. In his 2006 book *The God Delusion*, Dawkins contends that a supernatural creator almost certainly does not exist and that religious faith is a delusion" a fixed false belief". As of January 2010, the English-language version had sold more than two million copies and had been translated into 31 languages. Dawkins founded the Richard Dawkins Foundation for Reason and Science to promote the teaching of evolution and to counteract those who advocate classroom programs against evolution. In 2014 he joined the global awareness movement Asteroid Day as a "100x Signatory"

<sup>39</sup> “Marx's Religion of Revolution-Regeneration Through Chaos”



საკრალური ადგილები - ერთ მთლიან გარემოს წარმოადგენენ და დიდი სიმბოლური დატვირთვა აქვთ. მთელი სივრცითი გარემო ამ დეტალებზეა დამოკიდებული. იქმნება ერთი მთელი კომპლექსი, რომელიც მოიცავს ადამიანის საცხოვრებელი გარემოს, მის სულიერ და ყოფიერ მდგომარეობას და განსაზღვრავს მის ადგილს საზოგადოებაში. იმისათვის, რომ კარგად გავუგოთ ჩვენი წინაპრების ნაღვაწს, საჭიროა იმ ცოდნის კვლავ შერწყმა, რომელიც რამოდენიმე დისციპლინად დაიყო ბოლო ორი ასწლეულის მანძილზე ესენია: ღვთისმეტყველება, ხელოვნებათმცოდნეობა, არქეოლოგია-ისტორიოგრაფია, ენათმეცნიერება და მათთან დაკავშირებული სამეცნიერო და პრაქტიკული ქვედარგები; აგრეთვე ყველა ძირითადი აკადემიური სამეცნიერო დარგები (მათემატიკა, ფიზიკა და სხვა). „ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რაც ჩვენთვის აბსოლუტურ, უექველ რეალობას წარმოადგენს, რადგანაც იგი ჩვენი გამოცდილების საზღვრებშია მოქცეული. საუკუნეებიდან მოყოლებული ყველა მორწმუნე ამას განიცდის. და ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია ეს არის საზოგადოება, გაერთიანებული - როგორც ეს კატეხიზმომი წერია - არა მარტო საიდუმლოებებით, დოგმატებითა და წესებით (ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არის ეკლესიაში და გარვეულწილად წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს). ეკლესიის გული კი უფრო სხვაა. ეს არის - ადამიანის ქრისტესთან პირისპირ შეხვედრა. ეს შეხვედრა შესაძლოა იყოს უჩვეულო, და იგი შეიძლება თანდათან მოხდეს, შეუმჩნევლად, მაგრამ იგი უნდა შედგეს, რათა ადამიანმა შეძლოს თქმა: „მე მორწმუნე ვარ“ - საეკლესიო საიდუმლოებათა მნიშვნელობის გასაგებად უნდა ჩავუღრმავდეთ თვითონ ეკლესიის არსს. ეკლესია ეს არის ადგილი, სადაც ღვთაებრივი და ადამიანური მთელი თავისი სისავსით წარმოგვიდგება. ამასთანავე იგი სულის ცხოვნების გზაზე მიმავალ ადამიანთა საზოგადოებაა. აი, ეს კი უნდა განვმარტოთ.“<sup>40</sup>

ძნელია დაარქვა სახელი საგანს რომელსაც განვიხილავთ, სხვადასხვა ქვეყნებში ამ საგანს სხვადასხვა დასახელება აქვთ, თავისებურად აღიქვამენ და წარმოუდგენიათ. თუ შვხედავთ სხვა ქვეყნების მცდელობებს ამ მიმართულებით, საკმაოდ ბევრ ხარვეზსაც აღმოვაჩენთ. იმისათვის, რომ თემამ მოცულობა დაიტოს მოვიხმარ გ. შაიშმელაშვილის ტერმინს „საკრალური ურბანისტიკა“. ამ ორივე სიტყვის მნიშვნელობა ვფიქრობ გასაგებია ნებისმიერი ადამიანისათვის.

„საკაცობრიო ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობის ანსამბლის გენეზისის არქიტექტურულ-ურბანული საკითხების გარკვევის თვალსაზრისით, შეუცვლელ მნიშვნელობას იძენს სივრცის ქრისტიანიზაციის საკითხების მეცნიერული შესწავლა“<sup>41</sup>.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ქართული ქრისტიანული საკრალური ურბანისტიკის საფუძველი - უფლის, იესო ქრისტეს ჯვარცმოდან შეიძლება ავითვალოთ, რაც საფუძვლად დაედო ქართული ქრისტიანული სახელმწიფოს შემდგომ განვითარებას. გარდა სამეცნიერო-არქეოლოგიური მასალისა, გვაქვს

<sup>40</sup> მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი

<sup>41</sup> გ. შაიშმელაშვილი „მცხეთის საკრალური ურბანისტიკის გენეზისი“



სხვადასხვა ტექსტური და მხატვრული სახის ინფორმაცია, სადაც ბიბლია უმთავრეს წყაროს წარმოადგენს. როგორც ცნობილია ბიბლიის მკვლევართა მთელი სამეცნიერო დასი ამ წიგნის ინფორმაციის სისწორეს უკვე აღარ აყენებს ექვექვემ, რამაც გამოიწვია მეცნიერების დარგების დაახლოება ისტორიული კვლევის თვალსაზრისით (და არა მარტო ისტორიის).

ქართული ჰაგიოგრაფიული წყაროები თავისი ფორმატით ქრისტიანობიდან პირველი ათასწლეულისათვის მიღებულ ფორმატშია შექმნილი, სადაც სულიერი საკითხების უკან რჩება ისტორიული სინამდვილე, ოღონდ დაუმახინჯებლად, მსოფლიო ისტორიის კონტექსტში. ამ მხრივ ყურადღებით არის შესასწავლი ასეთი წყაროები. ალეგორიულობა ამ პერიოდის ტექსტებისათვის ბუნებრივია. საქმე ეხება იმ მაღალ პროფესიონალიზმს, რაც დღესაც შესაშურია მწერლისათვის. ამგვარი ინფორმაციის წყაროს შესახებ ნეტარი ავგუსტინე ამბობს: „...რომელი რწმენაა უფრო მტკიცე-ისტორიული და დროისმიერი, თუ სულიერი და საუკუნო? ამ რწმენათაგან რომლისადმი უნდა იყოს მიმართული ყოველგვარი განმარტება ავტორიტეტისა? რა უწყობს ხელს გულისხმისყოფას და მიღწევას საუკუნოისა, რაშიც მდგომარეობს კიდევ მიზანი ყოველ ქველის-საქმეთა და რაც არის კიდევ სარწმუნოება ყველა დროისმიერი საგნისა? რა განსხვავება არსებობს ისტორიულ, ფაქტიურ ალეგორიასა, სიტყვისმიერ ალეგორიასა და საიდუმლოების ალეგორიას შორის?“<sup>42</sup>

სწორედაც, რომ ჰაგიოგრაფიული ტექსტების განმარტებისათვის, ყურადღება ალეგორიულ ფორმებზე უნდა შეჩერდეს, იმისათვის, რომ კარგად დავინახოთ ქართული ქრისტიანული კულტურის ფენომენის, ისტორიის არქიტექტურულ-ურბანული ასპექტები და მოვახერხოთ მთელი გენეზისის რეკონსტრუქცია. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს დღევანდელი არქიტექტურულ-ურბანული სივრცის სწორ დაგეგმვას და განვითარებას, სივრცითი მოწყობის სწორ ხედვას, კულტურული მემკვიდრეობის ახლებურ გაანალიზებას, მის დაცვას და რეაბილიტაციას, მოცემულ საკრალურ სივრცეში.

გამორჩეულ ყურადღებას იმსახურებს ქრისტიანულ ხუროთმოძღვრების განუმეორებელი ქმნილებების - სვეტიცხოველსა და მცხეთის ჯვარს შორის მოქცეული საკრალური სივრცე. იგი განუყოფლადაა დაკავშირებული საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებისა და გავრცელების უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებთან, ქრისტიანული აღმსარებლობის უდიდეს საწაულებთან, ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სულიერ ღვაწლთან.

სვეტიცხოვლის, სამთავროს, მცხეთისჯვრისა და ბუნებრივი კომპონენტების, განსაკუთრებით კი მტკვარ-არაგვის ხერთვისთან, კომპოზიციური და ვიზუალური კავშირების ისტორიულად ჩამოყალიბებული სივრცე წარმოადგენს მცხეთის საკრალური ურბანისტიკის განუზომელი მნიშვნელობის მხატვრულ-ესთეტიკურ ფენომენს<sup>43</sup>.

<sup>42</sup> ნეტარი ავგუსტინე „ქეშმარიტი სარწმუნოებისათვის“. „სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“ ტ. IV, თბილისი, 1992 წ. გვ. 44

<sup>43</sup> „მცხეთის საკრალური ურბანისტიკის გენეზისი“ გ. შაიშველაშვილი

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-რპლანის“ დოკუმენტში ასახული ერთიანი და განუყოფელი სივრცის შენარჩუნება, წარმოადგენს უფრო სერიოზულ დოკუმენტს ვიდრე მის სათაურშია მოცემული.

საინტერესოა მცხეთის ანტიკური ქალაქიდან მისი ახალი - ქრისტიანული ქალაქის ფორმაციის პროცესი, ეს პერიოდი ყველა ისტორიულ ქალაქებში საინტერესო მოვლენებთანაა დაკავშირებული, როგორც ქალაქგეგმარებითი კუთხით, აგრეთვე სოციალურ-კულტურული თვალსაზრისითაც. ქართული ქრისტიანული სამყაროს უმნიშვნელოვანესი სალოცავები დაქრისტიანული ხუროთმოძღვრების შეუდარებელი ნიმუშები - სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარი, მცხეთის ჯვარი და სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი - საუკუნეების მანძილზე განსაზღვრავენ მცხეთის გეგმარებითი სტრუქტურის ისტორიულად ჩამოყალიბებულ თავისებურებას, ვრცელი კულტურულ-ბუნებრივი ანსამბლის სივრცით-კომპოზიციურ მთლიანობასა და მხატვრული იერსახის ინდივიდუალობას, ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს იმდროინდელი ფილოსოფია და მსოფლმხედველობა - ზეციური ქალაქის მოდელის შესახებ, სწორედ ამიტომ ხშირად მცხეთა მოიხსენიება ახალ იერუსალიმად. მისი ფორმირების საფუძველს ჯვრისა და სვეტიცხოვლის არქიტექტურულ-კომპოზიციური კავშირი წარმოადგენს. ამ კავშირისა და მისი ბუნებრივ-ლანდშაფტური კონტექსტის ისტორიულად დამახასიათებელი მთლიანობის შენარჩუნება წარმოადგენს მცხეთის საკაცობრიო მემკვიდრეობის ისეთივე პრიორიტეტს, როგორც თვით სვეტიცხოვლისა და მცხეთის ჯვრის ისტორიულ-კულტურული და რელიგიური ფასეულობის დაცვა.

„ორი სახის სიყვარული ორი სახის მოქალაქეობას წარმოშობს: უფლისადმი სიყვარული იერუსალიმის (ზაეციური ქალაქის) მოქალაქეებად გვაქცევს, ამასოფლისადმი სიყვარული კი ბაბილონის მოქალაქეებად (ცოდვილი ქალაქი). დაე, ჰკითხოს ყოველმა ჩვენთაგანმა საკუთარ თავს: რა უყვარს და მიხვდება, რომელი ქალაქის მოქალაქეა იგი“<sup>44</sup>.

ქართული ჰაგიოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლაზე დაფუძნებული ურბანული სივრცის ქრისტიანიზაციის საკითხები კარგა ხანია მეცნიერული კვლევის არეალშია მოქცეული. მუშავდება კვლევის მეთოდოლოგიური წინამძღვრები, რომელთა გამოყენების აქტუალობა ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ეჭვს არ იწვევს.

ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის საკრალური დრო აღარ წარმოადგენს ისეთ წარმავალსა და ამოუცნობს, როდესაც ის დაკარგული ცენტრია, რომელმაც ორიენტაციის გარკვევა უნდა უზრუნველყოს.

ერთგვაროვან და უსასრულო (პროფანულ) სივრცეში, სადაც არავითარი ორიენტირი არ არსებობს და სადაც ორიენტაცია შეუძლებელია, იეროფანია – სიწმინდის გამოჩენა რელიგიური ადამიანისათვის აბსოლუტური „ათვლის წერტილს“ აჩენს. არაფრის დაწყება არ შეიძლება წინასწარი ორიენტაციის გარეშე.

<sup>44</sup> ნეტარი ავგუსტინე „ღვთის ქალაქის შესახებ“

ამასთანავე, ნებისმიერი ორიენტაცია გულისხმობს რაღაც ათვლის წერტილის არსებობას.

როგორც მირჩა ელიადაე აღნიშნავს ქრისტიანობა ორ განზომილებაში არსებობს – ერთის მხრივ, ისტორიის ხაზოვან დროში, მეორეს მხრივ „მუდმივი დაბრუნების“ ლიტურგიულ დროში. ამ თვალსაზრისით, ქრისტიანობა უნიკალურ რელიგიურ მოვლენაა, ის თავის თავში აერთიანებს, როგორც ისტორიის უნიკალობას, ასევე საწყისი დროის მოვლენებთან ლიტურგიულ თანამონაწილეობას.

„ისტორიული, პროფანული დრო ადამიანური ცხოვრების დროა“.

„გაიშიფროს, დაზუსტდეს „რელიგიური ადამიანისათვის, მორწმუნესათვის საკრალურ სივრცესთან შესისხლხორცება, საკრალური სივრცის არსში წვდომა“.

მითი არ ემორჩილება კალენდარულ დროის მსვლელობას, ის სხვა დროით განზომილებაში – საკრალურ განზომილებაში არსებობს.“<sup>45</sup>

ჭეშმარიტი ქრისტიანი მიდრეკილია პერიოდულად დაბრუნდეს საკრალურ დროში. საკრალური დრო არ წარმოადგენს ჩვეულებრივ, აწინდელ დროს. საკრალური დრო არის ის თავდაპირველი დრო, რომელშიც იესო ქრისტეს ისტორიული ცხოვრება განვლილი. მაცხოვრის მოძღვრებით, ვნებით (წამებით), სიკვდილითა და ამადლებით საკრალიზებულ დროში „მარადიული დაბრუნება“ მორწმუნეს უჩენს ღვთიურ ხატებასთან მიმსგავსებისა და უკვდავებასთან მიახლოების განცდას.

რიტუალის მეშვეობით მორწმუნე ქრისტიანს შეუძლია დროის ჩვეულებრივი მსვლილობიდან „გადავიდეს“ საკრალურ დროში. რელიგიური დღესასწაულები მოწოდებულნი არიან ღვთიური აქტების პერიოდული აღდგენისა და საკრალური მოდელების კიდევ ერთხელ წარმოჩენისათვის. ჭეშმარიტი ქრისტიანისათვის საკრალური დრო აღარ წარმოადგენს ისეთ წარმავალსა და ამოუცნობს, როდესაც ის ცენტრია დაკარგული რომელმაც ორიენტაციის გარკვევა უნდა უზრუნველყოს.

წარმართობიდან წრისტიანობაზე გადასვლასაზოგადოების აზროვნებაში მანამდე არარსებული დროულ–სივრცული საწყისის, როგორც ახალი ქრონოტიპის შემოტანას გულისხმობდა. ახალი ქრონოტიპი სამყაროს ქრისტიანული მოდელის აგებისას უმთავრეს ათვლის წერტილად უნდა ქცეულიყო.

ქართლის გაქრისტიანების ისტორიაში ასეთ ქრონოტიპს ქმნის მეფის მოქცევა (დრო) და ქრისტეს კვართზე დაფუძნებული ტაძარი (სივრცე). ტაძრის ლოკალიზების ადგილის – „წმინდაი ესე დედაქალაქის“ სამეფო ბაღის ახალი რწმენის ცენტრად გადაქცევა.

სამაფო ბაღში, როგორც ძველი მცხეთის სოციალური ორგანიზაციის შესატყვისი საკრალურ შუაგულში ქრისტეს სიმბოლო (უფლის კვართი) „დაფარულად“ უკვე „მოსული იყო“.

უფლის კვართის, როგორც ქრისტეს სიმბოლოს ადგილი, მასზე აღმოცენებული ხისაგან გამოთლილი სვეტის სასწაულებრივი აღმართვით „გაცხადდა“. ცხოველი

<sup>45</sup> მირჩე ელიადაე - Mircea Eliade – „Symbolism, the sacred, and the arts“

სვეტის სასწაული– სიცოცხლის ხის უნივერსალური კატეგორიის ქრისტეს აღდგომის იდეად გადაქცევა.

“წმინდაი ესე დედაქალაქი” და მისი შემოგარენი ქართლის მოქცევასთან დაკავშირებულ საკრალური ადგილებითაა განფენილი. ამ ადგილებს ქრისტეს ცხოვრებასთან დაკავშირებული პალესტინის წმინდა ადგილების სახელები შეესატყვისა. წმინდა მიწისა და იერუსალიმის სახელდებების მცხეთის ტოპოგრაფიაზე გადმოტანა იმჟამინდელი ღვთისმსახურების წესის წასამართად იყო აუცილებელი.

„წმინდაი ესე დედაქალაქი“ მცხათა და მისი შემოგარენი იმავდროულად ლიტურგიკულ სივრცეს წარმოადგენდა. VII საუკუნის 30–იან წლებში განისაზღვრა მცხეთის ჯვრის, სვეტიცხოვლისა და საეპისკოპოსო საყდრის საღვთისმსახურო განაწესი.

„და მან (სტეფანოზმა) დაუწერა კრება ყოველთა პარასკევთა, და მუნ შეიკრბიან ყოველნი... წინაშე პატიოსანისა ჯუარისა; ადიდიან პარასკევი, ვითარცა დიდი პარასკევი. ხოლო საკათოლიკოსოსა არიან კრებანი ყოველთა ხუთშაბათთა და ადიდიან წმინდა სიონი, ვითარცა დიდსა ხუთშაბათსა, საიდუმლოსა თანა ხორცითა და სისხლითა ქრისტესათა. ხოლო მცხეთის საეპისკოპოსოსა არიან ყოველთა სამშაბათთა კრება და ხსენება პირველმოწამისა სტეფანესი და ყოველთა მოწამეთა...და აბიბოს ნეკრესულ ეპისკოპოსისა... ხოლო პატიოსანი გუამი მისი დადვეს მცხეთას, საეპისკოპოსა, სამარხავსა ეპისკოპოსთასა.

და.. ყოველთა დღესასწაულთასა შეკრბიან და ადიდებიან ღმერთსა“

„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა“ მატერიალურ სივრცით გარემოში კარგადაა გამოხატული მცხეთაში. ჰაგიოგრაფიული პირველწყაროები კარგად გადმოსცემენ იმ დროის განწყობას და დამოკიდებულებას ქრისტიანული მოძღვრების მიმართ. ნეტარი ავგუსტინეს განმარტება კარგად განსაზღვრავს იმდროინდელი ადამიანის მისწრაფებას მოახდინოს საკუთარი თავის ინიცირება იმ გარემოში რომელიც მას უფალთან აახლოვებს.

სივრცის ქრისტიანიზაციის მატერიალური ნაკვალევი ეკლესიები, ჯვრები, წმინდა სამარხები, მკურნავი წყაროები – წარმოიდგინება, როგორც ღვთაებრივი ენერჯის მაქსიმალური კონცენტრაციის საკრალური ადგილები(მიწაზე პროექტირებული საკვანძო წერტილები). ისინი თავიანთ გარშემო აყალიბებენ სემანტიკურ ველს, რომელთა ფარგლებშიც ქრისტიანული სიმბოლიკის მნიშვნელობის ხაზგასმა და მისთვის დომინატური მდგომარეობის უზრუნველყოფა - სივრცის ქრისტიანიზაციის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

მცხეთის ქალაქური და ბუნებრივი სივრცის ქრისტიანიზაციის გარემოს ერთიანი ისტორიული ანსამბლის ფორმირების თავისებურებას განაპირობებს - ქრისტიანული სარწმუნოების სიმბოლოების ლოკალიზებისა და სასწაულთა მოვლინების ადგილების არქიტექტურულ-სივრცითი გენეზისი, რომელიც წარმოშობს ერთიან საკრალურ ურბანისტულ კვანძს.

სივრცის ათვისების ქართული ქრისტიანული მოდელის კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლებს შორის განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება:



ჰაგიოგრაფიულ ძეგლებს, ისტორიულ თხზულებებს და მათი დანამატების სხვადასხვა სახეობებს. ასეთი წყაროები უზრუნველყოფენ სივრცის ქრისტიანიზაციის კონკრეტული ფაქტების დადგენისა და საკრალური ადგილების მონიშვნისათვის აუცილებელ ინფორმაციას, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს არქეოლოგიური გათხრები, როგორც ისტორიული ინფორმაციის მოპოვების ერთ-ერთი წყარო. მცხეთის მაგალითზე საკრალური ურბანისტიკის გენეზისის საკითხების კვლევა ქალაქგეგმარებითი დისციპლინის არეალში. კვლევის შედეგები დამაჯერებელ საფუძველს შექმნის სივრცის ქრისტიანიზაციის საკითხების კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ისტორიულ-გენეტიკურ კვლევებში ინტეგრირებას; ურბანული მემკვიდრეობის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის“ როლისა და მნიშვნელობის სრულყოფილ ასახვას.

ადგილი და სივრცე „სივრცით-ურბანულ ენაზე“ წაკითხვის საკვანძო მნიშვნელობის ცნებებია. ადგილს საკრალურად აქცევს მასზე მოვლენილი „სასწაული“, რაც საკრალური სივრცის ფორმირების პირობაა. საკრალურ ადგილებსა და სივრცეებზე დაფუძნებულ მცხეთის გეგმარებით სტრუქტურაში ცხადად იკვეთება ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმინდის უფლის კვართის დავანების ადგილის განუზომელი მნიშვნელობა, რომლის გარშემოც სივრცის ქრისტიანიზაციის, კონკრეტული ფაქტების აღმნიშვნელი, საკრალური ადგილების თანამედროვე მცხეთის ტოპოგრაფიაზე დატანა და წარმართული საკულტო ადგილების ქრისტიანული სიმბოლიკით შეცვლა-ჩანაცვლების მკვეთრად გამოხატული ტენდენციის შესწავლა, გამოაჩენს ვიზუალური აღქმის საკითხების რეალურ ასპექტებს. ამ მეთოდზე დაფუძნებული ქრისტიანული სარწმუნოების მოთხოვნათა შესაბამისი სივრცის ათვისება, ორგანიზება და კონტროლი მიზნად ისახავს არსებული ტერიტორიულ-სივრცით განფენილობაში ახალი წესრიგის შეტანას.

„სივრცით-ურბანულ ენაზე“ ადგილი და სივრცე ქართლის მოქცევის ეპიზოდების ალეგორიული წაკითხვის საკვანძო მნიშვნელობის ცნებებია. აქედან გამომდინარე, ფუძემდებლურ მნიშვნელობას იძენს, მცხეთის, როგორც სასწაულების მოვლინების სივრცითი გარემოს (სასწაულების მოვლინების ქალაქის) წყაროსმიერი დადასტურება - „და მრავალნი სასწაულნი არიან აქა (მცხეთას), რომელნი თვთ ღმერთმან გაუწყნეს“. ამასთანავე, საკრალურ ადგილებსა და სივრცეებზე დაფუძნებულ მცხეთის გეგმარებით სტრუქტურაში ცხადად იკვეთება სამეფო ბაღის („სამოთხე“), ჯვრის ბორცვისა და სამთავროს წმიდა ნინოს „მაყვლოვანის“ საკრალურ ადგილებში ხანგრძლივი არქიტექტურულ-სივრცითი ევოლუციის შედეგად წარმოქმნილი ქართული ხუროთმოძღვრული ნიმუშები - მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და სამთავროს ტაძარი - ისინი დღემდე აპირობებენ ვრცელი ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი ანსამბლის სივრცით-კომპოზიციურ მთლიანობასა და მისი მხატვრული იერსახის ინდივიდუალობას. ყურადღებას იქცევს ამ ანსამბლის სვეტიცხოველისა და ჯვრის ტაძრებს შორის მდებარე არაგვისგალმა ვრცელი ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემო



(„ყოველმან ქართველმან“ გოლგოთის ქართულ სიმბოლოზე ლიტანიით აიტანა „ჯვარი იგი ბორცვისაი“), დღეს საშუალება მოგვეცა, ქართლის მოქცევისაგან განუყოფელი ჯვრის ამდლების საკრალური გზის აღდგენის და ამ დღესასწაულის აღორძინების. პატიოსანი ჯვრის აღმართების საკრალური გზის აღდგენა-განახლებაზე ორიენტირებული სვლაგეზი ეფუძნება წყაროსმიერი ვარსკვლავ-გვირგვინის „ზეციური გზის“ მცხეთის ტოპოგრაფიაზე პროეცირებს ასახვას. „ამდენად, იგი ემთხვევა სვეტიცხოველი-ანტიოქია-მცხეთის ჯვრის ვიზუალური კომუნიკაციის ღერძს. თვით ეს ღერძი სივრცის ქრისტიანიზაციის უდიდესი მნიშვნელობის მონაპოვარი და მცხეთის საკრალური ურბანისტიკის ინდივიდუალობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ანტიოქიის ტაძრისა და მცხეთის გეგმარებითი სტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტის - არსუკიდის ქუჩის ამ წარმოსახვით ღერძთან შეთავსება, შეფასებულ უნდა იქნას, როგორც აღნიშნული ღერძის მცხეთის ურბანულ სტრუქტურაზე ზეგავლენის ფაქტორი.“<sup>46</sup>

მტკვრისა და არაგვის წყალ-შესაყარი წარმოადგენს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურულ-ბუნებრივი არეალის, ტურიზმისა და პილიგრიმის თვალსაზრისით დღემდე აუთვისებელ ბუნებრივ კომპონენტს. საკრალური ურბანულიკომპლექსის ვიზუალური მასხასიათებლების ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი-ლანდშაფტური და მხატვრულ ესთეტიკური კონტექსტის რეალური სიცოცხლისუნარიანობის ხელშეწყობა და მცხეთის, როგორც „ახალი იერუსალიმის“ მნიშვნელობა საერთაშორისო მაშტაბში უზარმაზარი პოტენციის მატარებელია.

„წყალშესაყარიდან აღქმულ ვიზუალურ მასალაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მასტერ-პლანის საგანგებო დაცვის ობიექტს - მდინარეთა ნაპირების ჭარბტენიან ზონებს. ამგვარი ზონების დაცვისა და გამოყენების პირობებს განსაზღვრავს რამსარის კონვენცია<sup>47</sup>. იგი ასეთ ბუნებრივ კომპონენტებს ანიჭებს განსაკუთრებული ეკონომიკური, კულტურული და რეკრეციული რესურსის მნიშვნელობას. მდინარეთა ხერთვისის ორივე სანაპიროზე ლოკალიზებული ჭარბტენიანი ზონები, მასტერგეგმის მიერ შეფასებულია როგორც „უმადლესი ღირებულების ელემენტები“. ფლორის, ფაუნის და არსებული ბიოლოგიური ელემენტების (დაბალანსებული ეკოსისტემის) დაცვის მიზნით, ამ ზონებში იკრძალება ნებისმიერი მშენებლობა და ყოველგვარი ანთროპოგენური ჩარევა; მიწის მფლობელს ეკრძალება მცენარეული საფარის განადგურება, ევალება ნაპირების მოვლა და მცენარეული საფარის აღდგენა. ჭარბტენიანი ზონები, თავის კლასიფიკაციით შეესაბამა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბუნებრივი ძეგლების კრიტერიუმებს. ამ ნიშნით, წყალშესაყარის მაფორმებელი ბუნებრივი ლანდშაფტური კომპონენტების ერთიანი სისტემა სრულიად ეთანადება ამ კანონით დამკვიდრებულ ცნებებს“<sup>48</sup>.

<sup>46</sup>გ.შაიშმელაშვილი “მცხეთის საკრალური ურბანისტიკის გენეზისი”

<sup>47</sup>იუნესკო, 1971-წ. ამოქმედებულია 1975 წლიდან

<sup>48</sup>გ.შაიშმელაშვილი “ ვიზუალური აღქმის საკითხების კვლევის მეთოდოლოგიური ასპექტები”

სამწუხაროდ კომუნისტური და მსგავსი წარმართულ-ბარბაროსული მენტალობა, ვალდებულებათა სრული იგნორირების კვალდაკვალ - ძალას იკრებს კომერციალიზაციისა და მოგების ინსტიქტზე დაფუძნებული სივრცის ათვისების („სივრცის დაპყრობის“), სტიქიური პროცესი. საკითხის აქტუალობას სიმძაფრეს მატებს ურბანულ ძეგლებში სივრცის ქრისტიანიზაციის ცნების სრული იგნორირების ბოლო წლებში დამკვიდრებული პრაქტიკა – ქრისტიანული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის დაცვით ზონებში, მათ შორის საკრალური შინაარსის ღია სივრცეებში სამშენებლო ინტერვენციის უმართავი პროცესი, რომელიც უკანმოუხედავად პირწმინდად ანადგურებს საკრალურ სივრცეს. ამ პროცესის უკიდურეს ნეგატიურ გამოვლენების არა ერთი ფაქტია დაფიქსირებული თბილისში: ანჩისხატის (VI-ს.), რიყის სივრცეში მიმდინარე ინტერვენცია, ბეთლემის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების მიმდებარე გარემოს შეუფარებელი სივრცით-გეგმარებითი ტრანსფორმაცია. წმინდა ნინოს „მაყვლოვანისა“ და ჯვრისა და საკრალური სივრცის სამშენებლო ექსპანსიისა და სვეტიცხოვლის შუამდებარე „სასწაულთა მოვლინების“ საკრალური სივრცის სამშენებლო პოლიგონად გააქტიურება.

ამ უმართავი პროცესის თავიდან აცილებს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენს „კონსტიტუციური შეთანხმება საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიის შორის“, რომლის მიხედვითაც ქრისტიანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ზონების მოვლა-პატრონობის და სარგებლობის წესების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმების საფუძველზე. კონსტიტუციური შეთანხმება საშუალებასა იძლევა უზრუნველყოფილ იქნეს დაცვით ზონებში ნებისმიერ ცვლილებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ეკლესიის წიაღში საუკუნეების მანძილზე შემუშავებულ სივრცის ქრისტიანიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

## 6. თავი - კლასიკური ლანდშაფტური გეოგრაფიული ხედვა - მცხეთის მაგალითზე

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმა“ განსაზღვრავს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის არეალის, როგორც დასაცავ სივრცეებს, ასევე იმ ზონებს სადაც განვითარებაა შესაძლებელი. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ განვითარების კონტექსტში გასათვალისწინებელია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იმპერატივი.

„საავტომობილო ტრანსპორტის პრიორიტეტული განვითარების უკიდურესად ნეგატიური შედეგები კარგადაა ცნობილი: ჰაერის დაბინძურება, ხმაური, გზებზე უსაფრთხოების არ არსებობა, ინფრასტრუქტურის შეჭრით გამოწვეული სივრცის დანაწევრება, ქალაქური ლანდშაფტისადმი მიყენებული ზიანი“.<sup>49</sup>

დაუშვებელია ავტომანქანების ისტორიულ ქალაქებში შეღწევა. ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ზიანი არ მიადგეს ისტორიულ ქსოვილს ან მის გარემოცვას. ხელი უნდა შეეწყოს ტრანსპორტის ორგანიზაციას ისტორიული ქალაქის მინიმალური დატვირთვით. მნიშვნელოვანია საფეხმავლო მოძრაობის წახალისება და ხელშეწყობა. ამ მიზნის მისაღწევად ტრანსპორტის მოძრაობა მკვეთრად უნდა შემცირდეს, ისევე, როგორც ავტომობილების სადგომი მოედნების რაოდენობა. ზემოაღნიშნულ ეკოლოგიურ მიდგომებზე დაფუძნებული ხედვების ფონზე, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მტკვარ-არაგვის ხერთვისში მგრძნობიარე ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემოს მასშტაბურ განადგურებაზე ორიენტირებული ჰიპერტროფული სიდიდის ავტოსადგომი. მაშინ როდესაც, მასტერგეგმის მიხედვით ავტოსადგომი ნაარაგვალის დასავლეთი კიდის გასწვრივ მცხეთის საქალაქო პარკის ფარგლებს გარეთაა გატანილი. (იხ. მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-გეგმის ავტოსადგომის ლოკალიზების სქემა) რაც მთავარია იგი გაცილებით შეზღუდულ გაბარიტებს ითხოვს, რამდენადაც ის მხოლოდ თბილისი-მცხეთის ადგილობრივი საავტომობილო გზით მოსარგებელთათვის იქნება განკუთვნილი. თავისთავად ცხადია, თბილისი-სოხუმის ავტომანქანათმშენებლის დაკავშირებული საქვეითო ხიდი არაგვის მარჯვენა ნაპირზე მოხვედრილთათვის ავტომობილების სადგომი არაგვის მარცხენა ნაპირზე რჩება. ამავე დროს იგი ზეგავლენას ვერ მოახდენს მტკვრისა და არაგვის ხერთვისის პანორამულ ხედებზე, მისი მიწის ქვედა დონეზე ლოკალიზების გამო. (იგულისხმება, ისტორიული ხედების აღდგენის მიზნით აღნიშნული ავტოსადგომისა და ჯვრის ბორცვის წინამდებარე ავტომანქანათმშენებლის არსებული ნიშნულის ქვედა დონეზე ლოკალიზების

<sup>49</sup> ევროპის ახალი ურბანული მანიფესტი, 55-ე პუნქტი, სტრასბურგი 2007 წ.

საპროექტო გადაწყვეტის პერსპექტივები. პანორამული ხედების დაცვა-სთან ერთად, ასეთი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს ჯვართაღმართების წმინდა გზის ისტორიულ რეალიებთან მიახლოებულ აღდგენას). საქართველოს სინამდვილეში აშკარად იგრძნობა მდინარეთა სანაპიროების პოტენციალის, როგორც ქალაქის მიმზიდველობის მასტიმულირებელი ფაქტორისა და ურბანულ ქაოსში ჰარმონიის შეტანის მნიშვნელოვანი წყაროს არასრულყოფილი გამოყენება. ყველა ეს ფაქტორი მეტყველებს მდინარისპირა ტერიტორიებისათვის ქალაქის ეკოლოგიური კორიდორების ფუნქციისა და მდინარის მოსახლეობისათვის დაბრუნების მიზნებისკენ მიმართული რეკონსტრუქციის გადაუდებელ აქტუალობაზე; „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ მიხედვით ქალაქების მდგრადი განვითარება ერთმანეთს უნდა უთავსებდეს ქალაქების ეკონომიკურ საქმიანობასა და ჩვენი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, ამასთანავე, მოწოდებულია გაითვალისწინოს სოციალური თანასწორობის მოთხოვნა. სოციალური განზომილება ჩვენი მდგრადი განვითარების პოლიტიკის მუდმივ ფაქტორად უნდა იქცეს.

ეკოლოგიურ (კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად), ეკონომიკურ და სოციალურ განზომილებებს შორის ისტორიული კომპრომისისა და ბალანსის უზრუნველყოფა წარმოადგენს მდგრადი განვითარების არსებობის პირობას. ახალმა ურბანიტულმა პოლიტიკამ, სამ მოთხოვნას უნდა უპასუხოს, ესენია:<sup>50</sup>

1.) აუცილებელია მემკვიდრეობის დაცვისა და სივრცის დაგეგმვის (ორგანიზების) პოლიტიკის კოორდინირება. კულტურული მემკვიდრეობის, როგორც რესურსის გამოყენება, უნდა გახდეს მდგრადი განვითარების დაგეგმვის პროცესის განუყოფელი ნაწილი;

2.) ამ რესურსის მომავალი თაობისათვის ისეთი სახით გადაცემის გარანტიის უზრუნველყოფა, რომ ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში ავთენტურობა შენარჩუნებული იქნება;

3.) კონფერენცია აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ევროპის აღმშენებლობისა და მდგრადი განვითარების ფაქტორის მნიშვნელობას.

<sup>50</sup>ევროპის საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დეკლარაცია - ჰელსინკი, 30-31 მაისი 1996 წ.

მიწათსარგებლობის, ქალაქგეგმარებით დოკუმენტაციასა და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთმიმართების საკითხების სამართლებრივი ასპექტების განსაზღვრის კონტექსტში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს პარლამენტის მიერ, ევროპის ფუძემდებლური კონვენციების რატიფიკაცია, მათ შორის ევროპის არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია,<sup>51</sup> სადაც - „თითოეული მხარე კისრულობს გაატაროს ინტეგრირებული კონსერვაციის პოლიტიკა, რომელიც:

- არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვას მიანიჭებს ადგილს ურბანიზაციისა და მიწათმოწყობის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს შორის და, რომელიც აუცილებლად გაიზიარებს მის მოთხოვნებს დაგეგმარებისა და სამუშაოთა ნებადარვის პროცედურებისა ჩამოყალიბებისას;
- არქიტექტურული მემკვიდრეობის კონსერვაციას, განვითარებასა და წარმოჩენას გახდის კულტურის, გარემოს დაცვის და მოწათმოწყობის პოლიტიკის უმთავრეს ელემენტად.

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ განსაზღვრავს როგორც დასაცავ სივრცეებს, ასევე იმ ზონებს სადაც განვითარებაა შესაძლებელი. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ განვითარებისათვის გასათვალისწინებელია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იმპერატივი. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ დამტკიცების მოთხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას, ჯერკიდევ თავის 28-ე სესიაზე<sup>52</sup>. იგივე მიმართვას იმეორებს კომიტეტი 29-ე სესიაზე<sup>53</sup>. იუნესკოს მიერ გავრცელებულ დოკუმენტის მიხედვით, „აღნიშნულის გამო, 2009 წლის ივნისში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის<sup>54</sup> მიერ მცხეთის ისტორიული ძეგლები შეტანილ იქნა საფრთხეში მყოფ იმ სოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში.

მტკვრისა და არაგვის წყალშესაყარი წარმოადგენს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურულ-ბუნებრივი არეალის, ტურიზმის თვალსაზრისით დღემდე აუთვისებელ ბუნებრივ კომპონენტს. სწორედ ამ პოტენციალის გამოვლენასა და მის სრულყოფილ გამოყენებაზეა ორიენტირებული მასტერ-პლანის წინასაპროექტო ეტაპზე განხორციელებული კვლევა. იგი მოიცავს წყლის სამდინარო ტრანსპორტიდან დაფიქსირებული ვიზუალური მასხასიათებლების ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი-ლანდშაფტური და მხატვრულ ესთეტიკური კონტექსტის კომპლექსურ შეფასებას. ამ კვლევის შედეგად გამოვლენილია, ტურისტული სამდინარო სვლაგზიდან აღსაქმელ ვიზუალურ მასალაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი და ქალაქური გარემოსათვის შეუსაბამო ანთროპოგენული ჩარევის ანომალური ზონები და გარემოს მოსალოდნელ ცვლილებებსა

<sup>51</sup>გრანადა, 3.10.1985

<sup>52</sup>სუჯოუ, ჩინეთი 28.07.2004 წ.

<sup>53</sup>დურბანი,სამხრეთ აფრიკა. 205წ. 10-17.07

<sup>54</sup>სევილია, 2009 წ.



და ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის მეცნიერული კვლევითი საფუძვლები, რაც გამოიხატება დაცვითი ზონების დადგენასა და მათი რეჟიმების ხასიათის განსაზღვრაში, სამდინარო ტურისტული სვლაგეზის ფაქტორის მნიშვნელობის ხაზგასასმელად. კვლევის ამოცანების შესაბამისად ვიზუალური აღქმის ინდივიდუალური ზონების გამოკვეთა, ემსახურება წყალშესაყარის დამახასიათებელი მონაკვეთებიდან მცხეთის ისტორიული ზონის ბუნებრივ-კულტურული გარემოს ვიზუალური აღქმის თავისებურების გამოვლენას. კვლევის მიხედვით, წყალშესაყარიდან აღქმულ ვიზუალურ მასალაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება - მდინარეთა ნაპირების ჭარბტენიან ზონებს. კვლევის შედეგად წარმოდგენილი გრაფიკული მასალა ცხადყოფს, ჭარბტენიანი ზონები მთელ სიგრძეზე ავსებენ არმაზციხის აღმოსავლეთით ლოკალიზებულ მტკვრის მარჯვენა ნაპირს. აშკარადაა გამოკვეთილი, რომ სვეტიცხოვლისა და მისი მიმდებარე ქალაქური გარემოს წინა პლანს, სწორედ მცხეთის დღევანდელი საქალაქო პარკის სამხრეთი ნაწილის ჭარბტენიანი ზონები აყალიბებენ. ჭარბტენიანი ზონებია გაბატონებულ, ასევე მცხეთის ისტორიული უბნის „არმაზის კერძო ქალაქისა“ და სვეტიცხოვლისა და მისი ქალაქური გარემოს პანორამაზე. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ჯვრის ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აღქმული ხედი, სადაც ჯვრის ბორცვის მტკვარ-არაგვის ხერთვისისაკენ დაშვებული ფერდი ბუნებრივი კომპონენტების, მათ შორის ჭარბტენიანი გრძივი ზონის ფონზე „იკითხება“. უნიკალური აღმოჩენის ეფექტის მნიშვნელობას იძენს კვლევის შედეგად გამოვლენილი ზოგიერთი ხედი, მისი დაფიქსირების ადგილი ლოკალიზებულია მდინარეთა ხერთვისის სამხრეთით, არმაზციხის სამხრეთ-დასავლეთ სიახლოვეს მდინარე მტკვარზე. ზემოაღნიშნული ადგილიდან აღქმული პანორამა მთელი სისრულით ასახავს ჯვრის ტაძრის ვრცელ ბუნებრივ-ლანდშაფტურ გარემოსთან მიმართების უნიკალურ მხატვრულ-ესთეტიკურ ფასეულობას. ხედის წინა პლანზე, წყლის სარკის ჰორიზონტის მთელ სიგრძეზე გასდევს ჭარბტენიანი ტერიტორიებისათვის დამახასიათებელი მცენარეული საფარის ზოლი. იგი ერთგვარი გარდამავალი ბუნებრივი კომპონენტია მთის მასივებისა და წყლის სარკეს შორის.

ქართლის ქედის აღმოსავლეთ კიდის (არმაზციხე) და ჯვრის ბორცვის მდინარეთა ხერთვისისაკენ დაქანებულ ფერდებს შორის მოქცეულ სივრცეს, უკანა პლანზე, ასევე, ხედვის ცენტრისკენ დაქანებული მთის მასივების სილუეტური გამოსახულება ზღუდავს. წყლის სარკიდან აღქმული ამ ხედის მიხედვით ჯვრის ტაძარი წარმოადგენს მრავალპლანიანი, ვრცელი ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემოს ერთადერთი ანთროპოგენული ელემენტს. აღნიშნული რეალობის გაცნობიერება გარკვეული მოულოდნელობის ეფექტს აჩენს და მდინარეთა ხერთვისიდან აღქმულ ვიზუალურ მასალას უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს. სწორედ ჯვრის ტაძრის, ხედვის არეალში ასახული ისტორიულ-კულტურული სივრცის ერთადერთი ანთროპოგენული კომპონენტის ვრცელ ხელთუქმნელ გარემოსთან მიმართების თავისებურება განაპირობებს ამ ხედების განუზომელ მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებას.

სვეტიცხოვლის სამხრეთით მიმდებარე განაშენიანებისა და არმაზციხის ჩრდილოეთის კლდოვან ფერდს შორის მოქცეული წყალშესაყარის მტკვრის აღმოსავლეთის მონაკვეთიდან აღქმული ვიზუალური მასალა-ანალიზი. კვლევის განსაკუთრებული ინტერესი ამ მონაკვეთიდან აღქმული მცხეთის ჯვრის ტრადიციული ხედისადმი ბოლო ათწლეულებში მომხდარი პოზიტიური ცვლილებებით იყო განპირობებული. იგულისხმება 1998-2000 წლებში ჯვრის ბორცვის კალთის ქვედა ნიშნულებზე - თბილისი-სოხუმი ჩქაროსნული ავტომაგისტრალის აღმოსავლეთით მიმდებარე გრძივ ზონაში 1950-იან წლებში განთავსებულ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საუწყებო დახურული ზონის შენობა ნაგებობათა ვრცელი კომპლექსისი სრული ლიკვიდაცია. კვლევაში გამოყენებული შედარებითი ანალიზი ცხადყოფს, რომ აღნიშნული კომპლექსი თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა ჯვრის უნიკალური ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივ ლანდშაფტური გარემოს დეფორმაციის წყაროს. სამხედრო უწყებათა კომპლექსისი ანჰილაციის შედეგად მცხეთის ჯვრის დამახასიათებელი მაღალმხატვრული სილუეტი და ჯვრის ბორცვის დასავლეთი კალთა ყოველგვარი ანთროპოგენული ჩარევისაგან თავისუფალ ბუნებრივ გარემოსთან მთლიანობაშია წარმოჩენილი, თუ არ ჩავთვლით თბილისი-სოხუმის მაგისტრალს, თავისი უარყოფითი ეკოლოგიური ზეგავლენით ძეგლებზე, კერძოდ ინტენსიური დაკვირვებების შედეგად დადგინდა ძეგლების პერანგის ქვების დეკორის (განსაკუთრებით მცხეთის ჯვრის რელიეფები და ბარელიეფები) „დნობის“ პროცესი, რომელიც გამოწვეულია ავტომობილების გამონაბოლქვის მიზეზით.

წყალშესაყარიდან აღქმულ ვიზუალურ მასალაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მასტერ-პლანის საგანგებო დაცვის ობიექტს - მდინარეთა ნაპირების ჭარბტენიან ზონებს. ამგვარი ზონების დაცვისა და გამოყენების პირობებს განსაზღვრავს რამსარის კონვენცია<sup>55</sup>. იგი ასეთ ბუნებრივ კომპონენტებს ანიჭებს განსაკუთრებული ეკონომიკური, კულტურული და რეკრეციული რესურსის მნიშვნელობას. მდინარეთა ხერთვისის ორივე სანაპიროზე ლოკალიზებული ჭარბტენიანი ზონები, მასტერგეგმის მიერ შეფასებულია როგორც „უმაღლესი ღირებულების ელემენტები“. ფლორის, ფაუნის და არსებული ბიოლოგიური ელემენტების (დაბალანსებული ეკოსისტემის) დაცვის მიზნით, ამ ზონებში იკრძალება ნებისმიერი მშენებლობა და ყოველგვარი ანთროპოგენური ჩარევა; მიწის მფლობელს ეკრძალება მცენარეული საფარის განადგურება, ევალება ნაპირების მოვლა და მცენარეული საფარის აღდგენა.

ჭარბტენიანი ზონები, თავის კლასიფიკაციით შეესაბამა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბუნებრივი ძეგლების კრიტერიუმებს. ამ ნიშნით, წყალშესაყარის მაფორმებელი ბუნებრივი ლანდშაფტური კომპონენტების ერთიანი სისტემა სრულიად ეთანადება ამ კანონით დამკვიდრებულ ცნებებს. ”დაცული ლანდშაფტი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე, მაღალი ისტორიული და ესთეტიკური

<sup>55</sup> იუნესკო, 1971 წ. ამოქმედებულია 1975 წლიდან

ღირებულებით გამორჩეული, როგორც ბუნებრივი, ასევე, ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ჰარმონიული ურთიერთქმედების შედეგად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნების, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობისათვის<sup>56</sup>.

ამ კვლევის შედეგებზე დაყრდნობით „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ განმარტავს, რომ ჭარბტენიანი ზონების დაცვა წარმოადგენს ”მტკვარ-არაგვის ხერთვისის ისტორიულად დამახასიათებელი ინდივიდუალური იერსახის შენარჩუნების აუცილებელ პირობას; ჭარბტენიანი ზონების გავრცელების ფარგლებში ნებისმიერი ანთროპოგენული ჩარევა განხილული უნდა იქნეს, როგორც მტკვარ-არაგვის ხერთვისისა და ზოგადად მცხეთის ისტორიულ-კულტურული არეალის მხატვრულ-ესთეტიკური ინდივიდუალობის ხელყოფის ფაქტი“.

კვლევის პროგრამაში ჩართულია დემოგრაფიულ-სოციოლოგიური ანკეტური კვლევა, რომლის მიზანია მოსახლეობის რაოდენობის, სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების სახეებისა და განათლების ცენზის ფაქტიური სურათის დადგენა. კვლევა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ისტორიული ზონის ფარგლებში მაცხოვრებელთა დასაქმების ადგილების ლოკალიზაციის თავისებურება და შრომითი კავშირები, როგორც ქალაქის ფარგლებში, ასევე განსახლების სისტემაში. კვლევაში მოცემულია: მოსახლეობის მიერ საკუთარი საცხოვრებელი პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხის შეფასება; ისტორიული ზონის მაცხოვრებელთა ოჯახების წევრთა რაოდენობისა და სტრუქტურის განსაზღვრა; დადგენილია საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ქრონოლოგიური მახასიათებლები, რაც საშუალებას იძლევა შესწავლილი იქნეს ისტორიული გარემოს ტერიტორიული ზრდის რეალური ტენდენცია.

კვლევაში სპეციალური ქვეთავი დაეთმო ისტორიული ზონის მოსახლეობის აგლომერაციული კავშირების შესწავლას, ამ კავშირების ინტენსივობისა და მოსახლეობის გადაადგილების სახეების ფაქტიური სურათის დადგენას, მაცხოვრებელთა თბილისთან ყოველდღიური, პერიოდული და ეპიზოდური კავშირების მოტივაციის განსაზღვრას ქანქარისებური მიგრაციის მთლიან მოტივაციაში.

ზემოაღნიშნული კვლევის შედეგების რეალურ პროექტირებაში გამოყენების საკითხები, ისტორიული ზონის ფუნქციურ-გეგმარებით, არქიტექტურულ-სივრცით და კომპოზიციურ ასპექტებზე დემოგრაფიული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებების ზეგავლენის ასახვა მოცემულია ცალკე წიგნად.

კვლევის ბლოკის გრაფიკული მასალა შეიცავს თითოეული ანკეტისადმი მიძღვნილ დიაგრამებსა და ცხრილებს, დემოგრაფიული პირამიდის ნახაზებს.

კვლევაში ნათლადააა წარმოჩენილი მცხეთის ისტორიულ-არქიტექტურული დომინანტების, არქეოლოგიური ძეგლებისა და ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემოს მხატვრულ-ესთეტიკური და ინფორმაციულ-საექსპოზიციო პოტენციალი.

<sup>56</sup> მუხლი 8-1 საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ 1999წ.

ისტორიული ქალაქის გარემომცველი მთების მასივებისა და ბორცვების (ქართლის ქედის აღმოსავლეთით კიდე – არმაზციხე, ჯვრის ბორცვი, კოდმანის ფერდობები, ბებრის ციხის ბორცვი) ზედა ნიშნულები. (ისტორიული ანსამბლის პანორამული ხედები); ისტორიული ქალაქის ურბანული ქსოვილის ცალკეული ფრაგმენტები, მტკვრისა და არაგვის სანაპიროები და მათი მიმდებარე ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემო, მცხეთის საქალაქო პარკის ტერიტორია, დასახლებათა-შორისი მაგისტრალების დამხასიათებელი მონაკვეთები და მათი მიმდებარე ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემო. (შიდა საქალაქო პერსპექტივისა და სილუეტური აღქმის მახასიათებლები). კვლევის შედეგების საფუძველზე, განისაზღვრა ცალკეული ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლების და მთელი ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემოს ვიზუალური აღქმის ზონები და მიკროზონები. ტურისტული სვლაგეზების ერთიანი სისტემის ფორმირებამ ამ ზონებისათვის განმსაზღვრელი ფაქტორის მინიჭება წარმოადგენს მცხეთის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მხატვრულ ესთეტიკური და ინფორმაციულ-საექსპოზიციო პოტენციალის სრულყოფილი წარმოჩენის აუცილებელ პირობას.<sup>57</sup>

---

<sup>57</sup> „მცხეთის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა და მარეგულირებელი დოკუმენტები“, პროექტის ხელმძღვანელი გ.შაიშმელაშვილი; შემსრულებელი შპს „სენსონი“



## 7. თავი - საკრალური სივრცე - მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის დოკუმენტებში

საფუძველი „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ 2003წ. - მცხეთის საკრალური სივრცე გარშემორტყმულია შემდეგი ფერდობებით: კოდმანის მთის ფერდი, რომელიც ისტორიულ ქალაქს დასავლეთიდან გადმოჰყურებს, ვიზუალურად მცხეთის ჯვარზე, ჯვრის ბორცვის აღმოსავლეთ კალთასა და მტკვარ-არაგვის ხერთვისზეა ორიენტირებული; ქართლის ქედის აღმოსავლეთის კიდის-არმაზციხის მდინარე მტკვრისკენ დაშვებული ფერდობები. ქალაქის ისტორიულ ნაწილს დაჰყურებს სამხრეთ დასავლეთიდან. ვიზუალური ორიენტაციის ვრცელი დიაპაზონი მოიცავს ქალაქის ისტორიული ნაწილის მტკვრის მარცხენა სანაპიროს, სვეტიცხოველსა და მცხეთის ჯვარს, მდინარეთა ხერთვისსა და საქალაქო პარკის ვრცელ ზონას, ბებრის ციხის ჩათვლით; მცხეთის ისტორიული ნაწილის ჩრდილოეთით მდებარე ბებრის ციხის ბორცვის სამხრეთით ორიენტირებული ფერდი და მისი დასავლეთი გაგრძელება-ბაიათის ხევის ჩრდილო ფერდი. ვიზუალურად ორიენტირებულია მცხეთის საქალაქო პარკზე, სამთავროს არქეოლოგიურ ველზე (წინა პლანი), მცხეთის ჯვარზე, სვეტიცხოველსა და არმაზციხზე. ყველა ზემოაღნიშნული ფერდი მცხეთის ძეგლებს განუმეორებელ ფონს უქმნის, მოჩანს, როგორც ქალაქის ნებისმიერი ძეგლიდან, ასევე, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის არეალის პერიმეტრის ყოველი საკვანძო წერტილიდან; ამგვარი სისტემა ქმნის ვიზუალურ ერთობას (ატრიბუტი), რაც მცხეთის ისტორიული ზონის შეფასებისა და ძეგლების აღქმისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია. აღნიშნულ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პრინციპი-ძეგლისა და მისი გარემოს განუყოფელობის შესახებ<sup>58</sup>. აღსანიშნავია ჰომოგენური დისტანცია (არაუმეტეს ერთი კილომეტრისა) ჯვარს, სვეტიცხოველს, სამთავროს, ანტიოქიასა და ბებრის ციხეს შორის. შესაბამისად ამ ფერდობებს უდიდეს მნიშვნელობის დატვირთვა აქვთ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მცხეთის ისტორიული ნაწილის ამ მონუმენტური სისტემის ერთიანობის დაცვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. აქედან გამომდინარე, გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს არსებული მცენარეული და ბუნებრივი საფარის ნებისმიერი სახეცვლილების რომელიც სხვადასხვა მშენებლობასა და ტექნიკური სტრუქტურების - მაგალითად, ელექტრო ანძის ჩადგმას მოყვება აკრძალვა ან მკაცრად შეზღუდვა. ფერდობებთან მიმართებაში აქტუალობა არ დაუკარგავს მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის სტერეგემაში მოცემულ მცხეთის ურბანული არეალის დაგეგმარების წინადადებებს, მათ შორის შეიზღუდოს ფერდობზე მდებარე საცხოვრებელი სახლებიდან შემდგარი არეალის განვითარება. შეწყდეს დასავლეთის მიმართულებით ქალაქის გახანგრძლივებული ზრდა, რათა

<sup>58</sup> იხ. გ. შაიშველაშვილი - „ვენეციის ქარტიის შეფასება“



არ დაირღვეს ლანდშაფტური კავშირი ძეგლებსა და მათ ირგვლივ მდებარე მთებსა და ფერდობებს შორის. კოდმანის ფერდის შესახებ „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანში“ ხაზგასმულია, მისი ბუნებრივ-ლანდშაფტური მნიშვნელობა „გამორიცხავს ნებისმიერ სამშენებლო და განვითარებისაკენ მიმართულ საქმიანობას, მთის ძირისა და მისი ფერდობების ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილის ნებისმიერი სახით მოდიფიკაციას. დასაშვებია მხოლოდ არქეოლოგიური გათხრების წარმოებასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოები. იკმალება განაშენიანების ჩრდილო და დასავლეთი მიმართულებით განვითარება-ექსპანსია.“

აღნიშნული შეზღუდვაში, საყურადღებოა კოდმანის მთის ფერდობის სამშენებლო ათვისების ხასიათისა და ქრონოლოგიური დინამიკის საკითხების შესწავლა. აქვე, ინტერესს იწვევს მასტერ-პლანის ფორმატში შემუშავებული მიწათ-სარგებლობის გენერალური-გეგმის მიერ ქალაქის ისტორიული ნაწილის ცალკეული ზონისათვის დადგენილი შეზღუდვები. 2003 წლიდან დღემდე ამ ცალკეული ზონის სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეალური სურათის მასტერგეგმის მოთხოვნებთან შესაბამისობის გარკვევა. „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ ამოქმედებისა და მისი მოთხოვნების განუხრელი შესრულების შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მცხეთის საქალაქო პარკის შუაგულში სააგარაკო დასახლების ლოკალიზება, მაშინ როდესაც საქალაქო პარკი მცხეთის მკვიდრი მოსახლეობის კოლექტიურ საკუთრებას წარმოადგენს. დღევანდელ დღეს, მასტერ-პლანის მცხეთის ურბანული განვითარების გენერალურ გეგმაში ინტეგრაციისა და „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ რევიზიის მიერ დადგენილი უარყოფითი, უკვე გამოკვეთილი პროცესები იკვეთება.

ძველი ქალაქის განაშენიანებული ნაწილი მცხეთის ისტორიული ნაწილის სამხრეთსა და აღმოსავლეთში მტკვრისა და არაგვის მდინარეებითაა შემოფარგლული. ისტორიულად ჩამოყალიბებული ხედებისა და განლაგების გამო, აუცილებელია ნაპირებისა და ძეგლების ერთიანობის უზრუნველყოფა, ისევე როგორც ფერდობებთან მიმართებაში აღინიშნა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სვეტიცხოველის ტაძართან მიმართებაში, რომლის სიმაღლე ძველი ქალაქის ნაგებობებს ბევრად აღემატება და რომელიც განუყოფელია. როგორც მდინარის ნაპირზე არსებული მცენარეული საფარისა, ასევე, ჯვრის მონასტრის გარემოცვისაგან. აღნიშნულის გათვალისწინებით, მასტერ-პლანი გვთავაზობს მდინარეების ბუნებრივი ნაპირების სპეციალურ დაცვას, განსაზღვრავს მათი დაცვის პირობებს და აკონტროლებს მოსახლეობის მიერ ნაპირებით სარგებლობას, ამასთანავე ტურისტული სვლაგეზის სქემებს მათ შორის პილიგრიმის ტურიზმისათვის საჭირო სტრუქტურას. „ჭარბტენიანი ზონები“ მცხეთის ისტორიული ნაწილის პერიმეტრის უმაღლესი ღირებულების ელემენტს შეიცავს. ეს არის დაახლოებით 60 ჰექტარი ჭარბტენიანი ზონა, რომლის ნახევარზე მეტი ბუნებრივი მცენარეული საფარითაა დაფარული. ეს ზონა დაცული ტერიტორიების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული ბუნებრივი ძეგლის კრიტერიუმებს

შეესებაამება. აღნიშნული ზონა ძველი ქალაქის აღმოსავლეთით მდებარეობს და ის ადვილდაა ხელმისაწვდომი, როგორც მცხეთის ისტორიული ნაწილის, ასევე ქალაქის ახალი პერიფერიული ზონის მაცხოვრებლებისათვისაც. მთლიანობაში, „ჭარბტენიანი ზონა მცხეთას ვიზუალური, ისტორიული და ბიოლოგიური თვალსაზრისით ამდიდრებს. და ბოლოს, მორფოლოგიური ელემენტები, ძეგლები და ბუნებრივი ლანდშაფტები ქმნიან ვიზუალურ და კულტურულ სისტემას, რომელიც არ შეიძლება ქალაქისაგან იზოლირებულად განიხილებოდეს. ეს ერთიანობა ქალაქის გენერალური გეგმისა და მცხეთის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის მართვის უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს. ამდენად, მცხეთა კომპლექსურ, მრავალი შრისაგან შემდგარ, კულტურულად მდიდარ მემკვიდრეობის ობიექტს წარმოადგენს.

მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის არეალში მიმოვანტული ძირითადი ძეგლები ბუნებრივ და გეოგრაფიულ ამფითეტრთან ერთად და გარემომცველ ლანდშაფტებთან სრულ ჰარმონიაში არიან. ყოველი ძეგლი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის არეალის მრავალპლანიანი ისტორიის განსხვავებულ ეპოქას ასახავს. თითოული მათგანი მცხეთის ისტორიის კონკრეტულ ასპექტს წარმოადგენს და ტოპოგრაფიისა და გარემოს განსხვავებულ ხედს გვთავაზობს. უკანასკნელი ათეული წლების ტერიტორიულ-სივრცით ცვლილებებს შორის განსაკუთრებულად საყურადღებოა მდინარე არაგვის კალაპოტის ცვლილება. დღევანდელ ეტაპზე მისი ტრაექტორია საგრძნობლად სცილდება, როგორც ნაარაგვალის ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს ასევე აღმაშენებლის ქუჩას. დღეისათვის არაგვის ფართო მარჯვენა ნაპირი მთელი ქალაქისათვის მნიშვნელოვან ეკოლოგიურ რესურსს წარმოადგენს. მთელი ამ ფართობიდან, რომელიც 75 ჰექტარს მოიცავს, ტრანსფორმაცია მხოლოდ მცირედმა ნაწილმა განიცადა: დასავლეთ სანაპიროზე მოხდა ქალაქის ზრდა (საბჭოთა პერიოდის საცხოვრებელი უბნები, სპორტული ინფრასტრუქტურა და საბოსტნე ნაკვეთები). ზემოაღნიშნულ არეალში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს, როგორც ურბანული ექსპანსიის შეზღუდვის, ასევე, საქალაქო პარკისა და ბუნებრივი რეზერვატების ფუნქციების განსაზღვრის საკითხები. ამგვარი მიდგომა მნიშვნელოვანია ეკოლოგიური რესურსის ქალაქის სასარგებლოდ გამოყენების უზრუნველსაყოფად. მცხეთის ისტორიული ნაწილის ურბანული სტრუქტურის საკვანძო მნიშვნელობის კომპონენტს წარმოადგენს სამკუთხედის ფორმის ზონა, რომელიც გარს ერტყმის სვეტიცხოვლის ტაძარს. ისტორიული ბირთვის ამ საქალაქო ფრაგმენტს სამხრეთის მხრიდან ესაზღვრება მტკვარი, აღმოსავლეთით მდ. არაგვით და ჩრდილო-აღმოსავლეთით კოსტავას ქუჩითაა შემოსაზღვრული. სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვრული კომპლექსის მიმდებარე განაშენიანების გეგმარებით და არქიტექტურულ-სივრცითი თავისებურებების ძირითად მახასიათებლებს შეადგენს ხაზგასმული კონტრასტი სვეტიცხოვლის ტაძრისა და ქალაქის განაშენიანებას შორის, რაც ტაძრისა და განაშენიანების სიმაღლეთა შორის სხვა სტრუქტურის არ არსებობითაა განპირობებული. აღნიშნული განსხვავება წარმოადგენს სვეტიცხოვლისათვის მცხეთის ქალაქური და ბუნებრივი გარემოს

არქიტექტურულ-კომპოზიციური დომინანტის ფუნქციის შენარჩუნების საფუძველს. ისტორიულად ჩამოყალიბებული თავისებურებების დაცვა მცხეთის მემკვიდრეობის კონსერვაციის და განვითარების სტრატეგიის უმაღლესი პრიორიტეტია; აივნებით დაფარული, ერთ-ორსართულიანი, ძირითადად ორ და ოთხქანობიანი საცხოვრებელი სახლები; მათი ლოკალიზება ტროტუარიდან განსხვავებულ დისტანციაზე; ხის დაბალი ღობეებით შემოსაზღვრული ეზოები; ხეხილის, მცოცავი მცენარეებისა და ვენახების სიმრავლე; ყვავილწნულებითა და ყურძნის ტალავებით დაფარული ეზოები, ხშირად ამ ეფექტის განვრცობა საზოგადო სარგებლობის საქალაქო სივრცეებზე. განაშენიანების ზემოაღნიშნული დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დაცვა, განხილულ უნდა იქნას, როგორც მცხეთის ისტორიული ზონის აუთენტური იერსახის შენარჩუნების აუცილებელი პირობა. აღნიშნული ურბანული სტრუქტურის ძირითადი ღერძს წარმოადგენს არსუკიდის ქუჩა. იგი სვეტიცხოვლის სამხრეთ-დასავლეთით მიმდებარე მოედნიდან იღებს სათავეს, გაუყვება სვეტიცხოვლის სამხრეთ გალავანს და ანტიოქიის ტაძარსა და ქალაქის ძველი ქალაქის აღმოსავლეთის კარიბჭისკენ მიემართება. თავისი გეოგრაფიული მდებარეობით ის იმ ჯვართაღმართების საკრალური გზის თანამედროვე ასახვას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც სვეტიცხოველს მცხეთის ჯვართან აკავშირებს.

მცხეთის ისტორიულად ჩამოყალიბებული გარემოსათვის შეუსაბამო შენობა-ნაგებობათა სიის ჩამონათვალი, ბოლო ათწლეულის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა, განსაკუთრებულ ადგილს იკავებს ყოფილი რაიკომის შენობა და მისი ლოკალიზების ადგილი. გასული საუკუნის 50-იანი წლებს მიკუთვნებული ეს ფაქტი კომუნისტური რეჟიმისათვის დამახასიათებელი ეროვნული თვითმყოფადობის ხუროთმოძღვრული სიმბოლოებზე ხედების გადაკეტვის მეთოდის გამოყენებას უკავშირდება. რაიკომის შენობის, როგორც რეჟიმის არქიტექტურული სიმბოლოსათვის ადგილის შერჩევა, მცხეთის მთავარი (დღევანდელი აღმაშენებლის) ქუჩიდან და მის მიმდებარე სამთავროსა და ბებრის ციხის მიდამოებიდან სვეტიცხოველზე ხედების გადაკეტვის მიზნებზე იყო ორიენტირებული. მცხეთის ცენტრალური ნაწილის ზემოაღნიშნული არეალიდან რაიკომის შენობის დასმით გამოწვეული დანაკლისი, მხოლოდ სვეტიცხოვლის ხედვის გადაფარვით არ ამოიწურება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული არეალიდან აღქმული ქალაქის პანორამა, თავისი მხატვრულ-ესთეტიკური და ინფორმატიული თვალსაზრისით, ისეთივე ფუძემდებლური მნიშვნელობისაა, როგორც მცხეთის ჯვრისა და არმაზციხიდან აღქმული ხედები. ასეთ „კომუნიუსტურ“ პრაქტიკას მიჰყვა ახალი ხელისუფლება და „მასტერ-პლანის იგნორირებით“ შეუდგა დაცული ტერიტორიების ინტენსიურ განადგურებას.

## 8. თავი - "უცნობი ფრანგი მხატვრის ჩანახატი" - გ.შაიშმელაშვილი<sup>59</sup>

კადრში მოქცეულია: მცხეთის ჯვარი, სვეტიცხოველი და არმაზციხის სამხრეთი ფერდის ნაწილი. კადრის ანალიზიცხადყოფს, რომ იგი ასახავს ხედს დღევანდელი მცხეთის ისტორიული ნაწილის მთავარი მოედნის მიდამოებიდან. ჩანახატის ქვედა მარცხენა კუთხიდან სვეტიცხოველის გალავნის ჩრდილო-აღმოსავლეთი გოდოლისაკენ მიმართული გზა დღევანდელი მიხეილ მამულაშვილის ქუჩის იმდროინდელანალოგს უნდა წარმოადგენდეს. კადრის ქვედა შუაგულში მოქცეული შემალღება იმ ადგილს უნდა ასახავდეს, რომელზეც XX-საუკუნის 50-იანწლებში, წინამდებარე კადრის გადაფარვის მიზნით, რაიკომის შენობა ააგეს. აღმოსავლეთი-დასავლეთის განფენის ვიზუალურ კადრში ექცევა მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურული ლანდშაფტის ვრცელი არეალი, სადაც ჯვრის ბორცვისა და არმაზციხის მტკვრის მიმართულებით დაშვებულ ფერდებს შორის სივრცეს სვეტიცხოველის დიდებული ხედი ავსებს. პირველად ამ დაკარგული უნიკალური ისტორიული პანორამული ხედის აღდგენის საკითხი „მცხეთის მემკვიდრეობის დაცვის იდეა-პროგრამის“ ე.წ. „სამთავრებო განხილვის“ პროცესში (1984 წლის 07 ოქტომბერი) იქნა დასმული. შეკითხვის არსს შეადგენდა თუ, რამდენად სამართლიანი იყო კომუნისტების მიერ თავიანთი პარტიული სიმბოლოებით ისეთ ეროვნული თვითმყოფადობის აღიარებულ ხუროთმოძღვრულ სიმბოლოზე ხედის გადაკეტვა, როგორცაა სვეტიცხოველის საკათედრო ტაძარი. აღნიშნულ სიმბოლოთა დაპირისპირების კონტექსტში, იმდროინდელმა საქართველოს ცკ-ს პირველმა მდივანმა ე. შევარდნაძემ დაადასტურა ეროვნული სიმბოლოების დაცვისა და შენარჩუნების პრიმატი. ამ პლიტიკურმა გადაწყვეტილებამ სამომავლოდ რაიკომის შეობას მცხეთის ისტორიული, ზონისათვის შეუსაბამო შენობა-ნაგებობის სტატუსი დაუმკვიდრა.

ზემოაღნიშნული ე.წ. „სამთავრებო განხილვის“ კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს შეადგენდა მცხეთის ჯვრის დასავლეთ ფერდზე განთავსებული საბჭოთა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციის იდეა - პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნა. მისი დანგრევის შესახებ პრინციპული გადაწყვეტილება სწორედ ამ განხილვაზე იქნა მიღებული. აღსანიშნავია, რომ მცხეთის მემკვიდრეობის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, სწორედ ზემოხსენებული ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზის სრული ლიკვიდაცია წარმოადგენდა. საქართველოს იმჟამინდელმა ხელისუფლებამ ეს ვალდებულება პირნათლად შეასრულა. მცხეთის ჯვრის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის გარემოცვისათვის ფუნქციურად და სივრცით-გეგმარებითად შეუსაბამო

<sup>59</sup> „მცხეთის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა და მარეგულირებელი დოკუმენტები“, პროექტის ხელმძღვანელი გ.შაიშმელაშვილი; შემსრულებელი მპს „სენსონი“.



საბჭოთა სამხედრო ბაზის შენობა-ნაგებობათა ვრცელი კომპლექსი ლიკვიდირებულ იქნა 2000 წლისათვის იქნა ლიკვიდირებული.

ურბანული დასახლება ძირითადად საცხოვრებელი სახლებისგან შედგება. იგიდაყოფილია არათანაბარი ზომის უბნებად და უამრავ სხვადასხვა ფორმის განფენილობად. სამკუთხა ფორმის ურბანული სტრუქტურის ზემოაღნიშნული კომპონენტის ჩრდილო-დასავლეთით მიმდებარე განაშენიანება შეიძლება განისაზღვროს, როგორც განხილული ისტორიული ურბანული მორფოლოგიის გაგრძელება. ეს ნაწილი, ძირითადად, სწორი პარალელური ქუჩებითაა დაპროექტებული. ქუჩებს ესაზღვრებათ შრეებად დაყოფილი ტერასები, სადაც საცხოვრებელი უბნებია განლაგებული. მიუხედავად იმისა, რომ სვეტიცხოვლის ტაძრის ირგვლივ არსებულ განაშენიანებასთან შედარებით ძველი მცხეთის ეს ფრაგმენტი უფრო თანამედროვეა და საავტომობილო მიმოსვლა აქ უფრო იოლია, ამ საცხოვრებელი არეალის მოწყობა ძველ მორფოლოგიურ წესრიგს ექვემდებარება: ერთსართულიანი შენობები ოთხმაგი დაქანების სახურავებით, როგორც წესი, ქუჩიდან სხვადასხვა მანძილზე მდებარეობენ და ეზოებითა და ბაღებით, ეს არეალი, მთლიანობაში ძველებურ ურბანულ მოდელს შეესაბამება. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ კოსტავასა და სანაპიროს ქუჩებს შორის (მცხეთის ორი მთავარი საავტომობილო გზაა მოქცეული ისტორიული გარემო დროთა განმავლობაში ნაწილობრივ, ისეთი კომუნალურიინფრასტრუქტურის განვითარების გამო შეიცვალა როგორცაა: თეატრი, პარკი, მუზეუმი, მოგვიანებით, ბანკები, სააგენტოები და კერძო სექტორისშენობები. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გამავალი სანაპიროს ქუჩა თბილისიდან მიმავალი გზის გაგრძელებას წარმოადგენს და კოსტავას ქუჩასთან ერთად ისტორიულ ქალაქში გადის. ამ ორ გზას ისტორიული ნაწილის მთავარ მოედანთან მივყავართ. აქედან აღმაშენებლის ქუჩა ჩრდილოეთისაკენ, ახალი განაშენიანების მიმართულებით გადის, ბებრისციხეს სცილდება და დასახლება-თაშორისო მნიშვნელობის გზატკეცილსა და ძირითად სატრანსპორტო კვანძს უერთდება. სვეტიცხოვლის მიმდებარე განაშენიანებასთან მიმართებაში არსებულ შენობებს შეიძლება ფუნქციური დატვირთვა შეეცვალოს (რაც კომერციული საქმიანობის შესაძლებლობას იძლევა), მაგრამ მათი სართულიანობის გაზრდა დაუშვებელია. მაქსიმალურად უნდა შეიზღუდოს ამ შენობების გაბარიტების ზრდა. ყველაფერი მხოლოდ ტრადიციული მასალების გამოყენებით უნდა ხდებოდეს. ასევე, არ შეიძლება, რომ ტურისტულმა ავტოტრანსპორტმა (მანქანები და ავტობუსები) სვეტიცხოვლის ტაძრის წინამდებარე მცირე მოედანზე მოიყაროს თავი. მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმის მიხედვით ავტომანქანების განვითარებული სადგომი იმ ტერიტორიაზე იგეგმებოდა, რომელიც საბჭოთა პერიოდის უწყებრივი („ჩაიკა“) საცხოვრებელი სახლების აღების შედეგად უნდა გამოთავისუფლებულიყო. აღნიშნული სახლები მცხეთის ისტორიული ნაწილის დეტალური დაგეგმარების პროექტის მოთხოვნათა სრული იგნორირებით, ძალადობრივად იყო შეჭრილი ნაარაგვალის ტერიტორიაზე. მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმის ფორმირების პროცესში მოხერხდა ამ სახლების, როგორც ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონისათვის



შეუსაბამო ნაგებობების ლიკვიდაციის შესახებ შეთანხმების მიღწევა. ავტოსადგომის ლოკალიზების ადგილის უპირატესობის განმსაზღვრელ ფაქტორებად განიხილება– მისი ძეგლებთან სიახლოვე და იმავდროულად „უხილავობის ეფექტი“, რამდენადაც მცხეთის ცენტრთან შედარებით იგი უფრო დაბალ ნიშნულზეა ლოკალიზებული და იოლადაა შესაძლებელი არაგვის სანაპიროსაგან ხეების ზოლით გამოიყოს. პარკინგის მიდამოებში გადაიკვეთება საფეხმავლო ბილიკები სვეტიცხოვლის ტაძრის, სამთავროს მონასტრისა და გეცემანის მიმართულებით. 2000–იან წლებში ყოფილი საბოთა ბაზის დემონტაჟმა და არაგვის სანაპიროსათვის ისტორიულად დამახასიათებელი ბუნებრივ–ლანდშაფტური იერსახის დაბრუნებამ, არაგვზე საქვეითო ხიდის აგების რეალური მოთხოვნა გააჩინა. ბოლო წლებში ჯვართაღმართების საეკლესიო დღსასწაულის აღდგენამ სვეტიცხოველი–ჯვრის ვიზუალური კომუნიკაციის ღებთან შეთავსებული საქვეითო ხიდის აგების რეალური მოთხოვნა არმაზციხის, სამთავრო ტკვარ–არაგვის ხერთვისით გაყოფილი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების დამაკავშირებელი საქვეითო ხიდი უზრუნველყოფს–ჯვრის ბორცვის წინამდებარე დასახლებათაშორისო მაგისტრალით მოსარგებლე ტურისტული ნაკადების მცხეთის ისტორიულ ნაწილში ტრანსპორტის გარეშე შეღწევას; ისტორიული ქალაქებისათვის განსაკუთრებული აქტუალობის მქონე ავტომობილების სადგომების ძეგლების ლოკალიზების ადგილებიდან მოშორებით განთავსებას; მცხეთის ისტორიული ბირთვის ფარგლებში ვრცელი საქვეითო ზონების ფორმირებასა და ეკოლოგიური პირობების გაჯანსაღებას; საბჭოთა დროინდელი მცხეთის ურბანული სტრუქტურა, საბჭოთა პერიოდის დროინდელი მცხეთის ურბანული სტრუქტურა–კოდმანის მთების აღმოსავლეთ ფერდობების, ბებრის ციხის, არაგვის მარჯვენა ნაპირისა და მონასტრის მშრალ ხევს შორისაა მოქცეული. ისტორიული ზონის ჩრდილოეთით ლოკალიზებული ქალაქის ეს ფრაგმენტი, იმით იქცევს ყურადღებას, რომ სპორტული ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სარგებლობის გამწვანებული სივრცეებისა უმეტესობა სწორედ აქ იყრის თავს. აღნიშნული თვალსაზრისით, საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული ეს სივრცით– გეგმარების სტრუქტურა განხილულ უნდა იქნას, როგორც ქალაქის ურბანული განვითარების მნიშვნელოვანი რესურსი. იგულისხმება ზემოაღნიშნული ინფრასტრუქტურის ელემენტების მდგრადი განვითარების მოთხოვნების შესაბამისი გამოყენება. ეს კი ახალი ტერტორიების სამშენებლო ათვისებაში კი არა, არსებული შენობა – ნაგებობების მხატვრულ–ესთეტიკურ სრულყოფასა და სოციალური პირობების–ცხოვრების ხარისხის ამაღლებაში უნდა ჰპოვობდეს გამოხატულობას. საბჭოთა პერიოდის დროინდელი მცხეთის ურბანული სტრუქტურის საზღვრებშია მოქცეული მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი–ვრცელი ქრონოლოგიური დიაპაზონის სამთავროს სამაროვნისა და გორანამოსახლარების არქეოლოგიური ველი. ამ 18 ჰექტარზე გადაჭიმულ ველს სამხრეთ–დასავლეთის მხარეს გალავნით მოზღუდული ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების უნიკალური შედეგრი სამთავროს ტაძარი ესაზღვრება. საყურადღებოა აქ არსებული საზოგადოებრივი

სარგებლობის სივრცეები და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, 75 ჰექტარზე გადაჭიმული მცხეთის საქალაქო პარკი. ყურადღებას იქცევს სპორტული დარბაზების, ღია ბაქნებისა და მოედნების განთავსების თავისებურება. მცხეთის 1988 წლის დეტალური დაგეგმარების პროექტში ეს თავისებურება მცხეთის ისტორიული ზონის პანორამულ ხედებზე ნეგატიური ზეგავლენის თავიდან არიდების მოტივაციითაა ახსნილი. ასე მაგალითად, ზემოაღნიშნულმა პროექტმა, მხარი დაუჭირა ბებრისციხის სამხრეთ მიმდებარე სამოსახლო მიკროზონის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით გაფართიების ვერსიას, რამდენადაც იგი სრულად გამორიცხავს მცხეთის მემკვიდრეობაზე ნეგატიურ ზეგავლენას<sup>60</sup>. სპორტული ინფრასტრუქტურის ზემოაღნიშნული ობიექტები ქალაქის ამ ნაწილის ურბანული სტრუქტურის ღერძის – აღმაშენებლის ქუჩის ნიშნულთან შედარებით საკმაოდ, დაბალ-ძველი ნაარაგვალის დონეზეა (საქალაქო პარკის დასავლეთი კიდის ჩრდილო გაყოლებაზე) ლოკალიზებული.

საბჭოთა დროინდელი მცხეთის ურბანული სტრუქტურის გეომორფოლოგიური თავისებურება კარგადაა ჩანს შრომაში ჩართულ განშლაზე „აღმოსავლეთი-დასავლეთი“ (კოდმანის მთის აღმოსავლეთი ფერდობი, სამთავროს არქეოლოგიური ველი, საბჭოთა პერიოდის ურბანული სტრუქტურის ღერძი - აღმაშენებლის გამზირი, მომსახურების ობიექტების ლოკალიზების ზონა, ნაარაგვალის დასავლეთით გავრცელების საზღვარი, მცხეთის საქალაქო პარკი, მდინარე არაგვი). საბჭოთა პერიოდის ამ ზონაში შესაძლებელია არსებული სტრუქტურების გამოყენება, ახალი, სხვადასხვა ტიპის მომსახურების გაუჯობებისაკენ მიმართული წერტილოვანი ჩარევები-ისტორიულ მცხეთაზე პანორამული ხედების დაურღვევლად. ყურადღებას იქცევს მცხეთის ისტორიული ზონის გეგმარებითი სტრუქტურის ევოლუციის ერთ-ერთ ბოლო ეტაპზე(1960-იანი წლები) ფორმირებული ბებრის ციხის სამხრეთით მიმდებარე საცხოვრებელი სახლების ჯგუფი. ჯერ კიდევ, მცხეთის ისტორიული ცენტრის დატალური დაგეგმარების წინასაპროექტო ეტაპზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ამ საცხოვრებელი სახლების ჯგუფის მცხეთის ურბანულ ქსოვილთან კავშირის არქიტექტურულ-სივრცით საკითხებს. საქართველოს ძველი სამხედრო გზის აღმოსავლეთით მოქცეული ეს საცხოვრებელი სახლების ჯგუფი, ძველი ნაარაგვალის ყველაზე მაღალ ნიშნულზე, მის უკიდურეს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშია ლოკალიზებული. განთავსების ასეთმა თავისებურებამ განაპირობება ძველი სამხედრო გზისა და საცხოვრებელი სახლების დონეთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობა. ამ თავისებურების გამოყენებამ შესაძლებელი იყო დაბალ ნიშნულზე განთავსებული სახლების მხრიდან პანორამულ ხედებზე ნეგატიურ ზემოქმედების თავის არიდება. ამ მოსაზრებას გარკვეულ დამაჯერებობას მატებს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი სახლების ჯგუფისათვის განკუთვნილი ადგილი აღმოსავლეთის მხრიდან ტანმაღალი ხეების „ფარდითაა“ შემოზღუდული.

<sup>60</sup> იხ. გ. შაიშველაშვილი – „მცხეთის საბჭოთა პერიოდის ურბანული სტრუქტურა და მისი ძირითადი ელემენტები“

მცხეთის ისტორიული ნაწილის აღნიშნული ფრაგმენტისათვის შეუსაბამო მასშტაბის (5 სართული) გამოყენებამ მნიშვნელოვანი დისონანსი შეიტანა, როგორც საქართველოს სამხედრო გზიდან, აგრეთვე, სამთავროს არქეოლოგიური ველისა და ბებრის ციხის მიდამოებიდან აღქმულ პანორამულ ხედებში. ამკარად იგრძნობა საცხოვრებელი სახლების მრავალგზის ტირაჟირებული, უსახური არქიტექტურული იერსახის ქალაქის ისტორიულ-კულტურულ კონტექსტთან შეუსაბამობა. როგორც მასტერგეგმაშია გათვალისწინებული (იხ. 2 „მცხეთის საბჭოთა პერიოდის ურბანული სტრუქტურა და მისი ძირითადი ელამენტები“) „დაშვებულია საცხოვრებელი ფონდის განვითარებისაკენ მიმართული მშენებლობა არსებული განაშენიანების ჩრდილოეთით, დეტალური დაგეგმარების პროექტის მიერ მონიშნულ საზღვრებში.“

#### **9. თავი - მცხეთის ურბანული სივრცის ათვისების ზოგადი მიმოხილვა მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენის შეფასების მეთოდით.**

სივრცის ათვისებისადმი იდეოლოგიური მიდგომების, თვალსაზრისით, ჯვრის დასავლეთით მიმდებარე არაგვისგაღმა ვრცელ ისტორიულად ჩამოყალიბებულ საკრალურ სივრცეში საბჭოთა-სამხედრო ბაზის შეჭრის ფაქტი წარმოადგენს რელიგიური და ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი კომუნისტური რეჟიმის ვანდალური დამოკიდებულების სიმბოლოს, ამ გაუგებარი რელიქტისაგან განთავისუფლება უდიდესი გამბედაობისა და თვითშეგნების მაგალითია მცხეთის ისტორიაში. აღსანიშნავია რაიკომის შენობის პროექტის რეალიზაციის მიზნით, 1976 წელს, სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთზე განხორციელებული სამშენებლო ინტერვენციის ფაქტი. როგორც მოსალოდნელი იყო, მშენებლობის დაწყებისას გამოვლენილ იქნა განუზომელი კონცენტრაციის სამარხების მრავალფეროვანი სამაროვანი, რაც აღარ განახლებულა. რაიკომის შენობის, როგორც პარტიული ძალაუფლების სიმბოლოს სამთავროს ველზე „გაბატონების“ დაუოკებელი სურვილი კომუნისტურ რეჟიმს თავის მმართველობის ბოლო წლებამდე არ განელებია. 1987-88 წლების ამ მიზნისაკენ მიმართულ მცდელობას, ამჯერადაც, სამეცნიერო წრეების მძაფრი წინააღმდეგობის გამო, შედეგი არ მოჰყოლია.

სამთავროს ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ კიდეზე საცხოვრებელი სახლების ჯგუფის ლოკალიზებით, ჯერ კიდევ 1940-იანი წლებში დაედო დასაბამი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა (ძირითადად საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) და ძეგლთა დაცვის ინტერესთა შორის მძაფრ, დღემდე არსებულ კონფლიქტს.

1938 წელს, „სამთავროს ველის“ ჩრდილოეთ ბაიათხევის მონაკვეთზე სავეტერინარო პუნქტის (სასაკლავოს) მშენებლობის პროცესშია აღმოჩენილი, საკრძალავის კედლად გამოყენებული დიდი სამეცნიერო ღირებულების ბერძნულ-

ენოვანი ეპიტაფია. „აქგანვისვენებს მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი ავრელიაქოლისი“.

„მხატვართუხუცესისა და არქიტექტორის თანამდებობის არსებობა მცხეთაში, ქართლისსამეფოშისაქალაქო ცხოვრების განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია“.

სამთავროს არქეოლოგიური მემკვიდრეობის გადაუდებელი შესწავლის მიზნით იმავე წელს სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიცია დაფუძნდა. ნაკრძალის იგივე უბანზე, სამთავროს არქეოლოგიურ მემკვიდრეობაზე თავდასხმის მორიგე რეციდივმა თითქმის ნახევარი საუკუნის შემდგომ იჩინა თავი, 1986 წელს ბაიათხევის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად გაჭრილ ქვაბულში რამდენიმე სამარხი იქნა დაზიანებული. გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების გავრცელების შთამბეჭდავმა მასშტაბმა, სამარხ-ნაგებობის მრავალსახეობამ და ისტორიულ-კულტურულმა მნიშვნელობამ განაპირობა დაწყებული ახალმშენებლობის აღკვეთა.

საბჭოთა პერიოდის ერთ-ერთ უკიდურეს ნეგატიურ პრეცედენტს წარმოადგენს სამთავროს ნაკრძალიდან, ჯერ კიდევ 1957 წელს, საუწყებათაშორისს ორგანიზაცია „ცეკავშირისათვის“ არქეოლოგიურად შეუსწავლელი ტერიტორიის გადაცემის და ამ მონაკვეთზე 1970-იან წლებში რესტორნების, მათი ადმინისტრაციული ბლოკებისა და სხვა დამხმარე ნაგებობების მშენებლობის არაერთი ვანდალური ფაქტი. მისი შედეგია: არქეოლოგიური ნაკრძალის უმნიშვნელოვანესი ჩრდილო მონაკვეთებიდან სამთავროს სამონასტრო კომპლექსზე საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციული ხედების გადაკეტვა-მოსპობა; სამთავროს არქეოლოგიურ-არქიტექტურული ნაკრძალის სივრცითი ერთიანობის რღვევა. შექმნილი საგანგაშო ვითარება აბრკოლებს და შეუძლებელს ხდის სამთავროს არქეოლოგიურ-არქიტექტურული კომპლექსური ძეგლის, როგორც ტურისტული ნაკადების მიზიდვის მცხეთის ერთ-ერთი ძირითადი პოლუსის უზარმაზარი პოტენციალის სრულყოფილ გამოყენებას; ეწინააღმდეგება მცხეთის ისტორიული ზონის გეგმარებით სტრუქტურაში სამთავროს ნაკრძალის ღია ურბანული სივრცის სახით შენარჩუნების იდეას.

წლების მანძილზე დამკვიდრებულ პრაქტიკას, ერის ისტორიის წასაშლელ ქმედებებს, პროფანული პოლიტიკური ფენომენის შეუფასებლობას უკვალოდ არ ჩაუვლია, მისი სამშენებლო ათვისების ინერციას დღესაც არ დაუკარგავს ძალა. მცხეთის ტერიტორიულ-სივრცითი განვითარებისა და ძეგლთა დაცვის ერთიანი ურბანული პოლიტიკის არ არსებობის პირობებში, ახალმშენებლობათა ერთ-ერთ ძირითად პოლიგონად იქცა სამთავროს ველი. დღესაც, საზოგადოების საწინააღმდეგოდ და კერძო, კომერციული ინტერესების სასარგებლოდ არაერთი გადაწყვეტილებაა მიღებული, რაც აბსოლუტურ უკანონობად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან კანონებს შორის უპირველესი - ადამიანის უფლებების დარღვევა - ანტი კონსტიტუციურია. ხშირად სამუშაო ადგილების შექმნის მიზეზით ხელისუფლებას განადგურებისათვის განწირული აქვს საერთო საზოგადოებრივი და მსოფლიო მნიშვნელობის ობიექტები, და ხშირად ივიწყებენ



იმას, რომ პირადი თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც მეორე ადამიანის უფლებები იწყება, იმ დაშვებით და გათვალისწინებით როდესაც საზოგადოებას დემოკრატიაზე და თანასწორობაზე აქვს ორიენტაცია, ერთიანი ევროპული ოჯახის სივრცეში. მცხეთის არქეოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „იმის გასათვალისწინებლად, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს არა მარტო საქართველოს ისტორიისათვის, რამედ მთელი კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის კულტურულ-ისტორიული პრობლემების გადასაწყვეტად, უნდა გვახსოვდეს, რომ ქალაქი მცხეთა იყო ორი უდიდესი მაგისტრალური გზის გზაჯვარედინზე და სწორედ ამის გამო ბუნებრივად უნდა ველოდოთ ამ მასალის საკაცობრიო კულტურის ისტორიის მრავალი მეცნიერული საკითხების გასაცნობად“.

მიუხედავად 2003 წლის იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროექტის-მცხეთის მემკვიდრეობისა დატურიზმის მასტერ-პლანის არსებობისა და 1989 წლის მცხეთის ისტორიული ნაწილის დაგეგმარების არსებობისა, სადაც იუნესკოს დაცვის არეალი არსებობდა, მოხდა ნაარაგვალის ჭალებში (ჭარბტენიან ზონაში) სრული ინტერვენცია. „ძალზე მგრძობიარე“ კულტურულ სივრცეში ნებისმიერი ანთროპოგენური ჩარევა ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის განსაკუთრებულ უნივერსალურ ღირებულებაზე, შეუძლევს ხდის სვეტიცხოვლის, მცხეთის ჯვრისა და სამთავროს ქრისტიანული ხუროთ-მოდვრების ანსამლის ისტორიულად დამახასიათებელი პანორამული ხედებისა და ვრცელ კულტურულ ლანდშაფტზე დომინირების შენარჩუნებას. ასეთი ანთრო-პოგენული ჩარევა 2010–2012 წლებში მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციისა და საქართველოს კანონმდებლობის სრული იგნორირებით განხორციელებული ადმინისტრაციული ფუნქციის შენობა-ნაგებობების სამშენებლო ინტერვენცია. ქალაქის ისტორიული ნაწილისათვის ამ შეუსაბამო ჩარევამ სერიოზული საფრთხე შეუქმნა მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ავთენტურობასა და მთლიანობას. მცხეთის ისტორიული ზონის საზღვრებში კანონდარღვევით განხორციელებული შეობა-ნაგებობები, მათ შორის მტკვარ-არაგვის ხერთვისისა თუ მეღვინის კარიბჭის (სვეტიცხოველი) წინამდებარე მსოფლიო მემკვიდრეობის არეალისათვის შეუსაბამო არქიტექტურული მოცულობები ექცევიან „არქიტექტურული მემკვიდრეობის დაცვის ევროპული კონვენციის“ მეცხრე მუხლის მოქმედების სფეროში.

აღნიშნულ კანონდარღვევით განხორციელებულ შეობა-ნაგებობებს უნდა შეეფარდოს „იძულებით შეუსაბამო“ ობიექტის სტატუსი, რომელიც ლიკვიდაციას ექვემდებარება. ქალაქის ისტორიულ ნაწილში მცხეთის მკვიდრი მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესების მიზნით ახალი სამოსახლო ტერიტორიების გამოყოფის შესაძლებლობა, უკიდურესად შეზღუდულია. გამონაკლისს შეადგენს მცხეთის ისტორიული ნაწილის დეტალური დაგეგმარების პროექტის (1988 წელი) მიერ განსაზღვრული ბებრის ციხის სამხრეთ-დასავლეთით არსებული საბჭოთა პერიოდის განაშენიანების მიმდებარე ტერიტორია. მცირე გამონაკლისის გარდა, მცხეთის ისტორიულ ნაწილის საზღვრებში სივრცით-გეგმარებითი განვითარების,



მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის საბინაო პირობების გაუმჯობესებასა და მიმართული ცვლილებების ყველა რესურსი, ამოწურულია.

„მცხეთის ისტორიული ნაწილის რაიონული (სამხარეო) ფუნქციისაგან განტვირთვა შეადგენდა მცხეთის 1988 წლის დეტალური დაგეგმარების პროექტის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს. პროექტის მიერ ადმინისტრაციული ფუნქცია განიხილებოდა, როგორც მცხეთის ისტორიული ბირთვისათვის შეუსაბამო და ძალადობრივად თავსმოხვეული ფუნქცია. კომუნისტური რეჟიმი ამ ფუნქციას იყენებდა, როგორც ქალაქის ისტორიული ბირთვისათვის ისტორიულად დამკვიდრებულ რელიგიურ ფუნქციასთან დაპირისპირების ინსტრუმენტს. აღნიშნულის დასტურად კომუნისტური რეჟიმის ძალაუფლების არქიტექტურული სიმბოლოებით სვეტიცხოველზე და მცხეთისჯვარზე პანორამული ხედებისგ ადაკეტვისა და დაკნინების ფაქტებიც იკმარებდა. საუკუნეების მანძილზე დამკვიდრებულ რელიგიურ ფუნქციასთან ერთად, ისტორიულ-კულტურული, შემეცნებითი, სარეკრეაციო, ტურისტული, (მათ შორის საპილიგრიმო ტურიზმის) ფუნქციების გაძლიერება წარმოადგენდა ისტორიული ბირთვისათვის პროექტით განსაზღვრულ სტრატეგიული მნიშვნელობის მოცანას“.

უნდა შეგახსენოთ ისიც, რომ კომუნისტების შემდგომი პერიოდშიც გრძელდება საკრალურ სივრცეში პროფანული აქტივობა ხელისუფლების მიერ, ამის დასტურია ამ კანონდარღვევათა ლეგალიზაცია-დაკანონება პრემიერ მინისტრის 2012 წლის 17 სექტემბრის განკარგულებით.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის პროექტის, „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ მიხედვით სამთავროს არქეოლოგიური და არქიტექტურული ნაკრძალი, ისტორიული ზონის ერთიანი და განუყოფელი სტრუქტურული ელემენტია, იგი წარმოადგენს მცხეთის ტურისტული მარშრუტის განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ღირებულების ერთ-ერთი ძირითად კომპონენტს. სამთავროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, წარმოჩენისა და ტურისტულ მარშრუტში ინტეგრირების ძირითადი მოთხოვნებია:

- უდიდესი ქრონოლოგიური დიაპაზონისა და ისტორიულ-კულტურული ღირებულების სამთავროს არქეოლოგიურ ველზე ღია ცის ქვეშ არქეოლოგიური მუზეუმის ფორმირება, მისი მუდმივმოქმედი დაცვითი ინფრასტრუქტურისა და ერთიანი საექსპოზიციო სივრცის ჩამოყალიბება;
  - სამთავროს ერთიანი არქეოლოგიური და არქიტექტურული მემკვიდრეობის არეალის ტერიტორიაზე სისტემური გათხრების განახლება და მისი უწყვეტი წარმოება, განათხარი ძეგლების კონსერვაცია და სამავროს ველის ღია ცის ქვეშ მუზეუმის სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანა;
  - სხვადასხვა ეპოქის ნამოსახლარებისა და სამარხეულო ძეგლების მაღალი კონცენტრაციის სამთავროს არქეოლოგიური ველის მომავალი არქეოლოგიების მომზადების საერთაშორისო საუნივერსიტეტო ცენტრად გადაქცევა;
- სამთავროს ველზე ღია ცის ქვეშ არქეოლოგიური მუზეუმის ფორმირებით მივიღებთ:

- a) მცხეთის ისტორიულ-კულტურულ კვლევით და ძეგლთადაცვით-სამეცნიერო საერთაშორისო ცენტრად გადაქცევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს;
- b) მცხეთის მკვიდრი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის დასაქმებისა და მათ ბაზაზე პროფესიული კადრების მომზადების ხელშემწყობ გარემოებას;
- c) მისი ფორმირების ამოცანები ეხმიანება მცხეთის არსებული მუზეუმის როლისა და მნიშვნელობის ზრდის მასტერ-პლანით განსაზღვრულ პროგრამას;

მცხეთის ისტორიულ-კულტურულ და ძეგლთადაცვით პრობლემებზე ორიენტირებული საერთაშორისო სიმპოზიუმების, სემინარებისა და თემატიკური შეხვედრების სპეციალიზირებული მასპინძელ-ქალაქად გადაქცევა რეალურ პერსპექტივას უქმნის მცხეთაში ტურიზმის მნიშვნელოვანი სეგმენტის - საკონგრესო ტურიზმის დაფუძნებასა და განვითარებას, რაც შინაარსობრივად ამდიდრებს და მრავალფეროვანს ხდის ტურისტული ნაკადების სტრუქტურას.

უნდა აღინიშნოს რომ თვითმმართველი ერთეულისათვის ასეთი შემოსავლის წყარო კომერციულადაც ბევრად შემოსავლიანია ვიდრე ერთპიროვნულად გაცემული ერთჯერადი მომსახურება. ასეთი ტიპის „ტურიზმი“ მცხეთისათვის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს, ვინაიდან წინასწარი მონაცემებით არქეოლოგიური არეალი და მისი კულტურული ფენები საკმაოდ მდიდარია და მრავალფეროვანი.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის სესიის მოთხოვნების შესაბამისად, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრისა და ICOMOS-ის ერთობლივი რეაქტიული მისია ეწვია მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტს 2012 წლის 22–28 აპრილს. მისიის ანგარიშში ნათქვამია, რომ მცხეთის ისტორიულ-კულტურული ძეგლების წინაშე წარმოქმნილი პრობლემებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, განსაკუთრებით სამთავროს არქეოლოგიური მემკვიდრეობის მიმართაა საგრძნობი: მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტის სამთავროს არქეოლოგიური ტერიტორიების სერიოზული დაზიანებები, ხელისუფლების ორგანოების მიერ, სავსებით უყურადღებოდაა მიტოვებული (იხ. გვ.34). „არ ხორციელდება კონსერვაციის, დაცვისა და გაუმჯობესების არანაირი ღონისძიებები და არაფერი არ არის შეთავაზებული სამომავლოდ. მისია ადასტურებს, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ამ ნაწილმა სრულად დაკარგა ავთენტურობა.“ (იხ. გვ.34).

ისტორიული ქალაქების დაცვის საერთაშორისო ქარტიის მიხედვით ქალაქის განაშენიანებულ, განაშენიანებისგან თავისუფალ და გამწვანებულ მონაკვეთებს შორის ისტორიულად დამახასიათებელი თანაფარდობის დაცვა წარმოადგენს ქალაქის ისტორიული იერსახის შენარჩუნების აუცილებელ პირობას. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის დოკუმენტებში ეგრეთწოდებულ განვითარების პროექტად მოხსენებული (მანამდე ეს დოკუმენტი ფართო წრეებისათვის უცნობი იყო) სამხარეო ცენტრის მასშტაბური ახალმშენებლობა, ამ ისტორიულად

ჩამოყალიბებული თანაფარდობის მიზანმიმართულად „მსხვერვაზე“ და განადგურებაზეა ორიენტირებული, იმავდროულად იგი აშკარად უპირისპირდება ამ თანაფარდობის განმაპირობელ ქალაქის ისტორიულად დამკვიდრებულ დომინანტურ ფუნქციას. ქართლის სამეფოს დედაქალაქის მცხეთიდან თბილისში გადატანის ისტორიული ფაქტიდან დღემდე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრის ფუნქცია წარმოადგენს მცხეთის ისტორიულად განპირობებულ ძრითად ფუნქციას. „ლა ვალეტას პრინციპების“ მიხედვით ახალი ფუნქციები და მოღვაწეობის სახეობები ისტორიული ქალაქის ხასიათთან უნდა იყოს შეთავსებული. მოღვაწეობის ახალი სახეობის დანერგვამ, საფრთხის ქვეშ არ უნდა დააყენოს ქალაქის ტრადიციული ფუნქციების არსებობა. ახალი ფუნქცია ადაპტირებული უნდა იყოს მოცემული სახის მემკვიდრეობის სპეციფიკურ ხასიათთან.

„ვალეტას პრინციპები“, რომელსაც ახალ, ლანდშაფტურ დონეზე აპყავს ქალაქთმშენებლობითი დაცვის იდეა, წინ უძღვოდა იუნესკოს მიერ 2011 წ. 10 ნოემბერს მიღებულ „ისტორიული ქალაქური ლანდშაფტების შესახებ რეკომენდაციას.“ განსაკუთრებით საყურადღებოა ის გაფრთხილება, რომელსაც ეს დოკუმენტი შეიცავს და რომელსაც პირდაპირი მიმართება გააჩნია იუნესკოს მიერ ხაზგასმულ სამშენებლო ინტერვენციის პრეცედენტთან „აუცილებელია თავი ავარიდოთ მემკვიდრეობაში მკვეთრი და მეტისმეტად კონტრასტული ჩარევების ნეგატიურ შედეგებს“.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით, 2006წ. 24 ოქტომბერს დამტკიცებული იქნა ქ.მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონები. ამ ბრძანების მიხედვით, ტერიტორიას (მდ. არაგვის სანაპიროზე სვეტიცხოვლის ტაძარსა და ჯვრის მონასტერს შორის), რომელზეც იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი სამშენებლო აქტიობის შეწყვეტას ითხოვს, მინიჭებული ჰქონდა ისტორიული ლანდშაფტის დაცვითი ზონის სტატუსი.

ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ასეთ ზონებში აუცილებელია ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი გარემოს შენარჩუნება, მცენარეული საფარისა და მდელოების დაცვა, ლანდშაფტის განთავისუფლება დისონანსის შემტანი შენობა-ნაგებობებისაგან, წყალსატევებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების შენარჩუნება და არა ამოშრობა სამშენებლო პოლიგონად გამოყენების მიზნით.

„ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შესახებ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრების ბრძანებას“, ეხმიანება მისი უწმინდესობა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, ჯერ კიდევ 2006 წელს აღნიშნავდა, რომ „ამ ბრძანების მიხედვით მტკვრისა და არაგვის წყალშესაყარის მიმდებარე ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემო შედის მცხეთის ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონაში. ასეთი სტატუსის ზონაში კი, ნებისმიერი მშენებლობა კანონით იკრძალება.“ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ საქართველოს ახალი კანონის

34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად დამცავი ზონების შემუშავების წესები განსაზღვრული უნდა ყოფილიყო საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ასეთი დადგენილება (№181) მხოლოდ 5 წლის შემდეგ 2012 წ. 14 მაისს გამოიცა.

აქედან გამომდინარე, აშკარაა რომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ აღნიშნული სამშენებლო ინტერვენცია (ისევე როგორც საცხოვრებელი სახლების ჯგუფის მშენებლობა) მიმდინარეობდა ისტორიული ლანშაფტის დაცვის ზონაში. მშენებლობა ხორციელდება საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე, რითაც დარღვეულია „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება (მუხლი 7.2).

ტერიტორია, სადაც ამჟამად ფართომასშტაბიანი სამუშაოები მიმდინარეობს, საუკუნეების მანძილზე არაგვის კალაპოტის ფარგლებში იყო ლოკალიზებული. აქედან გამომდინარე, იგი ისეთი კატეგორიის ტერიტორიას მიეკუთვნება, რომელიც ისტორიულად არ ყოფილა განაშენიანებული. აღმოსავლეთისაკენ გადანაცვლებით შემომეტებულ ნაარაგვალის ჭარბტენიან ტერიტორიაზე, არაგვის მარჯვენა ნაპირას ხუთი ათეული წლის მანძილზე ჩამოყალიბდა მცხეთის საქალაქო პარკი. 2006 წ. 24.10. დამტკიცებული კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების მიხედვით ქ. მცხეთის საქალაქო პარკზე ვრცელდება ისტორიული ლანდშაფტის დაცვის ზონის სტატუსი.

ისტორიულ ლანდშაფტურ გარემოში სამშენებლო ინტერვენციის არაგვისპირა პრეცედენტს არაფერი აქვს საერთო მემკვიდრეობის სფეროში დამკვიდრებულ თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან. სივრცის ათვისებისადმი იდეოლოგიური მიდგომების თვალსაზრისით, იგი უფრო მცხეთის ისტორიის საბჭოთა პერიოდის 50-იან წლებთან ასოცირდება.

როდესაც 2000 წელს ლიკვიდირებული ყოფილი საბჭოთა სამხედრო ბაზის ადგილას მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერპლანი საფუძველს უყრიდა ბიოპარკის ფორმირებას, მცხეთის საქალაქო ადმინისტრაცია თავგამოდებით ლობივდა ე.წ. სააგარაკო და სახლების კომერციული პროექტის განხორციელებას. საბედნიეროდ, რეციდივი, რომლის შემოქმედსაც მცხეთის გამგეობა წარმოადგენდა ვერ განხორციელდა. სამაგიროდ, იგივე შინაარსისა და იგივე კომერციული ინტერესების მატარებელი პროექტის რეალიზაცია მოხერხდა მცხეთის საქალაქო პარკის შუაგულში. ამ ბარბაროსული იდეა-პროექტის ავტორია მცხეთის იმდროინდელი გამგეობა და მას საერთო არაფერი აქვს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიურ, და არც საცხოვრებელი ფონდის განვითარებასთან.

მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის დაცვისა და ქალაქ-განვითარების პრობლემებით დაინტერესებულ მოქალაქეთა უმრავლესობისათვის, შესაძლოა პირველად გახდეს ცნობილი იმ ფაქტის შესახებ, რომ არსებობდა მცხეთის რეაბილიტაციის საქართველოს პრეზიდენტის პროგრამა. ეს ინფორმაცია მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის, იკომოსისა და იკრომის მცხეთის ისტორიულ ძეგლებზე განხორციელებული მისიის (2010 წ. 11-14 მარტი) ანგარიშიდან გახდა ცნობილი.



როგორც აღმოჩნდა, პროგრამა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერაა შემუშავებული. მისი მთავარი დამფინანსებელია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო - მესაკუთრეთა წილობრივი შენატანით. მგონი გასაგები ხდება იმ აპარატის რეალური სახე, რომელიც უშუალოდ უნდა იცავდეს კანონს და საერთაშორისო ვალდებულებებს, როგორც ქვეყნის მოქალაქეების, ასევე მსოფლიო საზოგადოების წინაშე.

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების და საერთაშორისო ვალდებულებების იგნორირება, ხელს უწყობს საერთო ეროვნული ფასეულობების და ამ შემთხვევაში ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ძეგლების განადგურებას.

მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტებზე ზეგავლენის შეფასების მეთოდიკა განკუთვნილია ისეთი განვითარების პროექტების ოპტიმალური გადაწყვეტილებების შერჩევისათვის, რომლებიც მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა-შენარჩუნების ინტერესებს ეხება.

სახელმძღვანელო წარმოადგენს ხელმძღვანელებისა და გადაწყვეტილებათა მიმღები პირების წახალისების ინსტრუმენტს იმ ასპექტში, რაც მემკვიდრეობის მართვის საკვანძო საკითხებსა და მსოფლიო მემკვიდრეობის 1972 წლის კონვენციის ჩარჩოებში ფაქტიურ მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილების მიღებას უკავშირდება.

სახელმძღვანელს მიხედვით, მემკვიდრეობაზე ზემოქმედების შეფასება შემდეგი ეტაპებისაგან უნდა შედგებოდეს:

- განვითარების პროექტისა და არქიტექტურული გადაწყვეტის ინიცირება;
- ადრეული კონსულტაციები;
- სამუშაოთა მწარმოებელი ორგანიზაციის გამოვლენა;
- მემკვიდრეობის რესურსების დახასიათება, განსაკუთრებით იმ ნიშან-თვისებების (ატრიბუტებს) იდენტიფიკაცია, რომლებიც გამორჩეულ ზოგადსაკაცობრიო ფასეულებებს გადასცემენ;
- პირდაპირი და ირიბი ზეგავლენის მოდელირება და შეფასება;
- ზემოქმედების შერბილების წინასწარული პროექტი – თავიდან არიდება, შემცირება, რეაბილიტაცია ან კომპენსაცია;
- ანგარიშის წინასწარი პროექტი;
- კონსულტაციები;
- შეფასებისა და ნეგატიური შედეგების შემცირების წინასწარი შედეგები;
- დასაბუთებული გადაწყვეტილებების საბოლოო ანგარიში;
- შედეგების შემსუქებისკენ მიმართული ღონისძიებები;
- დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გავრცელება;

ეს მეთოდიკა „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-რეპლანში“, წინასწარ განჭვრეტილ და გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებაზეა ორიენტირებული.



## 10. თავი - დასკვნები

ქალაქმშენებლობითი დოკუმენტის და საერთაშორისო მხარდაჭერის იგნორირების შედეგები - მცხეთის ანსამბლის საიმედო დაცვისა და შენარჩუნების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის გადაწყვეტილება<sup>61</sup> „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ შექმნის შესახებ.

საქართველოს ხელისუფლების მიერ „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ აღიარება და მისი მოთხოვნების განუხრელ შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება მყარ გარანტიას შეუქმნიდა მცხეთის საკაცობრიო მემკვიდრეობის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ დაცვას. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელობას იძენდა მცხეთის მასტერ-გეგმის მაგალითზე იუნესკოს მიერ შემუშავებული თანამედროვე მიდგომების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვა.

„მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ განსაზღვრავს როგორც დასაცავ სივრცეებს, ასევე იმ ზონებს სადაც განვითარებაა შესაძლებელი, სადაც გათვალისწინებულია ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის იმპერატივი.

საერთაშორისო ვალდებულებების და არა ერთგზის მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო 2009 წლის ივნისში მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ მცხეთის ისტორიული ძეგლები შეტანილი ქნასა ფრთხეში მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში<sup>62</sup>. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 2012 წლის სხდომის ოფიციალური ანგარიშში ხაზგასმითაა ღნიშნული, რომ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტი გამოხატავს მწვავე მღელვარებას იმ განვითარების პროექტებთან დაკავშირებით, რომლებსაც აწარმოებს სახელმწიფო მდ. არაგვის სანაპიროზე სვეტიცხოვლის ტაძარსა და ჯვრის მონასტრის შორის არსებულ ტერიტორიაზე და მის მახლობლედ და მოუწოდებს მას, შეწყვიტოს განვითარების ქმედებები. მთლიანობისა და ინდივიდუალობის, როგორც ზოგადსაკაცობრიო ღირებულების დაცვა და შენარჩუნება წარმოადგენს საქართველოს მხარისადმი კონვენციით დაკისრებულ ვალდებულებას. ასეთ ვალდებულებას კონვენცია საერთაშორისო საზოგადოებასაც აკისრებს. მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის სადემონსტრაციო (პილოტი) პროექტი, სწორედ, ასეთი საერთაშორისო ზრუნვის გამოხატულებას წარმოადგენს.<sup>63</sup> იგი შემუშავებულია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ და საერთაშორისო პროფესიული ძალების თანამ-

<sup>61</sup>23-ე სესია, მარაკეში, მაროკო, 29.04. 1999წ.

<sup>62</sup>სევილია, 2009; 28-ე სესია, სუჯოუ, ჩინეთი, 28.07.2004 წ.; 29-ე სესია, დურბანი, სამხრეთ აფრიკა, 2005წ. 10-17.07.

<sup>63</sup>კომიტეტამოუწოდდაკონვენციისმონაწილეწევრ-სახელმწიფოებს, საერთაშორისოორგანიზაციებსადაინსტიტუტებს,

რათათავიანთიწვლილიშეიტანონმცხეთისმასტერგეგმისპილოტიპროექტისგანსახორციელებლად

შრომლობასა და გამოცდილებაზეა დაფუძნებული. მისი მიზანია თანამედროვე ძეგლთადაცვითი სტრატეგიული მიდგომების გავრცელება და მათი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვა.

„მცხეთის ისტორიული ანსამბლი შეიცავს ყველა იმ ძირითად ელემენტს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც პროტოტიპი საქართველოს სხვა ისტორიული ქალაქების მემკვიდრეობის დაცვისა და ათვისებისათვის“<sup>64</sup>.

- „ამ ანსამბლის, როგორც მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანილი ძეგლის მთლიანი დაცვა, კონსერვაცია და განვითარება უნდა ხორციელდებოდეს ძირითადი გეგმის (ან განვითარებაზე ორიენტირებული კონსერვაციის გეგმის საფუძველზე).

- „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანი“ ამკვიდრებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც ურბანული კონსერვაცია ცოცხალ, ისტორიულ ქალაქში მოითხოვს ცვლილებების მართვის უნარს და კონსერვაციისა და განვითარების პროცესების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;

- ამგვარი დაგეგმარებითი დოკუმენტის არსებობა აუცილებელია, ვინაიდან ისინი ზოგადი მიდგომის ასახვის გარდა ოპერატიული პროექტების ადეკვატურ ფორმირებას უზრუნველყოფენ;

- ამ მოდელის გამოყენება, შეზუდილი 5-15 წლიანი ციკლების ჩარჩოებში მუშაობის, პერიოდული გადახედვისა და ადაპტირების მეშვეობით (ცალკეული ძეგლების მართვის გეგმების გათვალისწინებით) ზრდის მოქნილობის ხარისხს. იგი საშუალებას იძლევა დაისახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები“.<sup>65</sup>

„ძირითადი გეგმის ქმედუნარიანობა და წარმატება დამოკიდებულია განხორციელების დისციპლინაზე და ამ დოკუმენტში გამოყენებული კონვენციების, დეკლარაციებისა და საქართველოს კანონების მოთხოვნათა აღსრულებაზე. განსაკუთრებით ყურადსაღებია ინტეგრირებული კონსერვაციის ის მოთხოვნები, რომლებიც მემკვიდრეობის დაცვისა და განვითარების პროცესში მონაწილეთა კოორდინაციის უზრუნველყოფას ეხება“.<sup>66</sup>

მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმა წარმოადგენს - ძეგლისა და გარემოს ისტორიულად ჩამოყალიბებული, ერთიანობისა და მცხეთის ისტორიული ანსამბლის მხატვრული იერსახის დაცვისა და შენარჩუნების ერთ-ერთ ძირითად გარანტს. ამის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი, ასეთი

<sup>64</sup>მცხეთის ძირითადიგეგმა.

მემკვიდრეობისადატურიზმისპოლიტიკისგანვითარებისათვისპილოტიპპროექტი - იუნესკოსმსოფლიომემკვიდრეობისცენტრი. პარიზი. 1997 წ.

<sup>65</sup>მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმა 2003 წ.

<sup>66</sup>მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმა 2003 წ.

სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტის მნიშვნელობის იგნორირებამ გამოიწვია:

- ძეგლისათვის ისტორიულად დამახასიათებელი კულტურულ-ბუნებრივი კონტექსტის განუზომელ დეფორმაციასა და ისტორიული ანსამბლის ინდივიდუალური იერსახის დამახინჯება;
- საზოგადო ინტერესებისა და კულტურულ-ბუნებრივი ფასეულობების იგნორირებისაკენ მიმართული ფართო მასშტაბიანი სამშენებლო ინტერვენცია;
- თავისი არსითა და შედეგებით წარმოადგენს მემკვიდრეობის დაცვისაკენ მიმართული მოქმედებების დეზინტეგრაციასა და ქაოსის პროვოცირების ხელშემწყობფაქტორს.
- სადღეისოდ, ამ დოკუმენტაციის იგნორირება წარმოადგენს მცხეთის ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის განადგურებისა და მხატვრული ინდივიდუალობის დაქვეითების მიმდინარე საფრთხეს;
- მიუღებელი სამშენებლო აქტიობის ნეგატიური პროცესები უკვე შეეხო ქალაქის განსაკუთრებული ღირებულების ფრაგმენტებს - სვეტიცხოვლის უშუალოდ მიმდებარე გარემოსა და მტკვრის მარცხენა სანაპირო განაშენიანების ისტორიულად ჩამოყალიბებულ მასშტაბს, სამთავროს არქიტექტურულ-არქეოლოგიურ ნაკრძალს;
- მტკვრისა და არაგვის ხერთვისის უნიკალურ ლანდშაფტური გარემოსა და ჯვრის მონასტრის აღმოსავლეთი ზონის ფართომასშტაბიანი სამშენებლო ათვისებისაკენ მიმართული საპროექტო წინადადებების გააქტიურება;
- მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი მცხეთის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობი სუმნიშვნელოვანესი კომპონენტის ჯვრის ბორცვის დასავლეთ მიმდებარე ზონის სამშენებლო პოლიგონად გადაქცევაზე ორიენტირებული პრივატიზირების გამოცხადების ფაქტი;<sup>67</sup> (ძირითდი გემგის მიხედვით ამ ზონას მინიჭებული აქვს „ბიოპარკის“ ფუნქცია, რაც კრძალავს მის ფარგლებში ნებისმიერ სამშენებლო ინტერვენციას);
- უხეშადაა დარღვეული მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის რეალიზაციაზე ორიენტირებული იუნესკოს „მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ეროვნულდონეზე დაცვის რეკომენდაცია“ (1972.16.10), „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ნებისმიერი

<sup>67</sup> შესაძლო შედეგების სრულ გაუაზრებლობაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ სწორედ ამ ზონაში განთავსებული საბჭოთა რეჟიმის სამხედრო უწყების შენობა – ნაგებობათა სრული ლიკვიდაცია და მცხეთის ჯვრის გარემოცვისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ბუნებრივი გარემოს აღდგენა წარმოადგენდა მცხეთის მემკვიდრეობის მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეტანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას. ამ პირობის შესრულების მიზნით საქართველოს მხარემ უდიდესი ძალისხმევით ფასად შესძლო კონვენციის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულება და აღნიშნული ბაზის ნაგებობათა კომპლექსის სრული ლიკვიდაცია.

ელემენტის დაცვის ღონისძიებებიდან გამომდინარე, ვალდებულებებით ან უნდა სდევდეს ქონებას, ვის საკუთრებაშიც არ უნდა გადადიოდეს იგი. დაცული შენობა – ნაგებობებისა და ბუნებრივი ღირსშესანიშნავი ადგილების გაყიდვის შემთხვევაში მყიდველს უნდა ეცნობოს ამ დაცვითი ვალდებულებების შესახებ“. (მუხლი.46).

- ამ მოთხოვნის საფუძველზე, ზემოხსენებული ტერიტორია პრივატიზაციაზე გატანილი უნდა ყოფილიყო ისტორიულად დამახასიათებელი ბუნებრივი ლანდშაფტის აღდგენისა და ბიოპარკის ფუნქციით, ყოველგვარი სამშენებლო ინტერვენციის გარეშე.<sup>68</sup>
- სრულიად იგნორირებულია ამ პროცესში საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმება. ამ შეთანხმების, როგორც საქართველოს კონსტიტუციის შემდეგ უზენაესი ძალის მქონე სამართლებრივი აქტის თანახმად, მცხეთის ისტორიული გარემოს დაცვა სახელმწიფოსა და ეკლესიის ერთობლივი ზრუნვის საგანს უნდა წარმოადგენდეს.<sup>69</sup>

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ შედეგების რაც ამ დოკუმენტის იგნორირებამ გამოიწვია. ეჭვგარეშეა, რომ უმართავი პროცესების თავიდან აცილების ერთ-ერთ ძირითად გარანტად კვლავ რჩება მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერგეგმა. მისი (ან თუ გინდ მისი ძირითადი კომპონენტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის) ლეგიტიმაცია და მისი მოთხოვნების განუხრელი შესრულება, რაც მყარ გარანტიას შეუქმნიდა მცხეთის საკაცობრიო მემკვიდრეობის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებულ დაცვას და აქამდე დაშვებული შეცდომების გამოსწორებას.

სახელმწიფოსა და საქართველოს ეკლესიას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მესაკუთრეს შორის ურთიერთობა რეგულირდება კონსტიტუციური შეთანხმებით. ამ საკანონმდებლო აქტით - „სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობის მქონე საეკლესიო ნაგებობების სათანადო დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის“. (მუხლი - 5)

სადღეისოდ შექმნილი ვითარება არ შეესაბამება საქართველოს „კონსტიტუციური შეთანხმების სულისკვეთებას“ და ვერ უზრუნველყოფს ეროვნული ქრისტიანული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში საქართველოს ეკლესიის როლისა და მნიშვნელობის სრულყოფილ ასახვას.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო უწყებებსა და საქართველოს ეკლესიის შორის სისტემური თანამშრომლობის დეფიციტი და კოორდინაციის არ არსებობა, ზღუდავს საეკლესიო მემკვიდრეობის დაცვის პროცესში საქართველოს ეკლესიის მონაწილეობას, იწვევს ამ პროცესებისაგან

<sup>68</sup>იხ. „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის ძირითადი გეგმა“ – მიწის გამოყენების გეგმა. #C3

<sup>69</sup>ქრისტიანული ხუროთმოძღვრების ძეგლების დაცვის ზონებში საქართველოს ეკლესიასთან შეთანხმების გარეშე მიღებულ გადაწყვეტილებას სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნია.



ეკლესიის იზოლაციას. საეკლესიო მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე საქართველოს ეკლესიის მონაწილეობის გარეშე გადაწყვეტილების მიღების პრაქტიკა, ზრდის ნეგატიური შედეგების აღბათობას, ხელს უწყობს ეკლესიისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციული ვაკუუმის შექმნას.

მცხეთა – ქართული მართლმადიდებელი სარწმუნოების უპირველესი კერა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის დედაქალაქი წარმოადგენს სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი მრევლის მიზიდულობის ეპიცენტრს ძირითადი გეგმა მოითხოვს - ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის სულიერი და კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე დაფუძნებული ტურისტული პოლიტიკის გატარებას.

მტკვრისა და არაგვის წყალშესაყარი წარმოადგენს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის კულტურულ-ბუნებრივი არეალის, ტურიზმის თვალსაზრისით დღემდე აუთვისებელ ბუნებრივ კომპონენტს. სწორედ ამ პოტენციალის გამოვლენასა და მის სრულყოფილ გამოყენებაზეა ორიენტირებული „მცხეთის მემკვიდრეობისა და ტურიზმის მასტერ-პლანის“ წინასაპროექტო ეტაპზე განხორციელებული კვლევა. იგი მოიცავს წყლის სამდინარო სატრანსპორტო საშუალებიდან დაფიქსირებული ვიზუალური მასხასიათებლების (ისტორიულ-კულტურული, ბუნებრივი-ლანდშაფტური და მხატვრულ ესთეტიკური თავისებურების) კომპლექსურ შეფასებას. კვლევა მიზნად ისახავს:

- ტურისტული სამდინარო სვლაგზიდან აღსაქმელ ვიზუალურ მასალაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივი და ქალაქური გარემოსათვის შეუსაბამო ანთროპოგენული ჩარევის ანომალური ზონების გამოვლენას;
- გარემოს მოსალოდნელ ცვლილებებსა და ტრანსფორმაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისათვის მეცნიერული კვლევითი საფუძვლის შექმნას;
- დაცვითი ზონების დადგენასა და მათი რეჟიმების ხასიათის განსაზღვრაში სამდინარო ტურისტული სვლაგეზის ფაქტორის მნიშვნელობის ხაზგასმას.

კვლევის ამ ოცანების შესაბამისად ვიზუალური ალქმის ინდივიდუალური ზონების გამოკვეთა, ემსახურება წყალშესაყარის დამახასიათებელი მონაკვეთებიდან მცხეთის ისტორიული ზონის ბუნებრივ-კულტურული გარემოს ვიზუალური ალქმის თავისებურების გამოვლენას. კვლევის მიხედვით, წყალშესაყარიდან აღქმულ ვიზუალურ მასალაში განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება მდინარეთა ნაპირების ჭარბტენიან ზონებს. ეს ზონები მთელ სიგრძეზე ავსებენ არმაზციხის აღმოსავლეთით ლოკალიზებულ მტკვრის მარჯვენა ნაპირის. ქართლის ქედის აღმოსავლეთ კიდის (არმაზციხე) და ჯვრის ბორცვის მდინარეთა ხერთვისისაკენ დაქანებულ ფერდებს შორის მოქცეულ სივრცეს, უკანა პლანზე, ასევე, კადრის შუაგულისაკენ დაქანებული მთის მასივების სილუეტური



გამოსახულება ზღუდავს. წყლის სარკიდან აღქმული ამ ხედის მიხედვით ჯვრის ტაძარი წარმოადგენს მრავალპლანიანი, ვრცელი ბუნებრივ-ლანდშაფტური გარემოს ერთადერთი ანთროპოგენული ელემენტს. აღნიშნული რეალობის გაცნობიერება გარკვეული მოულოდნელობის ეფექტს აჩენს და მდინარეთა ხერთვისიდან აღქმულ სივრცეს უნიკალურ მნიშვნელობას ანიჭებს.

როგორც ავღნიშნეთ, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელობას იძენდა მცხეთის მასტერგეგმის მაგალითზე იუნესკოს მიერ შემუშავებული თანამედროვე მიდგომების საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრაქტიკაში დანერგვა. საინტერესოა ამ დოკუმენტის იურიდიულ სამართლებრივი კარკასი, ასეთი ფორმატი აყალიბებს ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენის თანამედროვე ხედვას. „ისტორიული ქალაქებისა და ურბანიზირებული ტერიტორიების დაცვისა და მართვის შესახებ „ლა ვალეტას პრინციპების“ მიხედვით საფრთხის ძირითად წყაროს შეადგენენ კულტურული ფასეულობების გათვალისწინების გარეშე განვითარებული ურბანიზაციის პროცესები.

ამ დოკუმენტს მემკვიდრეობის ქალაქთმშენებლობითი დაცვა აჰყავს ახალ ლანდშაფტურ დონეზე.

დოკუმენტის განსაკუთრებული ყურადღების საგანია მსხვილმასშტაბიანი ურბანული განვითარების პრობლემები, რაც იწვევს სივრცეში არქიტექტურული მოცულობების ტრადიციული გადანაწილების, როგორც ისტორიული ქალაქური მორფოლოგიის განმსაზღვრელი ფაქტორის ნეგატიურ ცვლილებებს. აღნიშნული დოკუმენტის ძირითად მიზანს შეადგენს ისტორიულ ქალაქის გეგმარებით სტრუქტურაში ნებისმიერი ჩარევის შემთხვევაში მისაღები პრინციპებისა და სტრატეგიების შეთავაზება. ეს პრინციპები და სტრატეგიები მოწოდებულია ისტორიული ქალაქებისა და მათი გარემოცვის ფასეულობების დაცვისათვის, ამასთანავე, მათი თანამედროვე სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციისათვის. ამ ღონისძიებებმა უნდა უზრუნველყოს მემკვიდრეობის მატერილურ და არამატერიალურ ფასეულობების პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ისევე, როგორც მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ზრდა.<sup>70</sup> ამა თუ იმ კონვენციაზე, ქარტიასა და დეკლარაციაზე ხელმომწერმა თითოეულმა სახელმწიფომ, ფაქტიურად, პასუხისმგებლობა აიღო მემკვიდრეობის დაცვაზე. ხელმოწერილი დოკუმენტების თანახმად, შესაბამის ნაციონალურ კანონმდებლობაში შედის შესწორებები, ხდება მემკვიდრეობის სისტემის რეფორმირება. ამდენად, ამ მოღვაწეობის მეშვეობით, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის სფეროში, კარგა ხანია მიმდინარეობს ერთიანი მსოფლიო სამართლებრივი სივრცის ფორმირება. ასე მაგალითად, ევროპის კავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან - საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

ეროვნული კანონმდებლობის საერთაშორისო ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის აუცილებლობას განსაზღვრავს, ისტორიულ-ურბანული სივრცე და არა

<sup>70</sup> პროფ. ვია შაიშმელაშვილი - „ლა ვალეტას პრინციპები“

ცალკეული ძეგლების დაცვის მექანიზმის გამოყენება. ამ თვალსაზრისით მცხეთის „მასტერპლანი“ საკმაოდ შორს წავიდა და გასცდა მცხეთის ისტორიულ ფარგლებს, იგი შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი ქვეყნის სივრცითი მოწყობის დოკუმენტის შესაქმნელად. ამ მიმართულებით დღეს სახელმწიფო განიცდის კრიზისს, მას არ გააჩნია ასეთი სახის დოკუმენტი. რაც შეეხება ცალკეულ ფრაგმენტებს - ისინი ვერ განსაზღვრავენ სახელმწიფოს სივრცითი მოწყობის ფორმულას ვინაიდან ამ დოკუმენტებმა ლოკალურ სივრცეშიც არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, ძირითადად ზოგადად აწესრიგებს სისტემას და ადგენს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამართლებრივ საფუძვლებს. სამწუხაროდ, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ხელს უშლის სივრცითი ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქგეგმარების მწყობრი სისტემის ფორმირებას. სივრცითი მოწყობისა და ქალაქგეგმარების ფრაგმენტულობა და პროცესის ქაოტური ხასიათი მნიშვნელოვანწილად ამ საკანონმდებლო ხარვეზებითაცაა განპირობებული.<sup>71</sup>

ტექსტში ნახსენები კოდექსის პროექტიც დაახლოებით იმავე ხასიათის ხარვეზებს ატარებს, რასაც მოქმედი საკანონმდებლო ბაზა. საკანონმდებლო თვალსაზრისით სივრცითი ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქგეგმარების მწყობრი სისტემის ფორმირებისათვის განსაკუთრებით გამოსაყოფია შემდეგი მთავარი ასპექტები:

1. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიმღები სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის პრობლემები

მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუციის მე-7 პრიმა თავი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის მე-16 მუხლი) სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის საკითხებზე გადაწყვეტილებს იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება“ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას და აღნიშნულ საკითხებზე მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებებს; ასევე, ორგანული კანონის

<sup>71</sup> მასალა კვლევებიდან - „მცხეთის ისტორიული ნაწილის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმა და მარეგულირებელი დოკუმენტები“

მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად მათ საკუთარ უფლებამოსილებებშია „მშენებლობის ნებართვის გაცემა, მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა კანონით დადგენილი წესით“.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ შესაბამისად (იხ. ქარტიის მე-4 მუხლი) ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები „სრული და ექსკლუზიურია“, ამდენად ცალსახაა, რომ ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირების (შესაბამისი ნებართვების გაცემის) და მასზე ზედამხედველობის პროცესში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები უშუალოდ ვერ ჩაერევიან.

ამავდროულად, როგორც ქალაქგეგმარების, ასევე მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის პროცესში მმართველობითი გადაწყვეტილებები მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და შესაბამისად მიიღება. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამ სფეროში თავიანთი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის, ცხადია, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის შესახებ დაწესებული ნორმები.

ქალაქგეგმარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების დაცვა. ამ კანონის მე-8 თავი განსაზღვრავს:

(ა) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და მათ რეჟიმებს (იხ. მუხლი 34);

(ბ) დამცავი ზონების დადგენის მიზნებსა და ამოცანებს (იხ. მუხლი 35);

(გ) ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის, მისი შემადგენელი არელებისა და რეჟიმის, ისტორიული განაშენიანების და ისტორიული ლანდშაფტის, აგრეთვე არქეოლოგიური დაცვის, შესაბამისი განაშენიანების რეგულირების ზონისა და რეჟიმის დადგენის ზოგად საფუძველებს (იხ. 36-40 მუხლები);

(დ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმებისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების ზოგად წესებს (იხ. მუხლი 41);

(ე) ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების დაგეგმვის, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადების ზოგად საფუძველებს (იხ. მუხლი 42);

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონით მკაფიოდ არ არის გამიჯნული სახელმწიფო მმართველობის ორგანოსა (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები ქალაქგეგმარების პროცესში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. კანონიდან ნათლად არ ჩანს ვისი პასუხისმგებლობით, ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტის

სახსრებით უნდა ხორციელდებოდეს ქალაქგეგმარების პროცესში კანონის მე-8 თავით განსაზღვრული ნორმატიული თუ სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, შესაბამისი, საკმაოდ მოცულობითი და რესურსტევადი სამუშაოების დაგეგმვა-ორგანიზება და განხორციელება.

მოქმედი კანონმდებლობით (კონსტიტუცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“), ცალსახაა, რომ ქალაქგეგმარება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებაა. მაგრამ იმ მოთხოვნების, რასაც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონი, განსაკუთრებით მისი მე-8 თავი ადგენს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების და რეჟიმების განსაზღვრისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსების (მწირი ბიუჯეტი, სუსტი შესაძლებლობები, ადგილობრივი მოხელეების არასათანადო კომპეტენცია და სხვ.) შეზღუდულობის გამო, შესრულება და დაცვა მეტად პრობლემურია.

უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობათა მკაფიო გამიჯვნის პრობლემები ასევე გამოკვეთილია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონში, რომლის მთელი რიგი დებულებები წინააღმდეგობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. ასე მაგალითად, ამ კანონის მე-3 თავი: „ქვეყნის, რაიონის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვა“, განსაზღვრავს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების სამ დონიან, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში ოთხ დონიან იერარქიას, კერძოდ: დაგეგმარება უნდა განხორციელდეს ეროვნულ, ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონის და რაიონში შემავალი დასახლებების დონეებზე და შესაბამის გადაწყვეტილებების უნდა იღებდნენ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, „რაიონის ადგილობრივი მმართველობისა“ და დასახლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. 2005 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით რაიონის მმართველობის ორგანოები გაუქმდა, მათ სანაცვლოდ შეიქმნა მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოები. ასევე, მუნიციპალიტეტის დასახლებებს ცალკე თვითმმართველობის ორგანოები აღარ ჰყავთ, ამდენად კანონით წარმოდგენილი იერარქია უკვე ფორმალურადაც საფუძველს მოკლებულია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონით დასახლებებისათვის, მათ შორის ქ. მცხეთისათვისაც, დადგენილია ორ საფეხურიანი ქალაქგეგმარების სისტემა, რაც შესაბამისად გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების მიღებას. ასეთ ორ საფეხურიან სისტემაში მკაფიოდ გარკვეული არ არის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის, რომელიც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მიხედვით „ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის



შემუშავების საფუძველს“ წარმოადგენს, როლი და ადგილი, ასევე მისი მიმართება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან.

პრობლემურია „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის დადგენილება, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტთან. კერძოდ, ამ დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის ფორმულირება: „დამცავი ზონა დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“ ზღუდავს თვითმმართველი ერთეულის ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ექსკლუზიურობას, რაც დაუშვებელია. მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს წესი, თუ როგორ, რა ნორმების დაცვით უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება, მაგრამ მას არა აქვს უფლება საკუთარი გადაწყვეტილებით დაადგინოს ასეთი ზონის ტერიტორიული საზღვრები, რადგან ეს საკითხი სივრცითი დაგეგმარების საკითხია და მისი გადაწყვეტა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ კომპეტენციას წარმოადგენს.

მოქმედ კანონმდებლობას ასევე ეწინააღმდეგება „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება, რადგან 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ ძალაშია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ დღესაც მოქმედი ორგანული კანონი, რომლის თანახმადაც ასეთი გადაწყვეტილება ცალსახად ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება.

განსაკუთრებით საგანგაშოა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 1750 განკარგულება “ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ”. გარდა იმისა, რომ ეს აქტი წარმოადგენს უკანონო ჩარევას მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში, იგი გამოცემულია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით, არადა, თავისი შინაარსით კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა აშკარად ნორმატიული გადაწყვეტილებაა.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზები არსებობს აგრეთვე მშენებლობის რეგულირების (მშენებლობის ნებართვების გაცემა) და მშენებლობაზე



ზედამხედველობის რეგულირების თვალსაზრისითაც. სანებართვო პირობების განსაზღვრისა და ზედამხედველობის განხორციელების საკანონმდებლო საფუძველია 2012 წელს მიღებული კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, რომელსაც უკვე აღარ შეესაბამება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ კანონქვემდებარე აქტი - საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება. თუნდაც ეს გარემოებაც ნათლად ცხადყოფს, რომ ამ თვალსაზრისით ხარვეზები აღმოსაფხვრელია.

ამდენად, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა არასრულყოფილია და საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით შემდეგი პრობლემური ხარვეზების გამოსწორებას:

ა. კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის გაიმიჯნული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის;

ბ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონები არ შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონს;

გ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონები ურთიერთპარამონიზებული არ არის, რის გამოც ბუნდოვანი რჩება ქალაქგეგმარების პროცესში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების იერარქია, პრობლემურია ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და წესების გათვალისწინება და მათი დაცვა;

დ. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები წინააღმდეგობაში მოდის როგორც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონთან, ასევე შესაბამისი სფეროს საკანონმდებლო აქტებთანაც.

ე. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 1750 განკარგულება „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ კანონსაწინააღმდეგოა, რადგან იგი ეწინააღმდეგება როგორც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონს, აგრეთვე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნასაც, რომლის თანახმად ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტი არ შეიძლება გამოცემული იქნას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით.

2. მმართველობითი გადაწყვეტილებების პროცესში საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტების არასათანადო მონაწილეობა

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ქ. მცხეთაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსი და განსაკუთრებული როლი.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალურ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ: ეკლესიის „სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა“.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.“

კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის თანახმად: „სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობისათვის.“

სამწუხაროდ კონსტიტუციური შეთანხმების ეს ნორმები კონკრეტულად არ არის ხორცშესხმული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებსა და წესებში, რის შედეგადაც მათი შინაარსი მხოლოდ დეკლარაციულია.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც: „აკრძალულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის გასხვისება. ამ ძეგლის სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის პირობით.“ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლთან.

არასათანადო მონაწილეობის თაობაზე იგივეს თქმა შეიძლება ქალაქგეგმარების სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებით დაინტერესებულ სხვა სუბიექტებზეც, მათ შორის, პირველ ყოვლისა ქ. მცხეთის ტერიტორიაზე უძრავი საკუთრების მფლობელებზე, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის საქმისწარმოების მკაფიო პროცედურისა და წესების არ არსებობის გამო, პრაქტიკულად არ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და მონაწილეობდნენ ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილების შემუშავებაში.

განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოებაც, რომ მშენებლობის რეგულირებისა და მასაზე ზედამხედველობის შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილებები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მიიღება არა საჯარო, არამედ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით (იხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 54-ე მუხლის 1-ელი პუნქტი). ამის გამო შეზღუდულია საჯარო ინტერესებით

მშენებლობის რეგულირების პროცესებში მონაწილეობა და მშენებლობის ნებართვების გაცემა ხდება საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რაც ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაუცველად წარმოებული მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი ფაქტორია.

სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის პრობლემურობა მცხეთის მუნიციპალიტეტში

სამწუხაროდ, მცხეთის მუნიციპალიტეტში საერთოდ ჩავარდნილია და არ მიმდინარეობს სივრცითი დაგეგმარება, მიღებული არ არის რაიმე ქალაქგეგმარებითი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა როგორც მშენებლობის რეგულირებას, ასევე მშენებლობაზე ზედამხედველობის პროცესის მოწესრიგებასაც.

მშენებლობის ნებართვების გაცემა ხდება უსისტემოდ, ქალაქგეგმარებითი ნორმატიული დოკუმენტების გარეშე, რაც შეუძლებელს ხდის მიმდინარე მშენებლობებისას ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის კანონმდებლობით გარანტირებული ნორმების დაცვას.

ზემოაღნიშნულის გამო მცხეთის მუნიციპალიტეტში ასევე უსისტემოდ და არაეფექტიანად მიმდინარეობს მშენებლობაზე ზედამხედველობაც, შედეგად - კატასტროფული მდგომარეობა იქმნება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის კუთხით.

სივრცითი დაგეგმარების შესახებ კანონმდებლობა ფაქტიურად არ მუშაობს, რისი უმთავრესი მიზეზებია:

ა. ზემოთ აღნიშნული (იხ. პუნქტი 1.1.) საკანონმდებლო ხარვეზები;

ბ. ადგილობრივი ნორმატიული ბაზის არსებობა, რის გამოც არ არსებობს სივრცითი დაგეგმარების რაიმე მწყობრი სისტემა, რომელიც დაეფუძნებოდა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას, საქმისწარმოების მკაფიო წესებსა და პროცედურებს, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის, სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობასა და ჩართულობას.

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის

ქ. მცხეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის მიზნით ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის სისტემის მოსაწესრიგებლად აუცილებელია როგორც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ასევე, პროცესის მოწესრიგებამდე და მის ნორმალიზაციამდე საგანგებო ღონისძიებების გატარება - ქ. მცხეთისათვის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის შემოღება.

1. ქალაქ მცხეთის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსი

მცხეთის, როგორც სასულიერო ადმინისტრაციული ცენტრის და განსაკუთრებული, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ-კულტურული ღირებულების ქალაქის სივრცითი ტერიტორიული მოწყობის, ქალაქგეგმარების და მშენებლობის რეგულირების სფეროში

შექმნილი პრობლემები აუცილებლად საჭიროებს საგანგებო ღონისძიებების გატარებას, მათ შორის ქალაქისათვის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მინიჭებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით დადგენილია განსაკუთრებული სივრცით-ტერიტორიული რეგულირების ტერიტორიები და დასახლებები, „რომელთა ფორმირება ხდება სპეციალური სივრცით-ტერიტორიული ამოცანების გადასაწყვეტად“. გეგმარებითი რეგიონისთვის შემუშავდება სივრცითი მოწყობის სქემა“ (იხ. მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტი). გარკვეული ტერიტორიებისათვის, მათ შორის, მთლიანად დასახლებისათვის ასეთი განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს „მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, თავდაცვითი, კულტურული ფაქტორები და სტიქიური მოვლენები (იხ. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი). კანონის თანახმად ასეთი სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პარლამენტი (იხ. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი). ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიებისა და დასახლებებისათვის კანონის საფუძველზე წესდება სივრცით ტერიტორიული განვითარების განსაკუთრებული რეჟიმი (იხ. კანონის მე-13 მუხლის 5 პუნქტი). ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიებისა და დასახლებების სივრცით ტერიტორიულ დაგეგმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით (იხ. კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი). ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიებზე და დასახლებებში როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (მთავრობასთან შეთანხმებით), ასევე საქართველოს მთავრობას უფლება აქვთ სპეციალური სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადით გამოაცხადონ ტერიტორიების განვითარების შეზღუდვა (იხ. კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი) და დაადგინონ მშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმი (იხ. კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი).

აუცილებლად მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანხმობითა და საქართველოს მთავრობის წარდგინებით საქართველოს პარლამენტმა განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს ქ. მცხეთისათვის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მინიჭების საკითხი.

ასეთი განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული სტატუსი ქალაქს უნდა მიენიჭოს იმ ვადით, რაც აუცილებელია სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ნორმატიული დოკუმენტების: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და მშენებლობის რეგულირების გეგმის მისაღებად, აგრეთვე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის

რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემის დანერგვამდე.

ქ. მცხეთისათვის უნდა დაწესდეს სივრცით ტერიტორიული განვითარების განსაკუთრებული რეჟიმი. ეს რეჟიმი უნდა მოქმედებდეს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების მთავარი დოკუმენტების: მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და მშენებლობის რეგულირების გეგმის ძალაში შესვლამდე.

მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის საგანგებო ღონისძიებების გასატარებლად, ასევე სივრცითი ტერიტორიული მოწყობის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს დადგენილება „ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მშენებლობის განსაკუთრებული რეგულირების შესახებ“, რითიც:

1) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე იმოქმედებს ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტი: „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმა“, რომელიც დაეყრდნობა 2003 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ( მს ) მიერ მომზადებულ ”მასტერ გეგმას, აგრეთვე ამ პროექტის ფარგლებში შემუშავებულ მცხეთის ისტორიული ნაწილის მშენებლობის რეგულირების გეგმას.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე იმოქმედებს ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტი: „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმა“, რომელიც ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმისათვის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული ამ პროექტის ფარგლებში;

2) „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმის“ შესაბამისად გარკვეული ვადით დაწესდება ტერიტორიის განვითარების შეზღუდვა, შემოღებული იქნება მშენებლობისათვის დამატებითი სანებართვო პირობები;

3) დაწესდება სპეციალური პროცედურა, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის ზონებში კანონდარღვევით უკვე აშენებული ნაგებობები შესაბამისობაში იქნება მოყვანილი კანონმდებლობის, „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმის“ მოთხოვნებთან და ზემოაღნიშნულ დამატებით სანებართვო პირობებთან. სადაც ეს შეუძლებელია, სპეციალური პროცედურის შესაბამისად, მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით, მოხდება ასეთ ნაგებობათა დემონტაჟი. ასეთ შემთხვევაში კერძო მესაკუთრეთათვის გათვალისწინებული იქნება სათანადო კომპენსაციის გადახდაც.

## 2. რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებისათვის

ა. კანონმდებლობით მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის;



ბ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 პრიმა თავის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის ნორმებთან;

გ. უნდა განხორციელდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონების ურთიერთპარამონიზება, კანონმდებლობით უნდა გაირკვეს ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის როლი და ადგილი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების იერარქიაში; მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ქალაქგეგმარების ერთიან, ინტეგრირებულ პროცესში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვა-შენარჩუნების პირველხარისხოვანი ამოცანა; გარანტირებული უნდა იყოს საერთაშორისო შეთანხმებების, მათ შორის „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნათა დაცვა;

დ. საქართველოს მთავრობის დადგენილება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ (ამ დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი) შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონთან;

ე. უნდა ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება, რომელიც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება;

ვ. ბათილად უნდა გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 1750 განკარგულება “ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ”

ზ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლთან;

თ. საქართველოს მთავრობის მიერ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის სავალდებულო პირობების გათვალისწინებით შემუშავებული უნდა იქნეს სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტი, რომელიც მთავრობის დადგენილებით უნდა დამტკიცდეს. ეს სტანდარტი დაეფუძნება თანამედროვე ელექტრონულ საქმისწარმოებას, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ავტომატიზებულ მართვას, გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზების გამოყენებას, ასევე უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, უპირველესად - საქართველოს მართლამადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მონაწილეობასა და ჩართულობას;

შენიშვნა: სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“ მიერ უკვე შემუშავებულია მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის პროცესების მართვის ავტომატიზებული სისტემა, რომელიც ინერგება პილოტ მუნიციპალიტეტებში. ასეთი სისტემის დანერგვა მცხეთაში, იმის გათვალისწინებით, რომ მოხდება არა მხოლოდ მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის, არამედ ქალაქგეგმარების პროცესის ავტომატიზება, გადაუდებელ და პირველხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს. დოკუმენტის ელექტრონულ ვერსიაში საილუსტრაციოდ მოცემულია მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის პროცესების აღწერა, რომელიც სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ არის მომზადებული; (პროცესების აღწერის სატიტულო ფურცლები თან ერთვის)

ი. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 54-ე მუხლის 1-ელი პუნქტი აუცილებლად გადასახედია. მშენებლობის ნებართვების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს არა მარტივი, არამედ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა და საჯარო ინტერესების, პირველ ყოვლისა, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მცხეთის ლანდშაფტის შენარჩუნების საერთო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ინტერესის სათანადოდ დაცვა.

3. რეკომენდაციები მცხეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის

მცხეთის მუნიციპალიტეტში უნდა ჩამოყალიბდეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ლანდშაფტის დაცვის, სივრცითი ტერიტორიულ მოწყობისა და ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის ერთიანი სისტემა, რომელიც დაეფუძნება:

- ელექტრონულ საქმისწარმოებასა და გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზებს;
- მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ავტომატიზებას;
- ქალაქგეგმარებით, მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის სფეროში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის საჯაროობას; გადაწყვეტილებათა მიღებას „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ იმ ნორმების შესაბამისად, რაც საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას განსაზღვრავს;
- ქალაქგეგმარებით პროცესში მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტების ჩართულობასა და ეფექტიან მონაწილეობას; ამ მიზნით მიზანშეწონილია მცხეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მცხეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ქალაქგეგმარების მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს შექმნა და მისი საქმიანობის უზრუნველყოფა;
- ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების შემუშავების პროცესში პროფესიულ კვალიფიკაციას;

- მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურულ ოპტიმიზაციასა და მოხელეთა სათანადოდ მომზადებას.

ასეთი სისტემის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია შესაბამისი ნორმატიული ბაზის შემუშავება და მიღება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ, ასევე ელექტრონული საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის იმ მინიმალური სტანდარტების დანერგვა, რაც უკვე დამტკიცებულია და სავალდებულოდ შემოღებულია საქართველოს მთავრობის მიერ.

ამრიგად, ქ. მცხეთაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის მიზნით, სივრცითი ტერიტორიული მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის პროცესის მართვისათვის მუნიციპალურ დონეზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია:

ა. სივრცითი მოწყობისა და ქალაქგეგმარების პროცესის ნორმატიული მოწესრიგება, რაც გულისხმობს საკრებულოს დადგენილებით სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ“ სარეკომენდაციოთ შემუშავებული სტანდარტების (იხ. 3.2.ზ. ქვეპუნქტი და დანართები) დამტკიცებას.

ბ. ქ. მცხეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და ქალაქგეგმარების მუდმივმოქმედი საკონსულტაციო საბჭოს დებულების შემუშავება და მიღება მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. საკონსულტაციო საბჭო უნდა დაკომპლექტდეს პროფესიონალი არქიტექტორების, ურბანისტების, ხელოვნებადმცოდნეების, ისტორიკოსების და სხვ. მაღალკვალიფიციური სპეციალისტების, საქართველოს ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის, ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მიწათმესაკუთრეთა და მიწთმოსარგებლეთა, აგრეთვე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლობით; საბჭოს უმთავრესი კომპეტენცია იქნება ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების - მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის წინასწარი განხილვა, შესაბამისი დასკვნების, რეკომენდაციების მომზადება და წარდგენა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის; ასევე მნიშვნელოვანი იქნება რეკომენდაციების შემუშავება მცხეთაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ლანდშაფტის დაცვის მიზნით მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის კუთხითაც; საბჭო უნდა შეიქმნას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელის - საკრებულოს თავმჯდომარის სამართლებრივი აქტის საფუძველზე; მისი საქმიანობის წესი უნდა დაადგინოს საბჭოს დებულებამ, იმის ხაზგასმით, რომ მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესისათვის საბჭოს გადაწყვეტილებებს სავალდებულოდ გასათვალისწინებელი რეკომენდაციების ძალა გააჩნდეთ;

გ. ქალაქგეგმარების პროცესის მოწესრიგება-ნორმალიზებამდე ქ. მცხეთისათვის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მოქმედების პირობებში (იხ. 3.1. პუნქტი) მცხეთის მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტები, მათ შორის მშენებლობის ნებართვებთან და ზედამხედველობასთან დაკავშირებული აქტები,

უნდა შემუშავდეს „ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მშენებლობის განსაკუთრებული რეგულირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

მდგომარეობას მკვეთრად გააუმჯობესებდა და სწორი მიმართულებით შედგებოდა ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტების ჩამოყალიბება.

- მცხეთის მასტერგეგმა ამკვიდრებს მიდგომას, რომლის მიხედვითაც ურბანული კონსერვაცია ცოცხალ, ისტორიულ ქალაქში მოითხოვს ცვლილებების მართვის უნარს და კონსერვაციისა და განვითარების პროცესების ერთმანეთთან შესაბამისობაში მოყვანას;
- ამგვარი დაგეგმარებითი დოკუმენტის არსებობა აუცილებელია, ვინაიდან ისინი ზოგადი მიდგომის ასახვის გარდა, ოპერატიული პროექტების ადეკვატურ ფორმირებას უზრუნველყოფენ;
- ამ მოდელის გამოყენება, შეზუდილი 5-15 წლიანი ციკლების ჩარჩოებში მუშაობის, პერიოდული გადახედვისა და ადაპტირების მეშვეობით (ცალკეული ძეგლების მართვის გეგმების გათვალისწინებით) ზრდის მოქნილობის ხარისხს. იგი საშუალებას იძლევა დაისახოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები".

არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, ძირითადად ზოგადად აწესრიგებს სისტემას და ადგენს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ბუნებრივი ლანდშაფტის დაცვის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის სამართლებრივ საფუძვლებს. სამწუხაროდ, კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები ხელს უშლის სივრცითი ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქგეგმარების მწყობრი სისტემის ფორმირებას. სივრცითი მოწყობისა და ქალაქგეგმარების ფრაგმენტულობა და პროცესის ქაოტური ხასიათი მნიშვნელოვანწილად ამ საკანონმდებლო ხარვეზებითაცაა განპირობებული.

ტექსტში ნახსენები კოდექსის პროექტიც დაახლოებით იმავე ხასიათის ხარვეზებს ატარებს, რასაც მოქმედი საკანონმდებლო ბაზა. საკანონმდებლო თვალსაზრისით სივრცითი ტერიტორიული მოწყობისა და ქალაქგეგმარების მწყობრი სისტემის ფორმირებისათვის განსაკუთრებით გამოსაყოფია შემდეგი მთავარი ასპექტები:

1. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიმღები სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. უფლებამოსილებათა და პასუხისმგებლობების გამიჯვნის პრობლემები: მოქმედი კანონმდებლობით (საქართველოს კონსტიტუციის მე-7 პრიმა თავი, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის მე-16 მუხლი) სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე

ზედამხედველობის საკითხებზე გადაწყვეტილებს იღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. კერძოდ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად: „თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ნორმებისა და წესების განსაზღვრა; მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება“ წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას და აღნიშნულ საკითხებზე მხოლოდ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები იღებენ გადაწყვეტილებებს; ასევე, ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად მათ საკუთარ უფლებამოსილებებშია „მშენებლობის ნებართვის გაცემა, მიმდინარე მშენებლობაზე ზედამხედველობა კანონით დადგენილი წესით“.

„ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის“ შესაბამისად (იხ. ქარტიის მე-4 მუხლი) ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებები „სრული და ექსკლუზიურია“, ამდენად ცალსახაა, რომ ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირების (შესაბამისი ნებართვების გაცემის) და მასზე ზედამხედველობის პროცესში სახელმწიფო მმართველობის ორგანოები უშუალოდ ვერ ჩაერევიან.

ამავდროულად, როგორც ქალაქგეგმარების, ასევე მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის პროცესში მმართველობითი გადაწყვეტილებები მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და შესაბამისად მიიღება. ამდენად, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ამ სფეროში თავიანთი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას ვალდებულნი არიან დაიცვან საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, მათ შორის, ცხადია, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის შესახებ დაწესებული ნორმები.

ქალაქგეგმარების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ნორმების დაცვა. ამ კანონის მე-8 თავი განსაზღვრავს:

(ა) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებსა და მათ რეჟიმებს (იხ. მუხლი 34);

(ბ) დამცავი ზონების დადგენის მიზნებსა და ამოცანებს (იხ. მუხლი 35);



(გ) ძეგლის ინდივიდუალური დამცავი ზონის, მისი შემადგენელი არელებისა და რეჟიმის, ისტორიული განაშენიანების და ისტორიული ლანდშაფტის, აგრეთვე არქეოლოგიური დაცვის, შესაბამისი განაშენიანების რეგულირების ზონისა და რეჟიმის დადგენის ზოგად საფუძვლებს (იხ.36 -40 მუხლები);

(დ) კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შეთანხმებისა და სამშენებლო საქმიანობის განხორციელების ზოგად წესებს (იხ. მუხლი 41);

(ე) ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების დაგეგმვის, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის მომზადების ზოგად საფუძვლებს (იხ. მუხლი 42);

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ კანონით მკაფიოდ არ არის გამიჯნული სახელმწიფო მმართველობის ორგანოსა (კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები ქალაქგეგმარების პროცესში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით. კანონიდან ნათლად არ ჩანს ვისი პასუხისმგებლობით, ცენტრალური თუ ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით უნდა ხორციელდებოდეს ქალაქგეგმარების პროცესში კანონის მე-8 თავით განსაზღვრული ნორმატიული თუ სამართლებრივი აქტების შემუშავება და მიღება, შესაბამისი, საკმაოდ მოცულობითი და რესურსტევადი სამუშაოების დაგეგმა-ორგანიზება და განხორციელება.

მოქმედი კანონმდებლობით (კონსტიტუცია, ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტია, ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“), ცალსახაა, რომ ქალაქგეგმარება ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებაა. მაგრამ იმ მოთხოვნების, რასაც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონი, განსაკუთრებით მისი მე-8 თავი ადგენს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების და რეჟიმების განსაზღვრისათვის, ადგილობრივი თვითმმართველობის რესურსების (მწირი ბიუჯეტი, სუსტი შესაძლებლობები, ადგილობრივი მოხელეების არასათანადო კომპეტენცია და სხვ.) შეზღუდულობის გამო, შესრულება და დაცვა მეტად პრობლემურია.

უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობათა მკაფიო გამიჯვნის პრობლემები ასევე გამოკვეთილია „სივრცითი მოწყობისა და

ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონში, რომლის მთელი რიგი დებულებები წინააღმდეგობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან. ასე მაგალითად, ამ კანონის მე-3 თავი: „ქვეყნის, რაიონის სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმვა“, განსაზღვრავს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების სამ დონიან, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკაში ოთხ დონიან იერარქიას, კერძოდ: დაგეგმარება უნდა განხორციელდეს ეროვნულ, ავტონომიური რესპუბლიკის, რაიონის და რაიონში შემავალი დასახლებების დონეებზე და შესაბამის გადაწყვეტილებების უნდა იღებდნენ სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის, „რაიონის ადგილობრივი მმართველობისა“ და დასახლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. 2005 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით რაიონის მმართველობის ორგანოები გაუქმდა, მათ სანაცვლოდ შეიქმნა მუნიციპალური თვითმმართველობის ორგანოები. ასევე, მუნიციპალიტეტის დასახლებებს ცალკე თვითმმართველობის ორგანოები აღარ ჰყავთ, ამდენად კანონით წარმოდგენილი იერარქია უკვე ფორმალურადაც საფუძველს მოკლებულია.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონით დასახლებებისათვის, მათ შორის ქ. მცხეთისათვისაც, დადგენილია ორ საფეხურიანი ქალაქგეგმარების სისტემა, რაც შესაბამისად გულისხმობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების მიღებას. ასეთ ორ საფეხურიან სისტემაში მკაფიოდ გარკვეული არ არის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის, რომელიც „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მიხედვით „ისტორიული განაშენიანების დაცვისა და განაშენიანების რეგულირების ზონებში განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავების საფუძველს“ წარმოადგენს, როლი და ადგილი, ასევე მისი მიმართება მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასთან.

პრობლემურია „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის დადგენილება, ვინაიდან იგი წინააღმდეგობაში მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტთან. კერძოდ, ამ დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის ფორმულირება: „დამცავი ზონა დგინდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

მინისტრის წარდგინების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ხოლო ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე – ქალაქ თბილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს დასკვნის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მთავრობის წარდგინებით, საქართველოს მთავრობის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით“ ზღუდავს თვითმმართველი ერთეულის ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ექსკლუზიურობას, რაც დაუშვებელია. მთავრობა უფლებამოსილია დაადგინოს წესი, თუ როგორ, რა ნორმების დაცვით უნდა მოხდეს კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება, მაგრამ მას არა აქვს უფლება საკუთარი გადაწყვეტილებით დაადგინოს ასეთი ზონის ტერიტორიული საზღვრები, რადგან ეს საკითხი სივრიცითი დაგეგმარების საკითხია და მისი გადაწყვეტა თვითმმართველი ერთეულის საკუთარ კომპეტენციას წარმოადგენს.

მოქმედ კანონმდებლობას ასევე ეწინააღმდეგება „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება, რადგან 2006 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ ძალაშია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ დღესაც მოქმედი ორგანული კანონი, რომლის თანახმადაც ასეთი გადაწყვეტილება ცალსახად ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას განეკუთვნება.

განსაკუთრებით საგანგაშოა ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი - საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 1750 განკარგულება “ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ”. გარდა იმისა, რომ ეს აქტი წარმოადგენს უკანონო ჩარევას მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებებში, იგი გამოცემულია ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით, არადა, თავისი შინაარსით კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენა აშკარად ნორმატიული გადაწყვეტილებაა.

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზები არსებობს აგრეთვე მშენებლობის რეგულირების (მშენებლობის ნებართვების გაცემა) და მშენებლობაზე ზედამხედველობის რეგულირების თვალსაზრისითაც. სანებართვო პირობების განსაზღვრისა და ზედამხედველობის განხორციელების საკანონმდებლო

საფუძველია 2012 წელს მიღებული კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, რომელსაც უკვე აღარ შეესაბამება მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ კანონქვემდებარე აქტი - საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილება. თუნდაც ეს გარემოებაც ნათლად ცხადყოფს, რომ ამ თვალსაზრისით ხარვეზები აღმოსაფხვრელია.

ამდენად, დასკვნის სახით უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის, სივრცით-ტერიტორიული მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობა არასრულყოფილია და საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით შემდეგი პრობლემური ხარვეზების გამოსწორებას:

ა. კანონმდებლობით მკაფიოდ არ არის გაიმიჯნული უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის;

ბ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონები არ შეესაბამება „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანულ კანონს“;

გ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონები ურთიერთ ჰარმონიზებული არ არის, რის გამოც ბუნდოვანი რჩება ქალაქგეგმარების პროცესში ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების იერარქია, პრობლემურია ისტორიულ კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და წესების გათვალისწინება და მათი დაცვა;

დ. ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის თაობაზე საქართველოს მთავრობის მიერ მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები წინააღმდეგობაში მოდის როგორც „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონთან, ასევე შესაბამისი სფეროს საკანონმდებლო აქტებთანაც.

ე. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 1750 განკარგულება “ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ” კანონსაწინააღმდეგოა, რადგან იგი ეწინააღმდეგება როგორც “ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ორგანულ კანონს, აგრეთვე

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნასაც, რომლის თანახმად ნორმატიული შინაარსის სამართლებრივი აქტი არ შეიძლება გამოცემული იქნას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის სახით.

2. მმართველობითი გადაწყვეტილებების პროცესში საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიისა და სხვა დაინტერესებული სუბიექტების არასათანადო მონაწილეობა

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა ქ. მცხეთაში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსი და განსაკუთრებული როლი.

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს მართლმადიდებლური ავტოკეფალურ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების პრეამბულაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ: ეკლესიის „სასულიერო-ადმინისტრაციული ცენტრი და კათედრაა მცხეთა“.

კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის თანახმად „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე, მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული.“

კონსტიტუციური შეთანხმების მე-9 მუხლის თანახმად: „სახელმწიფო და ეკლესია ერთობლივად ზრუნავენ ისტორიულ-კულტურული და არქეოლოგიურ-არქიტექტურული ფასეულობების მქონე საეკლესიო ნაგებობებისა და საეკლესიო საგანძურის სათანადო დაცვასა და მოვლა-პატრონობისათვის.“

სამწუხაროდ კონსტიტუციური შეთანხმების ეს ნორმები კონკრეტულად არ არის ხორცშესხმული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებსა და წესებში, რის შედეგადაც მათი შინაარსი მხოლოდ დეკლარაციულია.

განსაკუთრებით საგულისხმოა, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც: „აკრძალულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლის გასხვისება. ამ ძეგლის სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ფლობისა და სარგებლობის უფლებით, მისი მოვლა-პატრონობისა და დაცვის პირობით.“ წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლთან.



არასათანადო მონაწილეობის თაობაზე იგივეს თქმა შეიძლება ქალაქგეგმარების სფეროში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებით დაინტერესებულ სხვა სუბიექტებზეც, მათ შორის, პირველ ყოვლისა ქ. მცხეთის ტერიტორიაზე უძრავი საკუთრების მფლობელებზე, რომელთაც ადგილობრივი თვითმმართველობის საქმისწარმოების მკაფიო პროცედურისა და წესების არ არსებობის გამო, პრაქტიკულად არ შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და მონაწილეობდნენ ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილების შემუშავებაში.

განსაკუთრებით პრობლემურია ის გარემოებაც, რომ მშენებლობის რეგულირებისა და მასაზე ზედამხედველობის შესახებ მმართველობითი გადაწყვეტილებები მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით მიიღება არა საჯარო, არამედ მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით (იხ. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 54-ე მუხლის 1-ელი პუნქტი). ამის გამო შეზღუდულია საჯარო ინტერესებით მშენებლობის რეგულირების პროცესებში მონაწილეობა და მშენებლობის ნებართვების გაცემა ხდება საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, რაც ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაუცველად წარმოებული მშენებლობის ერთ-ერთი უმთავრესი სამართლებრივი ფაქტორია.

სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის პრობლემურობა მცხეთის მუნიციპალიტეტის მაგალითზე შემდეგნაირად გამოიყურება:

მცხეთის მუნიციპალიტეტში საერთოდ ჩავარდნილია და არ მიმდინარეობს სივრცითი დაგეგმარება, მიღებული არ არის რაიმე ქალაქგეგმარებითი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა როგორც მშენებლობის რეგულირებას, ასევე მშენებლობაზე ზედამხედველობის პროცესის მოწესრიგებასაც.

მშენებლობის ნებართვების გაცემა ხდება უსისტემოდ, ქალაქგეგმარებითი ნორმატიული დოკუმენტების გარეშე, რაც შეუძლებელს ხდის მიმდინარე მშენებლობებისას ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის კანონმდებლობით გარანტირებული ნორმების დაცვას.

ზემოაღნიშნულის გამო მცხეთის მუნიციპალიტეტში ასევე უსისტემოდ და არაეფექტიანად მიმდინარეობს მშენებლობაზე ზედამხედველობაც, შედეგად - კატასტროფული მდგომარეობა იქმნება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის კუთხით.

სივრცითი დაგეგმარების შესახებ კანონმდებლობა ფაქტიურად არ მუშაობს, რისი უმთავრესი მიზეზებია:

ა. ზემოთ აღნიშნული (იხ. პუნქტი 1.1.) საკანონმდებლო ხარვეზები;

ბ. ადგილობრივი ნორმატიული ბაზის არსებობა, რის გამოც არ არსებობს სივრცითი დაგეგმარების რაიმე მწყობრი სისტემა, რომელიც დაეფუძნებოდა თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო საშუალებებსა და პროგრამულ უზრუნველყოფას, საქმისწარმოების მკაფიო წესებსა და პროცედურებს, გადაწყვეტილებათა მიღების პროცესებში მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის, სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობასა და ჩართულობას.

რეკომენდაციები სახით შგვიძლია ვთქვათ, ქ. მცხეთის ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის მიზნით ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის სისტემის მოსაწესრიგებლად აუცილებელია როგორც კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოსწორება, ასევე, პროცესის მოწესრიგებამდე და მის ნორმალიზაციამდე საგანგებო ღონისძიებების გატარება - ქ. მცხეთისათვის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის შემოღება.

1. ქალაქ მცხეთის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსი

მცხეთის, როგორც სასულიერო ადმინისტრაციული ცენტრის და განსაკუთრებული, მსოფლიო მნიშვნელობის ისტორიულ-კულტურული ღირებულების ქალაქის სივრცითი ტერიტორიული მოწყობის, ქალაქგეგმარების და მშენებლობის რეგულირების სფეროში შექმნილი პრობლემები აუცილებლად საჭიროებს საგანგებო ღონისძიებების გატარებას, მათ შორის ქალაქისათვის განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მინიჭებას.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლით დადგენილია განსაკუთრებული სივრცით-ტერიტორიული რეგულირების ტერიტორიები და დასახლებები, „რომელთა ფორმირება ხდება სპეციალური სივრცით-ტერიტორიული ამოცანების გადასაწყვეტად“. გეგმარებითი რეგიონისთვის შემუშავდება სივრცითი მოწყობის სქემა“ (იხ. მე-13 მუხლის 1-ელი პუნქტი). გარკვეული ტერიტორიებისათვის, მათ შორის, მთლიანად დასახლებისათვის ასეთი განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მინიჭების საფუძველი შეიძლება გახდეს

„მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული, ეკონომიკური, ეკოლოგიური, თავდაცვითი, კულტურული ფაქტორები და სტიქიური მოვლენები (იხ. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი). კანონის თანახმად ასეთი სტატუსის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს მთავრობის წარდგინებით იღებს საქართველოს პარლამენტი (იხ. მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი). ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიებისა და დასახლებებისათვის კანონის საფუძველზე წესდება სივრცით ტერიტორიული განვითარების განსაკუთრებული რეჟიმი (იხ. კანონის მე-13 მუხლის 5 პუნქტი). ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიებისა და დასახლებების სივრცით ტერიტორიულ დაგეგმარებას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის უწყებებთან შეთანხმებით (იხ. კანონის მე-13 მუხლის მე-6 პუნქტი). ასეთი სტატუსის მქონე ტერიტორიებზე და დასახლებებში როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს (მთავრობასთან შეთანხმებით), ასევე საქართველოს მთავრობას უფლება აქვთ სპეციალური სამართლებრივი აქტით დადგენილი ვადით გამოაცხადონ ტერიტორიების განვითარების შეზღუდვა (იხ. კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტი) და დაადგინონ მშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმი (იხ. კანონის მე-13 მუხლის მე-8 პუნქტი).

აუცილებელად მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანხმობითა და საქართველოს მთავრობის წარდგინებით საქართველოს პარლამენტმა განიხილოს და დადებითად გადაწყვიტოს ქ. მცხეთისათვის „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული რეგულირების სტატუსის მინიჭების საკითხი.

ასეთი განსაკუთრებული სივრცით ტერიტორიული სტატუსი ქალაქს უნდა მიენიჭოს იმ ვადით, რაც აუცილებელია სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების ნორმატიული დოკუმენტების: მიწათსარგებლობის გენეტრალური გეგმისა და მშენებლობის რეგულირების გეგმის მისაღებად, აგრეთვე ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემის დანერგვამდე.

ქ. მცხეთისათვის უნდა დაწესდეს სივრცით ტერიტორიული განვითარების განსაკუთრებული რეჟიმი. ეს რეჟიმი უნდა მოქმედებდეს სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების მთავარი დოკუმენტების: მიწათსარგებლობის

გენერალური გეგმისა და მშენებლობის რეგულირების გეგმის ძალაში შესვლამდე.

მშენებლობის რეგულირებისა და ზედამხედველობის საგანგებო ღონისძიებების გასატარებლად, ასევე სივრცითი ტერიტორიული მოწყობის შესახებ კანონის მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობამ უნდა მიიღოს დადგენილება „ქ. მცხეთის ტერიტორიაზე მშენებლობის განსაკუთრებული რეგულირების შესახებ“, რითიც:

1) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე იმოქმედებს ზემოხსენებული დადგენილებით განსაზღვრული და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტი: „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმა“, რომელიც დაეყრდნობა 2003 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ( შპ ) მიერ მომზადებულ ”მასტერ გეგმას, აგრეთვე ამ პროექტის ფარგლებში შემუსავებულ მცხეთის ისტორიული ნაწილის მშენებლობის რეგულირების გეგმას.

მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე იმოქმედებს ზემოხსენებული დადგენილებით დამტკიცებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტი: „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმა“, რომელიც ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმისათვის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 42-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად არის შემუშავებული ამ პროექტის ფარგლებში;

2) „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმის“ შესაბამისად გარკვეული ვადით დაწესდება ტერიტორიის განვითარების შეზღუდვა, შემოღებული იქნება მშენებლობისათვის დამატებითი სანებართვო პირობები;

3) დაწესდება სპეციალური პროცედურა, რომლის მიხედვითაც კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის ზონებში კანონდარღვევით უკვე აშენებული ნაგებობები შესაბამისობაში იქნება მოყვანილი კანონმდებლობის, „ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის დროებითი გეგმის“ მოთხოვნებთან და ზემოაღნიშნულ დამატებით სანებართვო პირობებთან. სადაც ეს შეუძლებელია, სპეციალური პროცედურის შესაბამისად, მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით, მოხდება ასეთ ნაგებობათა დემონტაჟი. ასეთ შემთხვევაში კერძო მესაკუთრეთათვის გათვალისწინებული იქნება სათანადო კომპენსაციის გადახდაც.

## 2. რეკომენდაციები საკანონმდებლო ცვლილებებისათვის

ა. კანონმდებლობით მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს უფლებამოსილებები და პასუხისმგებლობები სახელმწიფო მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის;

ბ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-7 პრიმა თავის, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონის ნორმებთან;

გ. უნდა განხორციელდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონების ურთიერთჰარმონიზება, კანონმდებლობით უნდა გაირკვეს ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის როლი და ადგილი ქალაქგეგმარებითი დოკუმენტების იერარქიაში; მკაფიოდ უნდა გამოიკვეთოს ქალაქგეგმარების ერთიან, ინტეგრირებულ პროცესში ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვა-შენარჩუნების პირველხარისხოვანი ამოცანა; გარანტირებული უნდა იყოს საერთაშორისო შეთანხმებების, მათ შორის „ევროპის დაცული ლანდშაფტების შესახებ“ კონვენციის მოთხოვნათა დაცვა;

დ. საქართველოს მთავრობის დადგენილება „კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების შემუშავების წესების შესახებ“ (ამ დადგენილების მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტი) შესაბამისობაში უნდა მოვიდეს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანულ კანონთან;

ე. უნდა ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის ერთობლივი ბრძანება, რომელიც მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება;

ვ. ბათილად უნდა გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის № 1750 განკარგულება “ქ. მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების დადგენის შესახებ”

ზ. „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლთან;

თ. საქართველოს მთავრობის მიერ ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და ლანდშაფტის დაცვის სავალდებულო პირობების



გათვალისწინებით შემუშავებული უნდა იქნეს სივრცითი მოწყობის, ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მშენებლობაზე ზედამხედველობის ავტომატიზებული სისტემის სტანდარტი, რომელიც მთავრობის დადგენილებით უნდა დამტკიცდეს. ეს სტანდარტი დაეფუძნება თანამედროვე ელექტრონულ საქმისწარმოებას, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ავტომატიზებულ მართვას, გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზების გამოყენებას, ასევე უზრუნველყოფს მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, უპირველესად - საქართველოს მართლამადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის მონაწილეობასა და ჩართულობას;<sup>72</sup>

ი. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ მთავრობის 2009 წლის 24 მარტის დადგენილების 54-ე მუხლის 1-ელი პუნქტი აუცილებლად გადასახედია. მშენებლობის ნებართვების გაცემის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მიიღებოდეს არა მარტივი, არამედ საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, რათა უზრუნველყოფილი იქნას ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობა და საჯარო ინტერესების, პირველ ყოვლისა, ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მცხეთის ლანდშაფტის შენარჩუნების საერთო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ინტერესის სათანადოდ დაცვა.

3. რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის.

მუნიციპალიტეტში უნდა ჩამოყალიბდეს ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის და ლანდშაფტის დაცვის, სივრცითი ტერიტორიულ მოწყობისა და ქალაქგეგმარების, მშენებლობის რეგულირებისა და მასზე ზედამხედველობის ერთიანი სისტემა, რომელიც დაეფუძნება:

- ელექტრონულ საქმისწარმოებასა და გეოსაინფორმაციო მონაცემთა ბაზებს;

---

